დამოუკიდებელი და ზეპარტიული

# ასავალ დასავალი

WWW.ASAVALI.COM

2025 წლის 26 მაისი - 1 ივნისი

N22 1593

ფასი 3 ლარი და 90 თეთრი




## გელა შინჯიკაშვილი: ვაფრთხილებ

„ტვ პირველის“, „მთავარი არხისა“ და „ფორმულას“ ნაძირალებს... პასუხი იქნება უმკაცრესი!

12



13

მამუკა ხაზარაძის ტელეკანალიზაცია „პირველი“ გიორგი შინჯიკაშვილსა და ზვიად ხარაზიშვილს შორის სისხლისღვრის პროვოცირებას ცდილობს!



დამოუკიდებელი და ზეპარტიული გაზეთი

ასავალ დასავალი

WWW.ASAVALI.GE

2011 წლის 26 მაისი

სააკაშვილის სისხლიანი ტერორი ქართველი ხალხისა და თავისუფალი სიტყვის წინააღმდეგ!!!

## „ასავალ-დასავალმა“ არამხოლოდ ნაცრეჟიმზე გაიმარჯვა, არამედ მის ნარჩენებსაც პერმანენტულად ამარცხებს!!!

2

## ნონა გაფრინდაშვილი:



10

## დავით ჭიჭინაძე:

## ეს იყო სასაკლაო!

ჩვენი სისხლით მორწყულ რუსთაველზე მეორე დღეს ხალხი აცეკვეს და ამღერეს!



11

## ლუკა კურტანიძე:

დათა ახალაია მოვიდა და სპეცრაზმელს უბრძანა — თუ დაუმორჩილებლობის მცდელობა ექნება,



20

პირდაპირ თავში ესროლეთ!!!



21

## თუ ჩაიხდის, არ მიეკაროთ!



9

## რუსუდან შარაძე:

დათო გამყრელიძე ბატონი, რომ გამოდის და არა რუსულ კანონსო — ყვირის, ჯობია, ის მოიძიოს და მოიკითხოს, მის ოფისში როგორ კლავდნენ გურამ შარაძეს!



6-7

## «აღარ შემიძლია ამ ტვირთით ცხოვრება!»





«მიშა, ხომ ჩამოგიყვანა ღმერთმა შენი ფეხით, ახლა დაელოდე!»

4-5

26-27




საქართველოს მთავრობას ამერიკის კონგრესში საკუთარი „ჯო უილსონები“ უნდა ჰყავდეს!

8

## რუბიოკონი გადასალახია!

***დღეს, 2025 წლის 26 მაისს, ზუსტად თ14 წელი სრულდება 21-ე საუკუნის „ბართლომის ღამიდან“, რომელიც სააკაშვილის რეჟიმმა ქართველ ხალხს თბილისში, რუსთაველის გამზირზე მოუწყო.***

# „ასავალ-დასავალმა“ არამხოლოდ ნაცრეჟიმზე გაიმარჯვა, არამედ

# მის ნარჩენებსაც პერმა-ნენტულად ამარცხებს!!!

ნაციონალური მოძრაობის მიერ ჩადენილი ერთ-ერთი ყველაზე სასტიკი და სისხლიანი დანაშაული — 2011 წლის 26 მაისის მშვიდობიანი დემონსტრაციის დარბევა — ცხადია, პარლამენტის საგამოძიებო კომისიის ყურადღების მიღმა არ დარჩენილა და 14 წლის წინათ ქვეყნის მთავარ პროსპექტზე განვითარებულ ავბედით მოვლენებს გასულ კვირას რამდენიმე სხდომა მიეძღვნა.

კერძოდ, კომისიამ გამოჰკითხა 26 მაისს დაზარალებულები, რომელთა შორისაც **„ასავალ-დასავალის“ ყოფილი ჟურნალისტები — ბექა სივსივაძე და გიორგი მამაცაშვილიც** იყვნენ. მათ დაწვრილებით ისაუბრეს იმის შესახებ, თუ როგორ გაუსწორდნენ ნაცრეჟიმის გავეშებული ჩაფრები რეზინის ხელკეტებით, დაახლოებით ორი მეტრის მანძილიდან როგორ დაახალეს 40-მდე რეზინის ტყვია, როგორ შეუკრეს ხელები პლასტმასის ე.წ. ხამუთებით და როგორ დაყარეს სასტიკად ნაცემ სხვა მომიტინგეებთან ერთად, რომელთაგან ერთ-ერთს შუაზე გადახსნილი თავის ქალიდან ბლანტი სითხე გადმოსდიოდა და სასიკვდილოდ ხროტინებდა.

**გიორგი მამაცაშვილი** და **ბექა სივსივაძე** უმოწყალოდ სცემეს და რეზინის ტყვიებით დაცხრილეს იმის მიუხედავად, რომ თან ჰქონდათ ყველანაირი საბუთი და აღჭურვილობა, რითიც დასტურდებოდა, რომ ჟურნალისტები იყვნენ და აქციაზე პროფესიულ მოვალეობას ასრულებდნენ.

**ბექა სივსივაძესა და გიორგი მამაცაშვილს სასტიკად გაუსწორდნენ სწორედ იმიტომ, რომ ისინი ჟურნალისტები იყვნენ!**

კიდევ უფრო ზუსტად თუ ვიტყვით, **გიორგი მამაცაშვილსა** და **ბექა სივსივაძეს** სასტიკად გაუსწორდნენ იმიტომ, რომ ისინი იყვნენ **„ასავალ-დასავალის“ ჟურნალისტები!**

კი, სწორედ მას შემდეგ, რაც ნიღბიანმა სპეცრაზმელებმა თუ ზონდერებმა გაიგეს, რომ **ბექა სივსივაძე** და **გიორგი მამაცაშვილი „ასავალ-დასავალის“ ჟურნალისტები იყვნენ,** მათ მიმართ კიდევ უფრო გამძვინვარდნენ და კიდევ მეტი გააფთრებით დაუწყეს ცემა!


დამოუკიდებელი და ზეპარტიული გაზეთი

ასავალ-დასავალი

WWW.ASAVALI.GE

2011 წლის 26 მაისი

სააკაშვილის სისხლიანი ტერორი ქართველი ხალხისა და თავისუფალი სიტყვის წინააღმდეგ!!!

სააკაშვილის სპეცრაზმისა და ზონდერბრიგადების მიერ უმოწყალო რბევის ამსახველი რეპორტაჟის მომზადებისას ნაცემი, დაცხრილული და ხელბორკილდადებული „ასავალ-დასავალის“ ჟურნალისტები გიორგი მამაცაშვილი და ბექა სივსივაძე





**14 წლის შემდეგ:**

გიორგი მამაცაშვილი და ბექა სივსივაძე პარლამენტის საგამოძიებო კომისიის სხდომაზე. 2025 წლის 20 მაისი

პარლამენტის საგამოძიებო კომისიის სხდომაზე გამოკითხვისას **ბექა სივსივაძემ** განაცხადა:

***„ბოლოს, ალბათ, დაიღალნენ ჩვენი ცემით და მოვიდა, სავარაუდოდ, მათი ერთ-ერთი ხელმძღვანელი, რომელმაც გვკითხა — ჟურნალისტები ხართო? დავუდასტურეთ, რომ ჟურნალისტები ვართ და რა საბუთებიც გვქონდა — პრესკარტა, სხვადასხვა სახელმწიფო უწყების აკრედიტაციები — მივეცით. რამდენიმე წუთის შემდეგ კიდევ ერთი ჯგუფი მოვიდა და იკითხა —*** *აქ* ***„ასავალ-დასავალის“*** *ჟურნალისტები ვინ არიანო? გახარებულებმა შევძახეთ — ჩვენ ვართო! ვიფიქრეთ, გვათავისუფლებდნენ, მაგრამ ხელკეტებით გაგვისწორდნენ“.*

საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარის **თეა წულუკიანის** კითხვაზე — **„ასავალ-დასავალი“ ხაზგასმით რატომ იკითხეს და თქვენ რომ „ასავალ-დასავალის“ ჟურნალისტები იყავით, ამის გამო კიდევ უფრო რატომ დაგსაჯესო, ბექა სივსივაძემ უპასუხა:**

***„ასავალ-დასავალი“*** *იყო და არის გაზეთი, რომელიც სააკაშვილის რეჟიმმა ვერ დაიმორჩილა.* ***„ასავალ-დასავალში“*** *მათთვის სასურველი სტატიები არ იბეჭდებოდა, ნაცების ფიურერს ხოტბა-დიდება არ ესხმებოდა, იგი ყველა ჩვენს სტატიაზე გაღიზიანებული იყო და შესაბამისად, შური იძია“.*

საერთოდ, 2011 წლის 26 მაისის მშვიდობიანი აქციის სისხლში ჩახშობა იყო სააკაშვილის შურისძიება ქართველ ხალხზე, რომლის უდიდესი ნაწილიც მის ანტიეროვნულ, ანტიდემოკრატიულ და ანტიადამიანურ რეჟიმს არ ეპუებოდა,

# „ჯგუფი მოვიდა და იკითხა – აქ „ასავალ-დასავალის“ ჟურნალისტები ვინ არიანო? გახარებულებმა შევძახეთ – ჩვენ ვართო! ვიფიქრეთ, გვათავისუფლებდნენ, მაგრამ ხელკეტებით გაგვისწორდნენ!“

## კვირგვინოსნები

**ირაკლი კობახიძე**
*საქართველოს პრემიერ-მინისტრი*



ოპოზიციას რაც უნდა, ის უქნია, **64-ვე მუნიციპალიტეტში ჩვენ მოვიგებთ როგორც მერის, ისე საკრებულოს არჩევნებს.**

ვერავის მივცემთ საშუალებას, რომ **შავი, გაუმჭვირვალე ფულით საქართველოში მოგვიწყონ რევოლუციები,** ამას ვერ მოაწყობენ, მაგრამ მცდელობაც უნდა იყოს წინასწარ აღკვეთილი.

„იმედინიუსი“

**შალვა პაპუაშვილი**
*პარლამენტის თავმჯდომარე*



მნიშვნელოვანია, ბრიუსელმა განმარტოს, **გულისხმობს თუ არა ის „ევროპულ ღირებულებაში“ მისი დაფინანსებული პირების მიერ წარმოებულ ტერორს** და აპირებს თუ არა, შეწყვიტოს **მოძალადე და ძალადობის წამქეზებელი ჯგუფების მხარდაჭერა.**

„იმედინიუსი“

**კახა კალაძე**
*თბილისის მერი*



რაც არ უნდა დიდი სახელმწიფო იყოს, ყველამ უნდა იცოდეს და გაითავისოს, რომ **საქართველო არ არის რომელიმე ქვეყნის უკანა ეზო — საქართველო არის დამოუკიდებელი ქვეყანა.** როგორ შეიძლება, პოლიტიკურ პარტიას, რომელიც **სხვა ქვეყნის ინტერესებს ემსახურება,** არჩევნებში გამარჯვების რაიმე შანსი ჰქონდეს.

„რუსთავი-2“

**ბალათერ არაბული**
*პოეტი*



უცხოელებს ვერც ვეუბნებით, რომ **მწერალთა კავშირის შენობიდან მწერლები გამოყრილები ვართ.** ეს ხომ ქვეყნის სირცხვილი და დამცირებაა. როგორ უნდა ვთქვათ, რომ **ისეთი მთავრობა გვყავდა, რომელმაც მწერლები საკუთრებიდან გააგდო.**

„საერთო გაზეთი“

ხალხზე შურისგების მასშტაბურ სპეცოპერაციას კი უცილობლად უნდა ჰქონოდა **სახალხო გაზეთზე — „ასავალ-დასავალზე“ შურისგების კომპონენტი.**

და ჰქონდა კიდეც!

ისევე, როგორც სააკაშვილის რეჟიმის მიერ ქართულ პრესაზე და განსაკუთრებით **„ასავალ-დასავალზე“** შურისძიების აქტი გახლდათ **გამომცემლობა „სამშობლოს“** შენობის შტურმით აღება და ოკუპაცია 2007 წლის 10 აგვისტოს დილაბნელზე, რის შესახებაც პარლამენტის საგამოძიებო კომისიის სხდომაზე **საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის თავმჯდომარემ ბიორგი მამაცაშვილმა** ისაუბრა:

*„ასავალ-დასავალში“ ვმუშაობდი, როცა გამომცემლობა „სამშობლოდან“ გამთენიისას გამოგვყარეს ჟურნალისტები. ეს იყო მიზანმიმართული სპეცოპერაცია, რომ* ***„ასავალ-დასავალი“*** *გაეჩუმებინათ, იმიტომ, რომ* ***„ასავალ-დასავალი“*** *იყო ერთადერთი გაზეთი, რომელიც ღიად, დაუფარავად წერდა იმ ჯალათობებზე, იმ სადიზმზე, რასაც სააკაშვილის, მერაბიშვილის, შაშკინის, უგულავას, ახალაიების რეჟიმი ახორციელებდა.* ***ვინმემ დაგვიჭირა მხარი, „სამშობლოდან“ რომ გამოგვაძევეს? კაციშვილს ხმა არ ამოუღია! გამთენიის 5 საათზე „ასავალ-დასავალის“ ოფისში ვიყავით, გაზეთის ნომერზე ვმუშაობდით, შემოცვივდნენ და პირადად მე კონდახების რტყმევით მაგორავეს კიბეებზე“.***

**„ასავალ-დასავალის“** გაჩუმების მცდელობა სააკაშვილისათვის კრახით რომ დასრულდა, ეს ხომ ისედაც ფაქტია, მაგრამ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ის არის, რომ **სააკაშვილმა თავისი პირით აღიარა „ასავალ-დასავალის“ როლი მისი რეჟიმის დამარცხებაში,** როცა 2013 წლის ოქტომბრის მიწურულს, საპრეზიდენტო ვადის ამოწურვის შემდეგ და საქართველოდან გაქცევის წინ, საქვეყნოდ განაცხადა — **იმიტომ დავმარცხდით, რომ ქართველმა ხალხმა „ასავალ-დასავალის“ პროპაგანდას დაუჯერაო!**

სინამდვილეში, ის, რასაც სააკაშვილმა **„ასავალ-დასავალის“** პროპაგანდა დაუძახა, **„ასავალ-დასავალის“** მართალი და შეუპოვარი სიტყვა იყო, რომელიც დღესაც ძალუმად ისმის და კვლავ დიდი წვლილი შეაქვს იმაში, რომ მკვლელი, მწამებელი და გამაუპატიურებელი ნაცრეჟიმი, მისი ნებისმიერი მოდიფიკაციითა და ვარიაციით, საქართველოს ხელისუფლებაში ვერასოდეს დაბრუნდეს!

და კიდევ: მკვლელ, მწამებელ და გამაუპატიურებელ ნაცრეჟიმთან ბრძოლაში **„ასავალ-დასავალის“** გამარჯვების სიმბოლო გახლავთ ისიც, რომ **ნაცრეჟიმის ლიდერი სააკაშვილი** მსჯავრდებულის სტატუსით „ვივამედის“ პალატაში გორავს, ხოლო **„ასავალ-დასავალის“ ლიდერს ლაშა ნადარეიშვილს,** როგორც პოეტს, ჟურნალისტსა და მთავარ რედაქტორს, ნაყოფიერი შემოქმედებითი, ჟურნალისტური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის საქართველოს მწერალთა კავშირი ილია ჭავჭავაძის ოქროს მედლით აჯილდოებს!

## ნაცრეჟიმთან ბრძოლაში „ასავალ-დასავალის“ გამარჯვების სიმბოლო გახლავთ ისიც, რომ ნაცრეჟიმის ლიდერი სააკაშვილი მსჯავრდებულის სტატუსით „ვივამედის“ პალატაში გორავს, ხოლო „ასავალ-დასავალის“ ლიდერს ლაშა ნადარეიშვილს საქართველოს მწერალთა კავშირი ილია ჭავჭავაძის ოქროს მედლით აჯილდოებს!




### ეს მოხდა 2025 წლის 19 მაისს, რუსთაველის თეატრის დიდ სცენაზე, სადაც საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე მაყვალა გონაშვილმა, საერთაშორისო ლიტერატურული ფესტივალის ფარგლებში, ილია ჭავჭავაძის ოქროს მედალი ორ ქართველ პოეტს – ლაშა ნადარეიშვილსა და ტარიელ ხარხელაურს გადასცა!

ასე და ამრიგად, სააკაშვილის რეჟიმის მიერ **26 მაისის მშვიდობიანი აქციის სისხლში ჩახშობის მე-14 წლისთავს „ასავალ-დასავალი“** ილია ჭავჭავაძის ოქროს მედლით ხვდება, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენ არამხოლოდ სააკაშვილის 9-წლიან რეჟიმზე გავიმარჯვეთ, არამედ მის ნარჩენებსაც პერმანენტულად ვამარცხებთ!



## სთქვი, მამულო!

მე შევცვალე მთვარე წუხელ,
დავცქეროდი ნარიან მთას!
სთქვი, მამულო! რა გაწუხებს,
სთქვი, დავდგები დარიალთან.
სთქვი, დიდგორზე დავიქუხებ,
ბებერ კრწანისს ავაღელვებ.
სთქვი, მამულო! რა გაწუხებს
და წამოვშლი არაგველებს.
ტკივილებით მინამულო,
სთქვი, თუ უნდა დარი ამ მთას.
სთქვი, მამულო!
სთქვი, მამულო!
სთქვი, დავდგები დარიალთან.
სთქვი, დღეს სული შეშლილია,
მერე რა თუ შემოგვლევენ,
გეშინია,
გეშინია,
გეშინია?!
შემოგევლე.
ვდგავარ ცივი გარინდებით,
მშფოთვარ მიწას გადავყურებ,
სისხლიანი ამინდებით
შენს მოშუღარს დავაპურებ.
სთქვი, დღეს სული შეშლილია,
მერე რა თუ შემოგვლევენ,
გეშინია,
გეშინია,
გეშინია,
შემოგევლე!

***ტარიელ ხარხელაური***

და დღეს, სააკაშვილის რეჟიმის მიერ 26 მაისის მშვიდობიანი აქციის სისხლში ჩახშობიდან **14 წლის შემდეგ,** ხმამაღლა და სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ: **ქართველ ხალხთან ერთად „ასავალ-დასავალი“ კვლავაც ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ მკვლელი, მწამებელი და გამაუპატიურებელი ნაცრეჟიმი საქართველოს ხელისუფლებაში ვერასოდეს დაბრუნდეს!**

***ჯაბა ხუბუა***

## ეი, ბიჭო, სამშობლოსთან არაფერი შეგეშალოს!

ღმერთმა ჭირი
გვაშოროს და
შოთას ფრესკა
არვინ შალოს...
ეი, ბიჭო, სამშობლოსთან
არაფერი შეგეშალოს!

სხვამ არ თოხნოს
ჩემი ყანა,
არც ჩონგური
ჩემი თალოს...
მე ისეთი მგლები მყვანან,
ალგეთს მტერმა ვერ დათვალოს!

ალავერდში
ვანთებ სანთელს,
იმ გმირების
წასვლას ვნანობ, —
არტანუჯთან ვხვდები ხანძთელს,
რომ ფეხები ცრემლით ვბანო!

ბერი —
თათრის ანაკუწი —
გვარიდებდა
სისხლის კალოს...
ყველა დუშმანს, როგორც უწინ,
გზა თევდორემ გაუკვალოს!

ვინ აგაკრას
აწი ზეცას,
გორგასლანის
დიდო ფარო?
აქ აბჯარი მთასაც ეცვა,
აქ თამარი დედოფალობს!

ღმერთმა ჭირი
გვაშოროს და
შოთას ფრესკა
არვინ შალოს...
ეი, ბიჭო, სამშობლოსთან
არაფერი შეგეშალოს!!!

***ლაშა ნადარეიშვილი***

## კვირგვინოსნები

**ჩარლზ მესამე**
*გაერთიანებული სამეფოს მეფე*



ჩემს მეუღლესთან ერთად **გულწრფელად გილოცავთ ამ ღირსშესანიშნავ დღეს თქვენ (მიხეილ ყაველაშვილს) და ქართველ ხალხს.** ვიმედოვნებ, რომ ჩვენს ქვეყნებს შორის არსებული მეგობრობა და მტკიცე პარტნიორობა მომავალშიც გაგრძელდება და გაღრმავდება. **ჩვენი ოჯახისთვის პატივია, საქართველოს თითოეულ მოქალაქეს მშვიდობა, კეთილდღეობა და წარმატება ვუსურვოთ.**

„ნიუსჯაბი“

**ზორან მილანოვიჩი**
*ხორვატიის პრეზიდენტი*



ხორვატი ხალხისა და ჩემი სახელით, **გულთბილად გილოცავთ საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს.** გისურვებთ წარმატებას, წინსვლასა და კეთილდღეობას თქვენ და თქვენს მოქალაქეებს.

„ნიუსჯაბი“

**სი ძინპინი**
*ჩინეთის პრეზიდენტი*



**ჩინეთსა და საქართველოს შორის ურთიერთპატივისცემასა და ნდობაზე დამყარებული მეგობრული ურთიერთობები ჩამოყალიბდა.** ჩვენ ვართ კარგი პარტნიორები. ბოლო წლებში **ჩინეთ-საქართველოს ურთიერთობებმა პროგრესი განიცადა,** გაღრმავდა პოლიტიკური კავშირები და გაძლიერდა სტრატეგიული თანამშრომლობა.

„ნიუსჯაბი“

**რეჯეპ ტაიპ ერდოღანი**
*თურქეთის პრეზიდენტი*



**პატივცემულო პრემიერ-მინისტრო,** ძვირფასო მეგობარო, ჩემი და თურქი ხალხის სახელით **გულითადად გილოცავთ თქვენ და ქართველ ხალხს საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს.**

„ნიუსჯაბი“

# «აღარ შემიძლია ამ ტვირთით



ვევო კომპანია, რომელიც იმ დროს განთავსებული იყო **ზუსტად იმ ადგილას.** ორი კამერა ეყენა მელიქიშვილზე, რომელშიც გამოჩნდნენ მამაჩემი და მკვლელი, ორი ჯანაშიაზე და ერთი — შანიძის ქუჩაზე. ეს იყო სპეციალურად, შეგნებულად შერჩეული ადგილი, რომ **გურამ შარაძე** ზუსტად იმ ადგილას, იმ კამერების წინ უნდა მოეკლათ. რატომ ეგონათ, რომ მაინცდამაინც იმწუთას იქ ჩაივლიდა გურამ შარაძე და იქ დახვდებოდა მკვლელი? **ჩვენი ოჯახის მიმართ თვალთვალი ხორციელდებოდა ძალიან დიდი ხანი. ზეპირად იცოდნენ მამაჩემის განრიგი. გურამ შარაძე იყო ძალიან მოწესრიგებული კაცი, პუნქტუალური, ზედმეტად გაწერილი განრიგით. წესებსა და ჩვეულებებს თითქმის არასდროს ღალატობდა. ყოველ კვირა დღეს მებდა თავის ინტერვიუს, დასაბეჭდად გამზადებულს. ისიც გზად იყო, გამომცემლობა „სამშობლოში“ იყო მაშინ რედაქცია განთავსებული.** მოკლედ იმის თქმა მინდა, რომ ყოველ კვირა საღამოს, როგორც წესი, თავი რომ დავანებოთ ეროვნულ ბიბლიოთეკას, 33 წერილის გამო არის იქ გავლილ-გამოვლილი.

**ბარათელსაც** ყოველდღე უთვალთვალებდნენ. ის შემთხვევით არ მოხვედრილა იქ. ვინც არ იცის, ვინ არის **გიორგი ბარათელი,** ის გახლავთ მკვლელობაში ეჭვმიტანილი მსჯავრდებული, რომელმაც სასჯელი მოიხადა. **გიორგი ბარათელს** რომ პოლიცია უთვალთვალებდა, ამას პოლიცია არ მალავს, საქმეში დევს ამის მტკიცებულებები, პოლიციელების ჩვენებები, ასევე მეზობლის ჩვენებებიც. როგორ ხსნის ამას პოლიციის ოფიციალური დრო არის გაყალბებული. როგორც მოგახსენეთ, მთავარ მტკიცებულებად საქმეში ჩაიდო **„ალდაგის“** მიერ გადაღებული ფირები. ეს რომ სპეციალურად კამერების წინ მოაწყვეს, ამაში მარწმუნებს **მალხაზ გოხუას** სიტყვები, რომელიც გახლდათ თბილისის კრიმინალური პოლიციის უფროსის მოადგილე. **როდესაც პოლიციაში მივედი და „ალდაგის“ ფირი ვნახე, მკვლელობიდან 45 წუთის შემდეგ, იქ ძალიან მნიშვნელოვანი რაღაცები ვნახე და პოლიციიდან ორი დღე ველარ გამომიყვანეს. მალხაზ გოხუამ მითხრა — ეს არაფერი არ არის, ეს არის მკვლელობის ფაქტის დადასტურებაო.** მათ სჭირდებოდათ მკვლელობის ფაქტის დადასტურება და იმიტომ გალისტი იყო ჩართული მელიქიშვილის გამზირიდან, სადაც მამაჩემი სისხლში ცურავდა. მოვარდნილი იყო მთელი პოლიცია-მილიცია. მოკლედ იმის თქმა მინდა, რომ დრო არის მოპარული. ცოტა ქვემოთ გეტყვით, რატომ არის მოპარული, მაგრამ ეს უკვე იმაზე მეტყველებს, რომ საქმე არის თავიდანვე გაყალბებული... მოგეხსენებათ, კამერების ვიდეოთვალის მთავარი დანიშნულებაა, რომ ეყენოს ერთმანეთის საპირისპირო მიმართულებით, რომ პარამეტრი გაკონტროლდეს ყველა მხრიდან. **მკვლელობის მომენტში „ალდაგის“ ორივე კამერა მელიქიშვილზე იყურებოდა ერთმანეთის მიმართულებით ვაკისკენ. ამით დამალეს მკვლელის სახე. მკვლელი რომ კადრში შემოდის, ის მხოლოდ ზურგიდან ჩანს, თუმცა, ჩვენთვის ეგეც საკმარისია.**

## რუსუდან შარაძე:

# ვინც მისმენს, გადაეცით დათო გამყრელიძეს, მის კომპანია „ალდაგში“ არიან გურამ შარაძის მკვლელები!



*2007 წლის 20 მაისს აკადემიკოსი **გურამ შარაძე** ქუჩაში ჩაცხრილეს. ზუსტად 18 წლის შემდეგ, 2025 წლის 22 მაისს, **რუსუდან შარაძე** პარლამენტის საგამოძიებო კომისიაზე გამოცხადდა და კიდევ ერთხელ სრულიად საქართველოს თვალწინ, ხელი დაადო მამის მკვლელებს.*

*ის, რაც იმ დღეს სხდომაზე ითქვა, გურამ შარაძის ქალიშვილს სხვა დროსაც გაუჟღერებია, მათ შორის, ჩვენი გაზეთის ფურცლებზეც, მაგრამ ერთად თავმოყრილი ამდენი ფაქტი არასოდეს გამოტანილა სამზეოზე.*

### „დათო გამყრელიძე ბატონი, რომ გამოდის და არა რუსულ კანონსო, ყვირის, ჯობია, ის მოიძიოს და მოიკითხოს, მის ოფისში როგორ კლავდნენ გურამ შარაძეს!“

**რუსუდან შარაძე:** — უღრმესი მადლობა, პირველ რიგში, ამ დღისთვის, რომ მე აქ ვარ, თქვენ წინაშე. მადლობას ვუხდი ბატონ ბიძინა ივანიშვილს 1 ოქტომბრისთვის. დღეს მხოლოდ თქვენი სხდომებია საკმარისი იმისათვის, რომ მთელი მსოფლიო ხედავდეს, თუ რას გადავურჩით და როგორ მოვაღწიეთ აქამდე.

გუშინწინ შესრულდა 18 წელი, რაც მამაჩემი ქუჩაში უმოწყალოდ დახვრიტეს და 22 მაისს რომ აქ ვარ, ესეც სიმბოლურია. **ეს არის სამართალი, რომელსაც ამდენი წელი ველოდი.**

წამოიზარდნენ თაობები, რომელმაც **გურამ შარაძე** კი არა, ლამის, ილია ჭავჭავაძე აღარ იციან. გურამ შარაძე, პირველ რიგში, იყო ქართველი მეცნიერი, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე. ახლა ვიტყვი მხოლოდ მისი პარტიის დასახელებას **„საქართველო უპირველეს ყოვლისა — ენა, მამული, სარწმუნოება“.** ეს იყო მისი არამხოლოდ პარტიის დასახელება, ეს იყო მისი მთელი ცხოვრების არსი, ყოველდღიურობა. **ამ იდეით ცხოვრობდა და ამ იდეით გვზრდიდა შვილებს. ამას შეეწირა კიდეც საბოლოოდ!**

მე ვამტკიცებ, რომ **გურამ შარაძის** მკვლელობის სცენარი იყო წინასწარ მოფიქრებული, დადგმული და შესრულებული. საქმე პირველივე წუთიდან იყო გაყალბებული. რა მაძლევს ამის თქმის უფლებას?! პირველ რიგში, გეტყვით, რომ **მკვლელობა გადაიღო სადაზღვევო კომპანია „ალდაგმა“ და ეს შემთხვევით არ მომხდარა. „ალდაგს“ ჰქონდა სულ ხუთი კამერა. „ალდაგი“, მოგეხსენებათ, არის სადაზღმთელი ცხოვრება მუშაობდა ეროვნულ ბიბლიოთეკაში და საღამოობით, ვინაიდან უყვარდა ვარჯიში, მოძრაობა და ველარ ახერხებდა ბოლო წლებში, ყოველთვის ბრუნდებოდა ფეხით. როდესაც რუსთაველიდან ვაკის მიმართულებით მიემართებოდა, ყოველთვის მიდიოდა ერთი ტროტუარით.**

გარდა ეროვნული ბიბლიოთეკისა, **„ასავალ-დასავალში“** იბეჭდებოდა მისი **„100 წერილი ქართველ ერს“.** 33 წერილის დაწერა მოასწრო. ე.ი. 33 კვირა დღე იქ გაიარა და რატომ? **ორშაბათს გამოდიოდა გაზეთი და კვირას, როდესაც ექსკლუზიურ ინტერვიუს ბეჭდავდა, ყოველთვის გადაიკითხავდა, სხვანაირად გამორიცხული იყო. სანამ გაზეთი სტამბაში ჩაეშვებოდა, ის მიდიოდა რედაქციაში და ამოწცია? გურამ შარაძე მოკლეს 20 მაისს და ვითომ 5 მაისს გიორგი ბარათელი საკუთარ ექიმს, ტივზიკიანს გვარად, სახლში მიუვარდა და მსუბუქად დაჭრა.** ეს არის ოფიციალური ვერსია, რომლის მტკიცებას ახლა არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ვთქვათ, დაჭრა ან რაღაც შეურაცხყოფა მიაყენა, გამოდის, სააკაშვილის პოლიცია 5 მაისიდან 20 მაისამდე **ბარათელს** აკვირდებოდა. როგორ წარმოგიდგენიათ, 5 მაისიდან 20 მაისამდე **ბარათელს** უთვალთვალებდნენ და ხელს არ ჰკიდებდნენ?! როდის ჩაიტარა **ტივზიკიანმა** სამედიცინო ექსპერტიზა, იცით? ეს მოხდა მამაჩემის მკვლელობის მეორე დღეს, 21 მაისს. ეს ხომ, ნუ აღარ უნდა ჩემი კომენტარი.

ახლა მე ვამტკიცებ და დაგიმტკიცებთ ყველას, რომ მკვლედაიღეს, უნდოდათ ალიბი ჰქონოდათ — ვინ სჩადის პოლიტიკურ მკვლელობებს კამერების წინო. თან, მაშინ კამერები თბილისში ფუფუნება იყო, გემახსოვრებათ, იშვიათად ეყენათ კომპანიებს ქუჩაში.

„ალდაგის“ ფირის მიხედვით, ოფიციალური დრო მკვლელობის გამოცხადებულია **20 საათი და 31 წუთი.** ეს არის ტყუილი! პირველ რიგში, იმიტომ, რომ საქმის მასალების პირველივე გვერდზე, როდესაც შესულია განცხადება თუ შეტყობინება, რომ მოხდა მკვლელობა, იქ არის დაფიქსირებული **20 საათი და 10 წუთი.** შემდეგ 20 საათსა და 27 წუთზე უკვე დადგენილია **გურამ შარაძის** ვინაობა იგივე საქმის მასალებში, ახალი შეტყობინებაა და, რაც მთავარია, **20 საათსა და 30 წუთზე** ტელეკომპანია აჭარის ჟურნამესამე კამერა, რომელიც ეყენა შანიძის ქუჩაზე და, წესით, უნდა ეკონტროლებინა გზა, ეს კამერა იყო შეტრიალებული ტროტუარისკენ, სადარბაზოები და საცხოვრებელი სახლი ჩანს. ამით იმის თქმა მინდა, რომ ზუსტად ამ გზაზე აირბინა მკვლელმა და დამალეს. **ეს სამი ფაქტი შემთხვევით ვერ მოხდებოდა და ამიტომ მე დარწმუნებული ვარ, რომ „ალდაგის“ უსაფრთხოების სამსახური, რომელიც 2007 წელს ფუნქციონირებდა, არის გურამ შარაძის მკვლელობის მონაწილე!** შეიძლება მთელი შემადგენლობით არა, მაგრამ ნაწილი მაინც და **დათო გამყრელიძე ბატონი, რომ გამოდის და არა რუსულ კანონსო ყვირის, ჯობია, ის მოიძიოს და მოიკითხოს, მის ოფისში როგორ კლავდნენ გურამ შარაძეს!** უფრო სწორად, მონაწილეობდნენ გურამ შარაძის მკვლელობა-

## კვირგვინოსნები

**ვაჟა შაქარიშვილი**
*„ერთიანი ნეიტრალური საქართველოს“ წევრი*



20 მაისს **ნაცმოძრაობის რეჟიმმა მოკლა** საქართველოსთვის მებრძოლი ორი ადამიანი **— გურამ შარაძე და გია კრიალაშვილი.** ორივენი თავიანთ პროფესიაში გმირულად იცავდნენ ჩვენი ქვეყნის ინტერესებს და. ორივენი ჯალათების ტყვიამ იმსხვერპლა. **გურამ შარაძე — 2007 წლის 20 მაისს და გია კრიალაშვილი — 2009 წლის 20 მაისს.**

„რეპორტიორი“

**დავით მათიკაშვილი**
*პარლამენტარი*



**ანა წითლიძისგან** მოხდა აღიარება, რომ **არანაირი არჩევნები არ გაყალბებულა.** უნდა გაეცეს პასუხი კითხვას — **საქართველოს წინააღმდეგ შეთქმულება რატომ დაგეგმეს? გუბაზ სანიკიძე** რას იტყვის, უინტერესოა, რადგან საქართველოში **ჩამოწერილი პოლიტიკოსების** ადგილი არ არის.

„პირველი არხი“

**თამარ ჩიხურდანიძე**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



მომავალი თაობა აუცილებლად დააფასებს **დღევანდელ ბრძოლას ოჯახური ღირებულებებისა და ერის იდენტობის შესანარჩუნებლად.** ეს ისტორიას დარჩება, როგორც **ერისა და ბერის უპრეცედენტო გაერთიანება.**

„მარშალპრესი“

**დიმიტრი ხუნდაძე**
*პარტია „ხალხის ძალის“ წევრი*



სახელმწიფოს შემეცნება და **ქართული ოჯახური კულტურა** — სწორედ ამ ფასეულობების წართმევა სურთ, იციან, რომ **ძლიერი ოჯახი ძლიერი სახელმწიფოა,** ძლიერი სახელმწიფოს წაქცევა კი შეუძლებელია.

„პირველი არხი“

# ცხოვრება!»

ში. აქედან გაიგოს, **თუ არ მისმენს, ძალიან გთხოვთ, ვინც მისმენს, გადაეცით დათო გამყრელიძეს, მის კომპანია „ალდაგში“ არიან გურამ შარაძის მკვლელები!**

მამაჩემს უკან მოჰყვებოდა მკვლელი. მე საერთოდ ვფიქრობ, რომ მთელი ეს პერიმეტრი იყო მკვლელების მიერ გაკონტროლებული, მაგრამ უშუალოდ ვინც ისროლა, იმაზე ვამბობ ახლა, რომელიც „ალდაგის“ ფირზე ჩანს. **უკან მას მოჰყვება მკვლელი, რომელსაც აცვია, ხაზგასმით ვამბობ, გრძელსახელოებიანი პერანგი თუ მოპიჯაკო ქურთუკი, გადმოწეული და არა ჩატნეული, არის, მინიმუმ, მამაჩემის სიმაღლე — 1.75 სმ. ხელი ჯიბეზე აქვს, სავარაუდოდ, იარაღზე. ფირზე ჩანს, როგორ ახდენს პირველ საკონტროლო გასროლას.** მე ვამბობ, რომ მელიქიშვილის და ხორავას კუთხეში მას ელოდებოდა მეორე მკვლელი, რომელმაც მოახდინა ორი საკონტროლო გასროლა და ამის შემდეგ ავარდა შანიძის ქუჩაზე. ეს მკვლელი, რომელიც მას ადგილზე ელოდა და მოახდინა ორი საკონტროლო გასროლა, ამის მოწმეები არიან, თან არაერთი... ერთ-ერთი, რომელმაც ეს კაცი თავისი თვალით ნახა, ჩემი ბავშვობის მეგობარია, ასევე არიან ცოლ-ქმარი, დედაჩემის და მამაჩემის ახალგაზრდობის უახლოესი მეგობრები. **მე ესენი დავბეჭდე ჯერ კიდევ 2007 წლის „ასავალ-დასავალში“ 16 და 23 ივლისის 2 ნომერში, მთელი მოწმეების ჩვენებები, ანონიმურად, რა თქმა უნდა.**

*__რუსუდან შარაძე__ მოწმეების ჩვენებებზე დაყრდნობით აღწერს, როგორ გამოიყურებოდა მკვლელი, რომელმაც ორი საკონტროლო გასროლა მოახდინა. მათი თქმით, მკვლელი იყო დაახლოებით 30-35 წლის, საშუალოზე მაღალი, წაბლისფერი შეთხელებული თმით, სპორტული აღნაგობის, აგრესიული სახის, ლომივით ტიპი. ეცვა ჯინსის შარვალი, მოკლემკლავიანი ჯინსის ჩატნეული „საროჩკა“. მოწმეები ირწმუნებიან, რომ ეს არ არის ის, ვინც ტელევიზიით ვნახეთო.*

**რუსუდან შარაძე:** — ვიმეორებ, უკან ვინც მოსდევდა, ეცვა გრძელსახელოებიანი პერანგი და თავზე თმა აქვს, რაც მთავარია, ეს დამავიწყდა, რომ მეთქვა დასაწყისში, ფირზე ჩანს, რომ კაცს თავზე თმა აქვს. **ბარათელი** იყო დაახლოებით 1.63 სმ, პატარა, გამხდარი, მკვეთრად შავგვრემანი. წაკითხვა არ მჭირდება, მაგრამ რამე არ გამომრჩეს, კარგად ვიცნობდი მას. მკვლელობის მომენტში თმა ჰქონდა გადახოტრილი, იყო კარგად მოშვებული წვერით.



*__რუსუდან შარაძე__ მოწმეების მონაყოლზე დაყრდნობით ასევე ყვება, რომ __მკვლელს, ვითომ ბარათელს,__ უკან მისდევდა ორი პოლიციელი. ნამდვილი მკვლელი ჯერ მარცხნივ შანიძის 10-12 ნომერში კუთხის სახლში შევარდა და ხორავას ეზოდან გაირბინა. საკუთარი თვალით იქამდე უყურა თავისმა ბავშვობის მეგობარმა, ვიდრე პეტრიაშვილის ჩიხში არ შევარდა. იქ არის ბოლოში სულ პატარა კიბეები, რომელიც პირდაპირ გადის კეკელიძის ქუჩაზე. მისი მეგობარი ყვება, რომ მხოლოდ ამის შემდეგ მოვიდა პოლიცია მანქანით და ჩადგა გზაჯვარედინზე, შანიძის და პეტრიაშვილის კუთხეში.*

**რუსუდან შარაძე:** — ჩემი ღრმა რწმენით, მკვლელმა, რომელმაც აირბინა შანიძე, იქ იბოდიალა და მერე გადაუხვია, აი, იქიდან გავიდა სამშვიდობოს. ამ დროს გამოიყვანეს **ბარათელი** შანიძის და ხორავას კუთხეში. ეს სცენარი ფანტასტიკას ჰგავს, მაგრამ, მერწმუნეთ, რომ ოფიციალური ვერსია ამაზე უფრო ფანტასტიკურად ჟღერს.

ამ დროს მოიყვანეს **ბარათელი,** აი, ამ კუთხეში. იქ ნახეს მოწმეებმა, რომლებიც მას იცნობდნენ და მიესალმნენ. წესით, ბარათელი ორმხრივ სროლაში უნდა ყოფილიყო, გარბოდეს და უკან მისდევდეს პოლიცია. საიდან მოხვდა ახლა იქ ბარათელი?

**დავუბრუნდები თვითონ ბარათელის მონაყოლს, რაც მან 2012 წლის შემდეგ მოჰყვა. 20 მაისს, შუადღეს, ის ქუჩაში აიყვანეს, წაიყვანეს თბილისის ზღვაზე, სადაც ურტყეს, აწამეს, ითხოვდნენ, ეღიარებინა გურამ შარაძის მკვლელობა. მერე თქვა — მე უკვე მოკლული მეგონა, არ ვიცოდი, რომ ცოცხალ კაცზე მაიძულებდნენო. ამის შემდეგ ჩაკეტეს ფარეხში და ელოდებოდნენ შესაბამის დროს, რომ იქ მიეყვანათ, სადაც მკვლელმა გაირბინა. მომიყვა, რომ მიმიყვანეს იმ ადგილას, გამიღეს კარი და მითხრეს, გადადიო, ერთი მომენტი ვიფიქრე, მართლა გამიშვესო.**

*აქვე, __რუსუდან შარაძე__ იხსენებს ერთი ბიჭის ჩვენებას, რომელიც იყო ტელევიზიის თანამშრომელი და გიორგი ბარათელს კარგად იცნობდა. მან ბარათელი შანიძის 10-12 ნომერთან დაინახა და ეუცნაურა, პერანგს იხდიდაო. ისინი შუა გზაში შეხვდნენ ერთმანეთს და მიესალმნენ — მე გამარჯობა ვუთხარი და გიომ თავი დამიქნიაო. მისივე თქმით, არ გარბოდა, დაჭრილი არ იყო, იარაღი არ ჰქონდა და პოლიციით გადავსებული იყო იქაურობა.*

*კომისიის შეკითხვაზე — მაინცდამაინც თავისი ახლობლები როგორ შეესწრნენ ამ მკვლელობას, __რუსუდან შარაძე__ აკონკრეტებს, რომ მისი ბავშვობის მეგობარი იმუხნელი იყო და ოჯახის მეგობარი ცოლ-ქმარიც მკვლელობის ადგილის მიმდებარე კორპუსში ცხოვრობდა.*

**რუსუდან შარაძე:** — მე სიმართლეს ვლაპარაკობდი, ქალბატონო თეა, მაგრამ, სამწუხაროდ, მაშინ საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა იყო გამარჯვებული ხალხის ტელევიზიის ტყვე. ჩემთვის ძალიან მტკივნეულია, რომ **გურამ შარაძეს** ძალიან ბევრი არ უჯერებდა, არადა, რისი მომსწრეც ვართ დღეს ყველანი, მთელი მსოფლიო და არამარტო საქართველო, აი, ამას ამბობდა **გურამ შარაძე** და ამისთვის მოკლეს.

**დღეს რომ მე აქ ვზივარ, თქვენ წინაშე და ამ თემაზე სრულყოფილი ლაპარაკის საშუალება და უფლება მაქვს, ეს იმის ნიშანია, რომ დამთავრდა გამარჯვებული ხალხის ტელევიზიების და მათ ტყვეობაში მყოფი ადამიანების დრო და ეს არის ბედნიერება!**



გიორგი ბარათელი ციხიდან გამოსვლისას. 2017

**„მამაჩემს უკან მოჰყვებოდა მკვლელი, მინიმუმ, მამაჩემის სიმაღლე – 1.75 სმ. ბარათელი იყო დაახლოებით 1.63 სმ...“**

მამაჩემის მკვლელობის ნამდვილი დრო არის **20 საათი და 10 წუთი.** ბარათელი დააკავეს **21 საათსა და 5 წუთზე.** ე.ი. 55 წუთი საშუალოდ იყო გასული მკვლელობიდან. ეს დრო იმიტომ მოიპარეს, რომ მთელი ეს მკვლელობის ინსცენირება მოეწყოთ. თან **ბარათელმა** ძალიან დიდი წინააღმდეგობა გაუწია, ის არ იყო თანახმა. სულ რომ შემოერბინა მთელი ვერა, ყველა ეზო და ყველა კორპუსი, ამდენი დრო არ დასჭირდებოდა. ადგილზე არ ჩატარებულა ჩხრეკა, არ შედგენილა ოქმი. ამის მიზეზად საქმის მასალებში წერია, რომ **ბარათელი** იყო კბილებამდე შეიარაღებული. აქვე ვიტყვი, რომ დაკავებიდან 40 წუთის განმავლობაში **ბარათელი** არ გაჩხრიკეს, რადგან იყო შეიარაღებული და დაჭრილი. **დოკუმენტურად შემიძლია ყოველი წამი და ნაბიჯი დაგიდასტუროთ, რომ ბარათელი ძველი თბილისის პოლიციაში მიიყვანეს 25 წუთში, იქ ჰყავდათ საათნახევარი სულ მარტო და ექიმი არ გაუკარებიათ.**

**თეა წულუკიანი: — დამნაშავეს, რომელიც შეიპყრეს, სავარაუდოდ, იმიტომ მისდევდნენ, რომ კაცი ჰყავდა მოკლული, არ განაიარაღეს, არ გაჩხრიკეს და ისე კბილებამდე შეიარაღებული ატარეს 40 წუთი?! სწორად გავიგე?**

**რუსუდან შარაძე:** — დიახ, 25 წუთი ატარეს გზაში და 15 წუთი უკვე ადგილზე.

**თეა წულუკიანი: — „ალდაგის“ რომელიმე წარმომადგენელი დაკითხულია ამ საქმეზე? მაპატიეთ, წინ გავრბივარ ცოტა.**

**რუსუდან შარაძე:** — არ დაკითხულა, ვინ დაჰკითხავდა, აბა?! **დათო გამყრელიძემ** მაშინ თქვა — ჩემი აღარ არისო. რა მნიშვნელობა აქვს, ვისია, სულ არ დაინტერესებულა. **დათო გამყრელიძეს,** კიდევ, **რამაზ კლიმიაშვილი** რომ მოკლეს და პირველი მივიდა იქ, რამდენი ინფორმაცია აქვს და იმის მერე ხმა რომ არ ამოუღია, დარბის დღეს და სახელმწიფოს ძირს უთხრის. მკვლელობებში მონაწილეობას, რასაკვირველია, არ დავაბრალებ და არც ვფიქრობ, პირში წყალი ჩაიგუბა, ამდენი წელია, კაცს არ უნახავს და ახლა გამოხტა და კიდევ ჩვენ წინააღმდეგ, ქართველების, საქართველოს წინააღმდეგ, მკვლელების დასაცავად გამოდის, სახლიდან ცხვირს ვერ უნდა ყოფდეს ეგ არამზადა!

როგორც გითხარით, 15 წუთში ჩატარდა ჩხრეკა, **ბარათელს** ამოუღეს მთელი არსენალი, ტეტეს იარაღი, ორი მჭიდი სავსე, 28 ვაზნა, დანა. ეს ყველაფერი **ბარათელს** რომ ჯიბეში ჩაედო, მეგობრებო, მას შეიძლებოდა ნაბიჯი ვერ გადაედგა. არ დაგავიწყდეთ, ოფიციალური ვერსიით, იყო ორმხრივი სროლა და იქაც ისროლა. ბარემ გეტყვით, როდესაც ის საცხოვრებელი სახლი გაჩხრიკეს, სადაც **ბარათელი** ათევდა, ამოიღეს იარაღის საწმენდი ზეთი. არავითარი იარაღი და არავითარი ტყვია. ე.ი. რას ნიშნავს, რაც კი რამე ჰქონდა **ბარათელს,** აისხა და ქუჩაში სეირნობდა, სადმე კი არ მიდიოდა, ოფიციალური ვერსიით.

**თეა წულუკიანი: — საზოგადოებისთვის რომ განვმარტოთ, ოფიციალური ვერსია არ იყო, რომ ბარათელი უთვალთვალებდა და დასდევდა შარაძეს. მოსეირნობდა, იყო რა შეიარაღებული კბილებამდე, უცბად დაინახა გურამ შარაძე, თქვა, ამას ვეძებდიო და მოკლა.**

**რუსუდან შარაძე:** — კი ბატონო, აი, ასე იყო. მოტივი სახელდება, რომ მისმა შვილმა, ანუ ჩემმა ძმამ **გიორგიმ** 2001 წელს აწყენინა. გიამბობთ, რატომ ამოარჩიეს მაინცდამაინც **ბარათელი. მოგეხსენებათ, რომ პოლიტიკურ მკვლელო-**

*გაგრძელება მე-6 გვერდზე*

## კვირგვინოსნები

**ვიქტორ ყიფიანი**
*ანალიტიკური ორგანიზაცია „ჯეოქეისის“ თავმჯდომარე*



თუ გლობალურად შევხედავთ მსოფლიოს, **ჩინეთთან ურთიერთობს ნებისმიერი საღად მოაზროვნე ქვეყანა და ხელისუფლება,** მაგრამ ეს პოლიტიკა არ უნდა ემსახურებოდეს ჩვენი **მაგისტრალური ვექტორის** დაზიანებას.

„კვირის პალიტრა“

**მამუკა არეშიძე**
*უსაფრთხოების საკითხების ექსპერტი*



იძახონ **ცრუ პარლამენტი** და **ცრუ მთავრობა,** მაინც არიან მიღებული დასავლური პოლიტიკური ელიტის კარზე. ამერიკელებისთვის ცხადია, რომ **არანაირი ალიანსი ან გადახრა რუსეთისკენ „ქართულ ოცნებას“ არა აქვს,** მაგრამ ვაშინგტონი „ქართულ ოცნებას“ მაინც სჯის, მიზეზი კი, როგორც ჩანს, ისაა, რომ **საქართველოს ხელისუფლება გარკვეულწილად „მორჩილების რეჟიმიდან“ გამოვიდა.** მაგალითად, ამერიკელებს არ მოსწონთ საქართველოსა და ჩინეთის მზარდი პარტნიორული ურთიერთობა.

„კვირის პალიტრა“

**ირაკლი გოგავა**
*საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი*



**ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზაცია** იყო დასავლეთის ერთ-ერთი მოთხოვნა. ამას ლობირებდა **სოროსის** მიერ დაფინანსებული ორგანიზაცია **„თეთრი ხმაური“.** ეს იმ ტექნოლოგიის ნაწილია, რისი მიხედვითაც, **თუ გინდა, ერი დაიმორჩილო, მისი აქტიური ნაწილი უნდა „შესვა“ ნარკოტიკებზე, ალკოჰოლზე, პორნოგრაფიაზე, აზარტულ თამაშებზე,** რომ წინააღმდეგობა ნაკლებმა გაგიწიოს.

„თბილისელები“

**ზაზა შათირიშვილი**
*ფილოსოფოსი*



არსებობს ამერიკული ხუმრობა: **„ერთადერთი ქვეყანა, სადაც რევოლუცია არასოდეს მოხდება, აშშ-ია. მიზეზი მარტივია — აქ აშშ-ის საელჩო არ არსებობს“.** ჩვენ 2003 წელს აშშ-ის ორგანიზებული რევოლუცია **9-წლიან დიქტატურად** დაგვიჯდა.

„მარშალპრესი“



**„ჩემს ოქროს მოწმეს, სანამ უარს იტყოდა მკვლელობაზე, კალაშნიკოვის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი გადასცა თვითონ კოხტა კოდუამ, ფული – კოხტა კოდუას ბიძამ, ქარდავას დავალებით!“**

# რუსუდან შარაძე:

# მკვლელიც რომ იყოს, მოვიდეს

*დასაწყისი მე-4 გვერდზე*

**ბებს ყოველთვის საბაბად უდებენ სუსტ წერტილს, მერე ამ სუსტ წერტილს დაიხვევენ ხელზე, ამით მიცვალებულსაც ამოსვრიან ტალახში, ოჯახსაც და კეთილის მსურველებსაც აჩერებენ, არის დიდი ცოდვა-ტრიალი.** **გურამ შარაძის** წინააღმდეგ ერთი წინადადება ვერ იპოვეს, არათუ ფაქტი, რომ მის წინააღმდეგ გამოეყენებინათ. ის იყო უსუფთავესი ადამიანი როგორც მორალური, ისე ცხოვრების წესით. **მამაჩემის ერთადერთი სუსტი წერტილი გახლდათ გიორგი შარაძე, რომელსაც, თუ გნებავთ, მოგიყვებით, მაგრამ ისედაც იცნობდა მთელი საქართველო.** **გიორგი შარაძის** ირგვლივ ყველაზე დაუცველი და ყველაზე მეტად ვინც ჩაჯდა სცენარში, იყო **გიორგი ბარათელი.** ერთია, რომ ძალიან პატარა სიმაღლის იყო და ამან გახვია შარში სააკაშვილის გამოძიება.

ჩემი **გიორგი** გახლდათ ქართული დამოუკიდებელი ტელევიზიის ერთ-ერთი ყველაფერი, ვიტყოდი. „იბერვიზია“ გეხსომებათ, ალბათ. მას იგივე წარმატებით შეეძლო მოღვაწეობა მეცნიერებაშიც. იყო უზომოდ ნიჭიერი ყველა სფეროში, ყველა მხრივ. არ მრცხვენია ამის თქმა. შვეიცარიაში იყო ჩვენი საელჩოს კულტურის ატაშე, იქ მიაგნო და საქართველოს დაუბრუნა ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის შტანდარტის, დროშის და კონსტიტუციის ორიგინალები, რომელიც 2001 წლამდე დაკარგული იყო და მამაჩემმა ვერსად ვერ მიაგნო. გიორგიმ ეს საქართველოს დაუბრუნა, პარლამენტშიც ეკიდა, მაგრამ **სააკაშვილმა** მოსპო, ახიკა და ჩაკეტა არქივში.

**გიორგი** ასევე **გიორგი რობაქიძის** არქივს ეძებდა, ჰქონდა გამოკვლევები **ხარიტონ შავიშვილზე** და ამასთან დაკავშირებით ჭირდებოდა დამხმარე ოპერატორი. 93 წელს, **ოთარ ფაცაცია** იყო მაშინ პრემიერ-მინისტრი, ცნობილმა სახეებმა, მომღერლებმა, მსახიობებმა და ა.შ. ჩაატარეს აქცია. ქსნის კოლონიიდან გამოიყვანეს არასრულწლოვნები და დაასაქმეს. **გიორგიმ ბარათელი** წამოიყვანა ქსნის კოლონიიდან. ის შეიძლება ანგელოზი არ იყო, მაგრამ მძიმე დანაშაული არასოდეს ჩაუდენია. **გიორგი ბარათელი** პირველ არხზე წაიყვანა, ჰყავდა ძმასავით, გადაჰყვა ზედ. ამას იმიტომ არ ვამბობ, რომ **გიორგი** — ჩემი ძმა წარმოვაჩინო. **უბრალოდ, მაშინ გავრცელდა ხმა,** რომ ვალი ჰქონდათ შარაძეებს, არ გადაუხედესო. ერთ-ერთი ჭორი ეს იყო. **გიორგი შარაძეს** კი არ ჰქონდა ვალი, **გიორგი შარაძის** ვალი აქვს დღემდე ბევრს. ყველამ თავის გულში ჩაიხედოს.

მოკლედ, გიორგიმ გიორგი ბარათელი შვეიცარიაში დამხმარე ოპერატორად წაიყვანა, ჰონორარზე ლაპარაკი არ ყოფილა, მაშინ ჟურნალისტები ჟენევაში კი არა, მეორე უბანში ტანსაცმელი. **ამით იმის თქმა მინდა, რომ არავითარი ცუდი ურთიერთობა და უთანხმოება მათ შორის არ ყოფილა, 2001 წლის შემდეგ გიორგი ბარათელი თვალით არ უნახავს.**

მოვედით 1 ოქტომბერთან. მანამდე **ბარათელი** ცოცხალი იყო თუ მკვდარი, ინფორმაცია არ გვქონდა. ციხეში ზუსტად ოქტომბრის თვეში მოინახულეს **დიმიტრი ლორთქიფანიძემ, სოსო მანჯავიძემ და ნინო მიქიაშვილმა.** მან აღიარა, რომ მკვლელი არ იყო და მზად იყო ჩვენების მისაცემად.

**ძალიან საინტერესო და შოკისმომგვრელია, რომ გიორგი ბარათელმა ხელი არ მოაწერა არცერთ დოკუმენტს, არათუ მკვლელობა აღიარა.** რა ექნათ და მოიტყუეს, რომ იყო **ირაკლი ოქრუაშვილთან** დაახლოებული პირი, მძღოლიც, დაცვაც, ნათელმირონიც, უახლოესი ადამიანი, მოკლედ. შეიპყრეს ეს ჩიხლაძე, რომ ოქრუაშვილზე მიეღოთ ის ჩვენება, რაც მათ აწყობდათ. ეს კაცი სასტიკად აწამეს. უკვე მოდიოდა 1 ოქტომბერი და ღვიოდა გამარჯვების იმედი, ციხის კადრები გავრცელებული იყო. ციხიდან გამოსულ მის ადვოკატს **ედიშერ ქარჩავას** ასეთი რამ დააბარა — **დათა ახალაია დამემუქრა, მე მოვკალი, გავასაღე გურამ შარაძე და როგორც დავგეგმე და გავასაღე გურამ შარაძე, ისე გაგასაღებ შენც, თუ არ იტყვი, რაც გვინდაო.**

ამასობაში **ბარათელმა** მოითხოვა, იქნებ მიშოვოთ კეთილსინდისიერი ადვოკატიო. რად, უნდა წაგიკითხოთ:

*„ვიყავი ეგრეთ წოდებულ „ბალნიჩკაში“ მოთავსებული და ვითხოვდი უშედეგოდ დაწესებულების უფროსთან შეხვედრას. ერთხელაც თანამშრომლებმა მითხრეს, უნდა შეგახვედროთ უფროსსო და ჩამიყვანეს უფროსის კაბინეტში. იქ დამხვდა ჩემთვის უცნობი ორი პიროვნება, რომლებსაც სახეზე ვცნობდი, ასევე ვიცი ერთ-ერთი მათგანის სახელი და გვარი, იგი ამოვიცანი ტელევიზორში“ (ქვემოთ ამბობს და მე გეტყვით, რომ არ აგვერიოს, ეს არის* ***ოლეგ მელნიკოვი!****), ხოლო მეორე, რომელსაც მხოლოდ სახეზე ვცნობ, ისიც მყავს ტელევიზიით ნანახი, მაგრამ სახელი და გვარი არ ვიცი.*

*ამ ადამიანებმა მითხრეს, თუ არ დავეთანხმებოდი მათ წინადადებას, სუფთა ჰაერს არ მაღირსებდნენ, ასევე დამემუქრნენ ჩემი შვილის დაჭერით. შემომთავაზეს, დამერწმუნებინა* ***გიორგი ბარათელი,*** *რომ მიეცა ჩვენება. მე* ***გიორგი ბარათელს*** *მანამდე არ ვიცნობდი. ერთ-ერთმა მათგანმა, რომლის სახელი და გვარი არ ვიცი, ისე რომ არ წამომდგარა სკამიდან, ხელში ეჭირა ჩემი საქმე და ექსპერტიზის დასკვნები, მითხრა, რომ მეკუთვნოდა სასჯელის გადავადება და გადამივადებდნენ კიდეც სასჯელს ერთ კვირაში, თუ მათ შეთავაზებას დავთანხმდებოდი. მანვე მითხრა, რომ* ***ბარათელს,*** *თუკი იგი მისცემდა მათთვის სასურველ ჩვენებას, მნიშვნელოვნად შეუმცირებდნენ სასჯელს და მალე გავიდოდა.*

*მეორე მათგანმა, რომლის სახელი და გვარი ვიცი ამჟამად* ***(ე.ი. მელნიკოვმა რ.შ.)*** *კონკრეტულად მითხრა, რომ მე უნდა დამერწმუნებინა* ***ბარათელი,*** *მიეცა შემდეგი შინაარსის ჩვენება, კერძოდ, მასთან მივიდოდა გამომძიებელი მისივე თხოვნით და ბარათელი ჩვენებაში განაცხადებდა, რომ, თითქოს, გურამ შარაძის მკვლელობა შეუკვეთა* ***გოგა ხაინდრავამ.*** *ჩვენება რომ დამაჯერებელი ყოფილიყო, მანვე აღმიწერა* ***გოგა ხაინდრავას*** *სახლის ინტერიერი.*

***ბარათელს უნდა ეთქვა, რომ გოგა ხაინდრავა დაჰპირდა, გურამ შარაძის მკვლელობის შემდეგ მისცემდა 500 ათას დოლარს, სუფთა პასპორტს, მიიყვანდა აეროპორტში და საზღვარგარეთაც უპატრონებდა. ამასთან, ბარათელი 2 წელი არ უნდა ჩამოსულიყო საქართველოში. ამასთან, მითხრეს, რომ, თუ სადმე გავამხელდი, სასტიკად დავისჯებოდი, რაც მე დღემდე მართლაც არსად არავისთვის მითქვამს და ახლა ვაცხადებ ჩემს ადვოკატთან.***

*ამის შემდეგ ორ დღეში ჩემს საკანში შემოვიდა უფროსი და უსაფრთხოების უფროსი, მათ მითხრეს,* ***ბარათელი*** *შემოგვყავს თქვენთან და ვინმეს ხომ არ გაქვთ პრობლემაო. ჩვენ ვუთხარით, რომ პრობლემა არ იყო და შემოიყვანეს* ***გიორგი ბარათელი.*** *კამერაში ვიყავით მანამდე მე და ჩემი მეგობარი, რომელიც ამ საუბრის შემდეგ დარჩა ჩემთან ჩემივე თხოვნით. მე* ***ბარათელს*** *რამდენიმე დღის განმავლობაში ვესაუბრე. აღნიშნულ საკითხზე თვითონ დაინტერესდა და მომიყვა კიდეც თავისი ამბები, რომელ კამერაში რა შეემთხვა და რა კონფლიქტები ჰქონდა.* ***იგი თითქმის ყველა კამერიდან გარბოდა, იმიტომ, რომ ყველგან ზეწოლის ქვეშ იყო. რომ მოვისმინე მისი მონაყოფილი, შემე-***



**„გოჩა ჩიხლაძემ ციხიდან გამოსულ მის ადვოკატს ედიშერ ქარჩავას ასეთი რამ დააბარა – დათა ახალაია დამემუქრა, მე მოვკალი, გავასაღე გურამ შარაძე და როგორც დავგეგმე და გავასაღე გურამ შარაძე, ისე გაგასაღებ შენც, თუ არ იტყვი, რაც გვინდაო!“**

ში ძლივს მოძრაობდნენ. იქ დიდი მაღაზიაა, მანორი ჰქვია, ჩასვლის დღესვე გიორგიმ გააფრთხილა — აქ რამეზე ხელი არ წაგცდეს, ყველგან კამერებიაო. რომ ბრუნდებოდნენ თბილისში, **ბარათელი** გაქრა, დაიკარგა და ზუსტად იმ მაღაზიაში, რომელზეც **გიორგი შარაძემ** გააფრთხილა, კამერის წინ მოიპარა უმნიშვნელო ნივთი, რომ დარჩენილიყო. არ უნდოდა საქართველოში დაბრუნება. **რადგან გიორგიმ არ იცოდა, სად იყო, დაუტოვა ერთი ჩემოდაჭრილი** მარჯვენა მხარში და ვერ მოაწერდა ხელს. სინამდვილეში მარცხენა მხარში იყო დაჭრილი. კადრებში ჩანს, რომ მარჯვენა ხელი ჰქონდა შეხვეული, არადა, მარცხენა მხარზე ჰქონდა სისხლის წვეთები. ამის დოკუმენტურად დადასტურებაც შემიძლია. ასე უერთგულა ჩემს ძმას ბოლომდე.

პირველად **გურამ შარაძის** საქმეში **დათა ახალაიას** გვარი 2012 წლის 19 სექტემბერს პატიმარ გიორგი, იგივე **გოჩა ჩიხლაძისგან** გაისმა... იგი იყო ჩვენი თხოვნით, სრულიად უანგაროდ საქმეში ჩაერთო **მამუკა ნოზაძე** და მისი მადლიერი ვიქნები ყოველთვის. **ბარათელმა** ჩვენებაც მისცა მას და მისი მიმართვაც გამოაქვეყნა საზოგადოებისთვის. შველას ითხოვდა და ამბობდა, რომ ის არ იყო გურამ შარაძის მკვლელი. 2012 წლის 30 ნოემბერს **გიორგი ბარათელმა მამუკა ნოზაძეს მოუყვა ბევრი რამ, მათ შორის, ერთი ასეთი ისტორიაც** — ვინმე **ხვიჩა,** რომელიც ეტლში იჯდა, აიძულებდა მას, ეთქვა, რომ **გურამ შარაძის** მკვლელობა შეუკვეთა **გოგა ხაინდრავამ.** სადღაც 2 თვეში გამოჩნდა ადვოკატი, მაშინ ჩემთვის უცნობი **ირაკლი ბაბრიჩიძე.** მასაც დიდი მადლობა, რომ უანგაროდ დაგვიდგა გვერდით. მან თქვა, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფ კაცს ჰქონდა ინფორმაცია, რომელიც არასოდეს არავისთვის უთქვამს. **ირაკლი ბაბრიჩიძემ** თავის დაცვის ქვეშ მყოფ კაცს ჩამოართვა ჩვენება და ეს აღმოჩნდა **ხვიჩა.**

აქვე ვიტყვი, რომ ეს **ხვიჩა** პროკურატურამ დაჰკითხა არაერთხელ. ბოლოს **ირაკლი შოთაძემ** ბაქოში დააკითხვინა. რასაც ეს **ხვიჩა** ყვება დეტალურად,

## კვირგვინოსნები



**ბერა ივანიშვილი**
*ბიძინა ივანიშვილის ვაჟი*

**მამას ყველაზე მეტად სტკივა გული** ქართველი ადამიანის წინააღმდეგ ძალადობაზე... **სანქციები უკვე კომიკური გახდა, არ მეშინია.**

„რეზონანსი“



**ალუდა ღუდუშაური**
*პარლამენტარი*

შეიძლება, ქართველმა **100 პროცენტით გაიღოს თავისი მატერიალური, მაგრამ ერთი პროცენტით არ დათმობს ღირსებას,** ამაში წააგეს ნაცებმა, რომ შეეხნენ ღირსებას, ისტორიას, ეკლესიას, რწმენას.

„პირველი არხი“



**რამაზ საყვარელიძე**
*პოლიტოლოგი*

**დღევანდელ ოპოზიციას ხელისუფლებაში მოსვლა არ უნდა.** თუ ხელისუფლებაში მოსვლა გინდა, უნდა იმუშაო ამომრჩეველთან და **მიიღო არჩევნებში მონაწილეობა,** სხვაგვარად ძალაუფლება არ მოდის.

„ახალი თაობა“



**გიორგი კახიანი**
*პარლამენტის ვიცე-სპიკერი*

რაც დრო გადის, საზოგადოება კიდევ ერთხელ რწმუნდება, რომ **არჩევნები იყო ლეგიტიმური.**

„პირველი არხი“



**ალექსანდრე წულაძე**
*განათლების და მეცნიერების მინისტრი*

დღეს ყველა საუბრობს **ხელოვნურ ინტელექტზე,** თუმცა, ტექნოლოგიები ყოველთვის იყო და დარჩება დამხმარე ინსტრუმენტად — **მასწავლებელს ვერაფერი შეცვლის.**

„იმედინიუსი“

# „მე მას ყოველდღე ვუნთებ სანთელს, იმიტომ, რომ მან არ შეასრულა ბრძანება და არ მიიღო მონაწილეობა მამაჩემის მკვლელობაში!“



# და თქვას სიმართლე, მეტი მე არაფერი მინდა!

**ცოდა და ვუთხარი, კარები რომ გაიღებოდა და წყალზე გავიდოდა, უკან აღარ დაბრუნებულიყო, რაც მან გააკეთა და უკან აღარ დაბრუნებულა.** მე მისი საუბრიდან და, ზოგადად, სიტუაციიდან გამომდინარე დავრწმუნდი, რომ ის არ იყო **ზურამ შარაძის** მკვლელი. ამის შემდეგ ჩემზე, იმის გამო, რომ არ შევასრულე მათი მოთხოვნები **ბარათელთან** მიმართებაში, განხორციელდა წამება და გრძელდებოდა თვეების განმავლობაში. აქვე ვაცხადებ, რომ იმ ადამიანებიდან ერთ-ერთმა, რომელიც მთავაზობდა **ბარათელისთვის** მეთქვა ესა და ის, იყო **ოლეგ მელნიკოვი.** მეორე ტელეფონზე საუბრობდა, ახსენებდა **თოფუს** გავაგებინეთო. **თოფუ** თანახმა არისო, ზოგ შემთხვევაში შეფსაც მოიხსენიებდნენ ხოლმე“.

შეფი, როგორც ვიცით, იყო **ვანო.** პირველი, როგორც ვიცით იყო **მიშა.**

**თეა წულუკიანი: — თოფუ ვინ იყო?**

**რუსუდან შარაძე:** — თოფურიძე სოსო!

**თეა წულუკიანი: — ვინ იყო სოსო თოფურიძე?**

**რუსუდან შარაძე: — სოსო**

*ბის დავალება იყო შესასრულებელი. თუ ვის გულისხმობდა უფროსებში, ჩემთვის არ განუმარტავს. ასევე მკითხა —* ***გაგონილი მქონდა თუ არა გურამ შარაძის სახელი და გვარი, რაზედაც მე ვუპასუხე, რომ ასეთ პიროვნებას არ ვიცნობდი.*** *მან მითხრა, რომ სულ „ტუპიაკი“ ხარო. ამის შემდეგ განმიმარტა, რომ მოსაშორებელი იყო* ***ზურამ შარაძე.*** *აღნიშნულზე მე ვკითხე, მოსაშორებელში რას გულისხმობდა.* ***დასაჭერი ხომ არ არ-***

*იყვნენ* ***გია ფაჩულია*** *და მეტსახელად* ***ჯგერე,*** *რომლის სახელი და გვარი არ ვიცი“.*

მე ვიცი და ეს გახლავთ **თემურ ჯგერენაია.**

**სოზარ სუბარი: — უკაცრავად, ქალბატონო რუსუდან, ეს მასტერაც განვმარტოთ. ეს არის** გიორგი დგებუაძე**, ასევე კუდის მაღალჩინოსანი, ასევე ადამიანი, რომელიც მონაწილეობს იგივე გირგვლიანის საქმეში, სამი აჭარელი ბიჭის დახვრეტაში, ნავთლუღის სპეცოპერაციად რომ არის ცნობილი და**

*სა და* ***მეგის ქარდავას*** *შორის ინციდენტის შემდეგ დაიძაბა ურთიერთობა“.*

ამ კაცის ერთგულებაში ეჭვი შეიტანეს, რახან არ შეასრულა დავალება. მაშინვე დაიჭირეს, მერე **თენგიზ გუნავამ** თავის კაბინეტში ათრია. ბოდიშს ვიხდი ამ გამოთქმისთვის. უთხრა, რომ **შენ ახლა წახვალ და შენს საკუთარ ბიძას, რომელიც რუსეთიდან რაღაცას ვაჭრობდა და ორი კაპიკი ჰქონდა, ჩაუდებ ნარკოტიკს და დაიჭერ, საკუთარ ბიძაზეა ლაპარაკი.** ამაზე, რა თქმა უნდა, უარზე წავიდა.

ჩემს ოქროს მოწმეს, სანამ უარს იტყოდა მკვლელობაზე, კალაშნიკოვის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი გადასცა თვითონ **კოხტა კოდუამ,** ფული — **კოხტა კოდუას ბიძამ, ქარდავას დავალებით.** როცა უარი თქვა მკვლელობაზე, როგორც გითხარით, **თენგიზ გუნავამ** საკუთარი ხელით საკუთარ კაბინეტში სასტიკად სცემა, მერე საკუთარი ბიძის დაჭერა დაავალეს, ესეც რომ არ გააკეთა, შეუვარდნენ სახლში, სასტიკად სცემეს და ამოიღეს **კოხტა კოდუას** მიერ მიცემული იარაღი — **თავისივე მიცემული იარაღის უკანონოდ შენახვისთვის დააპატიმრეს, ჯვარს აცვეს, რა თქმა უნდა, ის 5 ათასი ლარიც წაართვეს და წლები ძალიან ცუდ ვითარებაში ჰყავდათ.** მერე, რომ დარწმუნდნენ, არ გაგვთქვამსო, გამოუშვეს, მაგრამ ის გახდა „ოცნების“ აქტივისტი. **ბატონი ბიძინა** შემოვიდა პოლიტიკაში, დააარსა „ქართული ოცნება“ და ვერავინ რომ ვერ ბედავდა, ამ ბიჭმა თქვენ დაგითმოთ საკუთარი სახლი ოფისად, ისე იყო გამწარებული.

**თეა წულუკიანი: — ამ შემთხვევაში, ალბათ, სჯობს მისი სახელის და გვარის თქმა.**

**რუსუდან შარაძე:** — კი ბატონო, ის არის **ზურიკა ქადარია.** მე ეს ბევრჯერ მითქვამს ტელევიზიითაც და გაზეთითაც.

ახლა სად არიან ის სპეცრაზმელები, რომლებიც, ქადარიას თქმით, უნდა წამოეყვანათ და მოეკლათ **ზურამ შარაძე?!** ერთ-ერთი მათგანი **თემურ ჯგერენაია** ცოტა ხანში გაათავისუფლეს სამსახურიდან, გადაიხვეწა რუსეთში და იქ გაურკვეველ ვითარებაში მოკლეს. მეორე, **გია ფაჩულია, შარშანდლამდე იყო სამეგრელო-ზემო სვანეთის სპეცრაზმში კარგ თანამდებობაზე, უფროსის მოადგილედ, მაგრამ ბოლოს, როგორც გავიგე, ველარ დაუმალავს თავისი ნაციონალობა და შარშან გამოუგდიათ სამსახურიდან.** მე ასე ვიცი, ამის დოკუმენტი არ მაქვს, რაც მითხრეს, ის გადმოგეცით.

2013 წლიდან ვამბობ, რომ **გია ფაჩულია** მკვლელია. კაცი ცოცხალია, ახალგაზრდა, ჯან-ღონით სავსეა და ერთხელ არ შეწუხებულა არც ის, არც მისი ახლობელი არავინ დედამიწის ზურგზე, რომ რაღაცნაირად მაინც ეთქვათ, გაგიჟდი? მე უდანაშაულობის პრეზუმფციაზე მსმენია, მე ეს ვიცი, მაგრამ შეგნებულად ვასახელებ მის გვარს, როგორც მკვლელს. გია ფაჩულია არის მკვლელი!

ამ მკვლელობის შესასრულებლად დილეტანტს არ წამოიყვანდნენ. **ფაჩულია** დაჰკითხა პროკურატურამ, როცა გამოძიება დაიწყო 2014 წელს. რა თქმა უნდა, მკვლელობაზე უარზე გავიდა.

**თეა წულუკიანი: — ე.ი. გია ფაჩულიას გაუცია თქვენ-**

**თოფურიძე** იყო ჯალათი. მისი თანამდებობა ზეპირად არ მახსოვს.

*კომისიის წევრებმა შეახსენეს, რომ ის იყო* ***დათა ახალაიას მოადგილე.*** *მთავარი პიარგამხმოვანებელი იმ საშინელებებისა და ტყუილების, რასაც კუდი აკეთებდა ხოლმე. ამჟამად გაქცეული და ძებნილია.*

**რუსუდან შარაძე:** — 2013 წელია, ჯერ საქმის ხელახალი გამოძიება არ არის დაწყებული. **ნანა ფაჟავა** გახლავთ ჟურნალისტი, რომელსაც სამეგრელოს სინდისს დავარქმევდი, უფრო სწორად, კარგა ხანია, დავარქვი. **ნანა ფაჟავამ მიწიდან ამოიღო, რასაც ჰქვია ოქროს მოწმე და ცოტა ხანში, აი, ამ მოწმის ჩვენების საფუძველზე, დაიწყო ხელახალი გამოძიება, როგორც ახლად აღმოჩენილი გარემოება.** ვინ იყო ეს მოწმე? ეს იყო პატარა ბიჭი, რომელიც **მეგის ქარდავას მარჯვენა ხელი** გახლდათ, მე არ ვამბობ, რომ ანგელოზი იყო, თუმცა, **მე მას ყოველდღე ვუნთებ სანთელს, იმიტომ, რომ მან არ შეასრულა ბრძანება და არ მიიღო მონაწილეობა მამაჩემის მკვლელობაში.** მისი უშუალო უფროსები იყვნენ **თენგიზ გუნავა და მეგის ქარდავა.** ახლა გიყვებით მის ჩვენებას:

*„2007 წლის მაისის თვეში მეგის ქარდავამ დამიბარა თავის სამუშაო კაბინეტში, სადაც იყო მარტო და მითხრა, რომ უფროსე-*

***ის-მეთქი.*** *რაზედაც მიპასუხა —* ***დასაჭერი კი არა, ფიზიკურად იყო მოსაშორებელი.*** *ამის შემდეგ მე მომცა დავალება, კერძოდ, აღნიშნული საქმის შესასრულებლად ქალაქ თბილისში უნდა ჩამომეყვანა ორი პიროვნება, რის შემდეგაც ჩვენ დაგვიკავშირდებოდა მეტსახელად* ***მასტერა.*** *მე ამ უკანასკნელს ფიზიკურად არ ვიცნობდი. მხოლოდ მისი მეტსახელი მქონდა გაგონილი და ვიცოდი, რომ მუშაობდა პოლიციაში.* ***მეგის ქარდავამ*** *დამისახელა იმ ორი პიროვნების სახელი და გვარი, ვინც უნდა ჩამეყვანა ქალაქ თბილისში და მოეკლა გურამ შარაძე. ესენი*

**უამრავ სხვა დანაშაულში.**

**რუსუდან შარაძე:** — ორივე მათგანი მუშაობდა სპეცდანიშნულების რაზმში, ანუ **ჯგერენაია და ფაჩულია.** ვაგრძელებ ამ ოქმის მოწმის ჩვენების წაკითხვას:

*„****მეგის ქარდავამ*** *კატეგორიულად გამაფრთხილა, რომ ჩვენს შორის საუბრის შესახებ არავისთვის არაფერი მეთქვა და დამემუქრა ოჯახის წევრების მისამართით. ჩემთვის* ***მეგის ქარდავას*** *არ დაუკონკრეტებია ზუსტი თარიღი, თუ*

*როდის უნდა შემესრულებინა მისი დავალება. მეორე დღეს* ***მეგის ქარდავამ*** *დამიბარა თავის სამუშაო კაბინეტში და ხელზე გადმომცა 5 ათასი ლარი პრემიის სახით. მე აღნიშნულზე გაოგნებული დავრჩი. არასდროს ყოფილა შემთხვევა, ასეთი თანხა ამეღოს, მითუმეტეს, ხელზე.* ***როდესაც გავერკვიე საქმის ვითარებაში და მივხვდი, რომ მონაწილე ვხდებოდი საშინელი ტრაგედიის, მეორე თუ მესამე დღ-***

***ეს შევედი მეგის ქარდავასთან და ვუთხარი, რომ ვიყავი ცუდად და აღნიშნულ დავალებას ვერ შევასრულებდი.*** *აღნიშნულზე* ***ქარდავამ*** *დამიწყო ყვირილი და დედის მისამართით გინება. ასევე დამემუქრა ოჯახის წევრების დაჭერით და გამომაგდო თავის სამუშაო კაბინეტიდან.* ***დაახლოებით ერთ კვირაში ტელევიზიის საშუალებით გავიგე, რომ ქალაქ თბილისში მოხდა ზურამ შარაძის მკვლელობა.*** *ჩემ-*




> „— ტელეფონზე საუბრობდა, ახსენებდა თოფუს გავაგებინეთო. თოფუ თანახმა არისო...
> თეა წულუკიანი: —
> თოფუ ვინ იყო?
> რუსუდან შარაძე: —
> თოფურიძე სოსო!“

გაგრძელება 26-ე გვერდზე

## კვირგვინოსნები

**პეტერ ფიშერი**
*საქართველოში გერმანიის ელჩი*



**გერმანიაში არ გაქვს უფლება, პოლიციელს სილა გაარტყა.** ყველამ ნახა ეს სილა, მაგრამ საკითხავია — **ნამდვილად იმსახურებს მზია ამაღლობელი 4-7 წლამდე პატიმრობას?** თან უკვე 4 თვეა ციხეშია. იქნებ ეს უკვე საკმარისია იმისთვის, რაც ჩაიდინა.

„ბათუმელები“

**თორნიკე შარაშენიძე**
*საერთაშორისო ურთიერთობების ექსპერტი*



**პუტინს** მიაჩნია, რომ ომს იგებს, ის **ზელენსკის** სალაპარაკოდ არ დაუჯდება, ის ელაპარაკება **ტრამპსა და სი ძინპინს.** პუტინისთვის მთავარია, **უკრაინა იყოს ნეიტრალური** და იყოს მის გავლენაში, ვიდრე ის, რომ **ტერიტორიები წაართვას და დანარჩენი უკრაინა გახდეს ევროკავშირის და ოდესმე ნატოს წევრიც კი.**

„კვირის პალიტრა“

**სერგეი ლავროვი**
*რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი*



რუსეთი აპირებს **მთელი უკრაინის, განსაკუთრებით კი რუსულენოვანი მოსახლეობის გათავისუფლებას ზელენსკის „ხუნტისგან“.**

„პირველი არხი“

**რადოსლავ სიკორსკი**
*პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრი*



ქვეყანა, რომელსაც **ვლადიმერ პუტინის** ადგილზე მოსმა შეუძლია, **ჩინეთია.**

„რეზონანსი“

***2025 წლის 20 მაისს, როცა ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის წარმომადგენელთა პალატის საგარეო საქმეთა კომიტეტში სახელმწიფო მდივან ᲛᲐᲠᲙᲝ ᲠᲣᲑᲘᲝᲡ მოსმენა შედგა, კიდევ ერთხელ თვალსაჩინოდ გამოჩნდა, რომ ტყუილი, უტიფრობა, ფარისევლობა, ცილისწამება და, საერთოდ, ყველანაირი მორალური ხრწნილება თანამედროვე ამერიკული პოლიტიკის ორგანულ ნაწილად არის ქცეული.***




# ᲠᲣᲑᲘ(Ო)ᲙᲝᲜᲘ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲚᲐᲮᲘᲐ!

საქმე ის გახლავთ, რომ **ნაციონალური მოძრაობის ლობისტმა და ბანდიტი კეზერაშვილის ფულებით მოქრთამულმა რესპუბლიკელმა კონგრესმენმა, ქართული სახელმწიფოსადმი მტრული კანონპროექტის — „მეგობარი აქტის“ ავტორმა ᲯᲝ ᲣᲘᲚᲡᲝᲜᲛᲐ** სახელმწიფო მდივან **ᲠᲣᲑᲘᲝᲡ** საქართველოს შესახებ დაუსვა ძალიან გრძელი კითხვა, რომელსაც ძალიან მოკლე ფეხები აქვს, რადგან თავიდან ბოლომდე ტყუილზეა აგებული:

*„მადლიერი ვარ ტრამპის ადმინისტრაციის მტკიცე პოზიციისთვის საქართველოში ანტიამერიკული „ქართული ოცნების“ რეჟიმის მიმართ. მათ გააყალბეს არჩევნები საქართველოში 26 ოქტომბერს. მათ კრიმინალიზაცია მოახდინეს ამერიკასთან ასოცირების შესახებ. მათ გააძევეს ამერიკული კომპანიები, დაბლოკეს ვაჭრობა და წიაღისეულის ხელმისაწვდომობა შუა დერეფანში, მიჰყიდეს საქართველო ჩინეთის კომუნისტურ პარტიას. მათ არაერთხელ შეურაცხყვეს პრეზიდენტი* ***ᲢᲠᲐᲛᲞᲘ*** *და ამერიკის ხელმძღვანელობა. ამის გათვალისწინებით,* ***ძალიან მადლიერი ვარ, რომ „რონდელის ფონდთან“ ერთად, გამოქვეყნდა ანგარიში, რომელიც მიუთითებს კონტროლზე ჩინეთის კომუნისტური პარტიის მიერ საქართველოში და მსურს, ეს წარმოვადგინო ჩანაწერისთვის.*** *გარდა ამისა, 200 დღის განმავლობაში თავისუფლების მოყვარული ქართველები გმირულად გამოდიან ქუჩაში, ეხვევიან ამერიკულ დროშებში და ატარებენ* ***ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢ ᲢᲠᲐᲛᲞᲘᲡ*** *პოსტერებს. თქვენი ხელმძღვანელობით, რა გაკეთდება იმისთვის, რომ სახელმწიფო დეპარტამენტმა საქართველოს ხალხის სახელით რეალური ფასი დააკისროს* ***ანტიამერიკულ „ქართულ ოცნებას“?***

**ᲙᲝᲜᲒᲠᲔᲡᲛᲔᲜᲘ ᲣᲘᲚᲡᲝᲜᲘ უტიფრად ცრუობს,** რადგან საქართველოში 2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები არ გაყალბებულა და არცერთ საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციას, რომელიც არჩევნებს აკვირდებოდა, მისი გაყალბების არცერთი მტკიცებულება არ დაუდია!

**ᲙᲝᲜᲒᲠᲔᲡᲛᲔᲜᲘ ᲣᲘᲚᲡᲝᲜᲘ უტიფრად ცრუობს,** რადგან საქართველოს ხელისუფლებას არცერთი ამერიკული კომპანია არ გაუძევებია და ქვეყანა ჩინეთის კომუნისტური პარტიისათვის არ მიუყიდია!

**ᲙᲝᲜᲒᲠᲔᲡᲛᲔᲜᲘ ᲣᲘᲚᲡᲝᲜᲘ უტიფრად ცრუობს,** რადგან ის რამდენიმე ათეული პოლიტიკური ბოგანო, რომელიც თბილისში, რუსთაველის გამზირზე, აღმა-დაღმა დარბის და „ოლე-ოლას“ ღნავის, „თავისუფლებისმოყვარე ქართველი ხალხი“ კი არა, გაუმჭვირვალე უცხოური ფულით დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციების აქტივია!

**ᲙᲝᲜᲒᲠᲔᲡᲛᲔᲜᲘ ᲣᲘᲚᲡᲝᲜᲘ უტიფრად ცრუობს,** რადგან საქართველოს ხელისუფლების არცერთ წარმომადგენელს არცერთხელ არ მიუყენებია შეურაცხყოფა **ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢ ᲢᲠᲐᲛᲞᲘᲡᲐ** და აშშ-ის დღევანდელი ხელმძღვანელობისადმი. სამაგიეროდ, **ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲢᲠᲐᲛᲞᲘ** არაერთხელ შეურაცხყვეს სწორედ იმ კოლექტიური ნაცმოძრაობის ლიდერებმა, რომელსაც **ᲯᲝ ᲣᲘᲚᲡᲝᲜᲘ** ლობირებს და რომელიც **ᲢᲠᲐᲛᲞᲘᲡ ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲘᲡ** მიერ გაცხადებული ანტილიბერალური და ანტიდიფსთეითური პოლიტიკის სრულ ანტიპოდს წარმოადგენს!

შესაბამისად, **თუ საქართველოში არსებობს ანტიამერიკული ძალა, რომელიც დღევანდელი შეერთებული შტატების სახელმწიფო პოლიტიკას ეწინააღმდეგება, ეს არის სწორედ ᲯᲝ ᲣᲘᲚᲡᲝᲜᲘᲡ მიერ ლობირებული კოლექტიური ნაცმოძრაობა, გეი-მანიფესტზე ხელმომწერი და ლგბტ პროპაგანდის მხარდამჭერი პარტიების შემადგენლობით!**

ამერიკის კონგრესის შენობაში კონგრესმენის პირიდან ასეთი ურცხვი სიცრუე რომ იფრქვევა, ეს ამერიკული პოლიტიკური კლასის დეგრადაციაზე მეტყველებს და შეერთებული შტატების პრობლემაა, საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების პრობლემა კი ის გახლავთ, რომ იმავე კონგრესში დღემდე ერთი თანამოაზრეც ვერ იშოვა, რომელიც გამოვა და **ᲯᲝ ᲣᲘᲚᲡᲝᲜᲘᲡ** მარაზმატულ ბოდვებს მართალ პასუხს გასცემს.

იდეურ თანამოაზრეობასა და პოლიტიკურ მოკავშირეობასაც რომ თავი დავანებოთ, **რატომ არ უნდა ჰყავდეს „ქართულ ოცნებას“ ამერიკის კონგრესში საკუთარი „ᲯᲝ ᲣᲘᲚᲡᲝᲜᲘ“, რომელიც ქართული სახელმწიფოს ინტერესებს თუნდაც ლობიზმში გადახდილი ფულის სანაცვლოდ დაიცავს?**

როცა იცი, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში პოლიტიკური მექრთამეობა ლობიზმის სახელით არის შენიღბული და ოფიციალურად ნებადართულია, **რატომ არ უნდა გამოიყენო ეს შესაძლებლობა და არ დაიქირავო ერთი ან რამდენიმე კონგრესმენი, რომელიც შენს სათქმელს გააჟღერებს?**

„ქართული ოცნების“ ლიდერთა პოზიცია — **ფულით ნაყიდი მხარდაჭერა არ გვჭირდება და ჯო უილსონის მსგავსი ლობისტების დაქირავება ჩვენთვის პრინციპულად მიუღებელიაო** — რბილად რომ ვთქვათ, არაპრაგმატული დამოკიდებულება და პოლიტიკური ინფანტილიზმია, რაც, ისევ და ისევ, საქართველოს სახელმწიფო ინტერესებს აზიანებს!

მოკლედ რომ მოვჭრათ, **საქართველოს მთავრობას ამერიკის კონგრესში საკუთარი „ჯო უილსონები“ უნდა ჰყავდეს, რომლებსაც ფულს სიმართლის ლობირებაში გადაუხდის და არა ისეთი მყრალი ტყუილების ფრქვევაში, როგორიც ნაცების მიერ დაქირავებული ჯო უილსონის ორალური ხვრელიდან გამოიტყორცნება!**

ნაცმოძრაობის ლობისტისა და საქართველოს მიმართ მტერი აქტის ავტორის, **ᲙᲝᲜᲒᲠᲔᲡᲛᲔᲜ ᲣᲘᲚᲡᲝᲜᲘᲡ** კითხვას სახელმწიფო მდივანმა **ᲠᲣᲑᲘᲝᲛ** ასე უპასუხა:

*„შეერთებული შტატების მიზანი ჩვენი ეროვნული ინტერესებია. შევხედავთ ამას და ვიტყვით, არის თუ არა ჩვენი ეროვნული ინტერესი ანტიამერიკული მთავრობის არსებობა მსოფლიოს მნიშვნელოვან ნაწილში; და თუ არა, მივიღებთ შესაბამის ზომებს, რათა ამ მთავრობამ ფასი გადაიხადოს. ეს საკითხი ამჟამად განხილვის პროცესშია, ჩვენ ვეძებთ ვარიანტებს და დამატებით შესაძლებლობებს. დღეს არანაირი განცხადება არ მაქვს კონკრეტულად იმის შესახებ, რის გაკეთებას ვგეგმავთ, მაგრამ შემიძლია გითხრათ, რომ ეს არის საკითხი, რომელიც განიხილება და კიდევ ერთხელ ვიტყვი, ეს შესანიშნავი მაგალითია იმის, თუ რატომ მივმართავთ ჩვენს რეგიონულ ბიუროებსა და ჩვენს ადგილობრივ ოფისებს, რომ მოგვცენ რეკომენდაციები იმის შესახებ, თუ რა ზომები იქნება ყველაზე ეფექტური, რომელზეც ანტიამერიკული მთავრობა ყველაზე მეტად რეაგირებს“.*

როგორც ხედავთ, სახელმწიფო მდივანმა **ᲠᲣᲑᲘᲝᲛ** ნაცლობისტ **ᲣᲘᲚᲡᲝᲜᲘᲡ** პროვოკაციულ შეკითხვას ზოგადი პასუხი გასცა და მინიშნებითაც კი არ უთქვამს, რომ საქართველოს ხელისუფლებას ანტიამერიკულ ძალად მიიჩნევს, მაგრამ ნაცლიბერალურმა მედიამ, როგორც ფეიკ-ნიუსების კანტორას შეეფერება, ყრიამული მორთო — **ამერიკის სახელმწიფო მდივანმა „ქართულ ოცნებას“ ანტიამერიკული მთავრობა უწოდაო!**

თუმცა, ნაცლიბერალური პროპაგანდის ამ გზავნილს წირვა თავად ნაცლიბერალური კლასტერის წარმომადგენელმა **ᲗᲘᲜᲐ ᲮᲘᲓᲐᲨᲔᲚᲛᲐ** გამოუყვანა, რომელმაც **ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲮᲐᲖᲐᲠᲐᲫᲘᲡ** კარის ტელევიზიის — **„ტვ პირველის“** ეთერში განაცხადა — **მთელი გულით მინდოდა, რუბიოს „ქართული ოცნებისათვის“ ანტიამერიკული მთავრობა ეწოდებინა, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ მას მსგავსი არაფერი უთქვამსო!**

ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ **ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესში ერთი კონგრესმენიც არ აღმოჩნდა, რომელიც ᲜᲐᲪᲚᲝᲑᲘᲡᲢ ᲣᲘᲚᲡᲝᲜᲘᲡ უტიფარ ტყუილებს იქვე გააბათილებდა და სახელმწიფო მდივან ᲠᲣᲑᲘᲝᲡ საქართველოს შესახებ სიმართლეს ეტყოდა.**

ეს ნიშნავს, რომ „ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ **რუბი(ო)კონი** უნდა გადალახოს და სერიოზული ძალისხმევა გასწიოს, რათა სახელმწიფო მდივან **ᲠᲣᲑᲘᲝᲛᲓᲔ** საქართველოს შესახებ ზუსტი და ობიექტური ინფორმაცია მივიდეს!

იქიდან გამომდინარე, რომ **ᲛᲐᲠᲙᲝ ᲠᲣᲑᲘᲝ** ამერიკის საგარეო პოლიტიკის წინამძღოლია, საქართველოსა და შეერთებულ შტატებს შორის ურთიერთობის აღდგენისა და ნორმალიზების გზა სწორედ **რუბი(ო)კონის გადალახვაზე** გადის!

ასე და ამრიგად, წილი ნაყარია, **რუბი(ო)კონი** გადასალახია!

***ᲯᲐᲑᲐ ᲮᲣᲑᲣᲐ***




## ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐᲡ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲙᲝᲜᲒᲠᲔᲡᲨᲘ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ „ᲯᲝ ᲣᲘᲚᲡᲝᲜᲔᲑᲘ“ ᲣᲜᲓᲐ ᲰᲧᲐᲕᲓᲔᲡ!

## ᲙᲕᲘᲠᲒᲕᲘᲜᲝᲡᲜᲔᲑᲘ

**ᲐᲠᲩᲘᲚ ᲒᲝᲠᲓᲣᲚᲐᲫᲔ**
*პარლამენტარი*



**არცერთ ელჩს და არცერთ დიპლომატს არა აქვს იმის უფლებამოსილება** და არ უნდა მისცეს თავს უფლება, რომ **მიუთითოს სასამართლოს.** შეუძლებელია, ნაცები **ხელისუფლებაში მოვიდნენ, ხელისუფლების ძალადობრივი გზით შეცვლა უნდათ,** მაგრამ ამ ქვეყანაში **ნაცმაიდნის მოწყობის საშუალება არ ექნებათ.**

„ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲐᲠᲮᲘ“

**ᲗᲘᲜᲐ ᲮᲘᲓᲐᲨᲔᲚᲘ**
*თავდაცვის ყოფილი მინისტრი*



**ᲠᲣᲑᲘᲝᲡ არ უთქვამს,** რომ „ქართული ოცნება“ არის ანტიამერიკული ძალა. **ძალიან გულით მინდოდა, რომ ეს ეთქვა,** მაგრამ, რაც არ უთქვამს, იმას ნუ დავაბრალებთ.

„NEWSHAB“

**ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲐᲑᲐᲨᲘᲨᲕᲘᲚᲘ**
*„Business Insider Georgia“-ს დამფუძნებელი*



როდესაც **ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲘ ᲔᲚᲩᲘᲡ** თქმით, **საქართველო არასაინტერესო ქვეყანაა გერმანელი ინვესტორებისათვის, ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲔᲚᲩᲘ** 2025 წლის 15 მაისს აცხადებს — **დიდი ბრიტანეთი რჩება ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ინვესტორად საქართველოს ეკონომიკაში.**

„ᲠᲔᲞᲝᲠᲢᲘᲝᲠᲘ“

# რამდენიმე პრაქტიკული რჩევა ციხის თანამშრომლებს, რომლებსაც ზურაბ-გირჩი ჯაფარიძესთან მოუწევთ ურთიერთობა

# თუ ჩაიხდის, არ მიეკაროთ!

***პარტია „გირჩი — მეტი თავისუფლების“ თავმჯდომარე და „კოალიცია ცვლილებებისთვის“ ერთ-ერთი ლიდერი ზურაბ-გირჩი ჯაფარიძე, რომელმაც პარლამენტის საგამოძიებო კომისიაზე არგამოცხადების გამო დაკისრებული 20 000-ლარიანი გირაო არ გადაიხადა, 2025 წლის 22 მაისს სასამართლო დარბაზში დააპატიმრეს.***



**გირჩი ჯაფარიძე** უკვე მეორე პოლიტიკოსია, რომელიც საგამოძიებო კომისიაზე არმისვლის გამო ციხეში აღმოჩნდა, პირველი კი **ირაკლი ოქრუაშვილი** გახლდათ, რომელიც ასევე 20 000-ლარიანი გირაოს გადაუხდელობისათვის ამა წლის 14 მაისს დააკავეს.

აღსანიშნავია, რომ **ოქრუაშვილიცა და ჯაფარიძეც** სასამართლო დარბაზში ხელბორკილების დადებას ოლიმპიური სიმშვიდითა და ერთგვარი ირონიითაც კი შეხვდნენ, ვითომ დიდი გულადები და რკინისმკვნეტელები ბრძანდებიან, რომლებსაც ციხეში ჯდომა თამაშად და უჩანთ მღერად. არადა, იგივე **ირაკლი ოქრუაშვილი** რა ყარამან ყანთელიც გახლავს, ქართველმა საზოგადოებამ ჯერ კიდევ 2007 წელს ნახა, როცა საკაშვილის ციხეში წნეხს ორი დღეც ვერ გაუძლო, ვიდეოკამერის წინ დაჯდა და ლამის კენედის მკვლელობაც კი დაიბრალა.

**სინამდვილეში, ოქრუაშვილისა და ჯაფარიძის მოჩვენებითი სიმშვიდე იმით არის განპირობებული, რომ კარგად იციან — ციხეში არ სცემენ, არ აწამებენ, არ გააუპატიურებენ, მორგში მიცვალებულზე არ მიაბამენ, საჭმელში არ ჩაუფურთხებენ, საჭიროების შემთხვევაში, სამედიცინო დახმარებასაც დროულად აღმოუჩენენ და, საერთოდ, პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლები უბატონოდ ხმას არ გასცემენ.**

თანაც, მუხლი, რომლითაც **ოქრუაშვილი და ჯაფარიძე** არიან დაპატიმრებული, მკაცრ სასჯელს არ ითვალისწინებს — **ან ფულად ჯარიმას დააკისრებენ, ან, მაქსიმუმ, ერთწლიან პატიმრობას შეუფარდებენ.**

აბა, დიდი ხნით თავისუფლების აღკვეთა ემუქრებოდეთ და ციხის ადმინისტრაციაში **მეგის ქარდავები, ოლეგ ფაცაციები, გაგა მკურნალიძეები და ვიქტორ ყაჭეიშვილები** ეგულებოდეთ, ვნახავდით, რა ძალგულოვნებიც არიან და ხელბორკილების დადებისას პირზე ღიმილი როგორ აუთამაშდებოდათ.

და მაინც, **მიუხედავად იმისა, რომ დღევანდელი სასჯელაღსრულების სისტემა სააკაშვილის პენიტენციურ ჯოჯოხეთთან შედარებით ნამდვილი სანატორიუმია, გვინდა, რამდენიმე პრაქტიკული რჩევა მივცეთ ციხის თანამშრომლებს, რომლებსაც ზურაბ-გირჩი ჯაფარიძესთან მოუწევთ ურთიერთობა.**

კერძოდ, პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლებმა, რიგითი ბადრაგები იქნებიან თუ მათი ზემდგომები, უნდა იცოდნენ:

თუ **გირჩი ჯაფარიძე ციხეში შარვალს ჩაიხდის და შიშველ უკანალს** მოგიშვერთ, არავითარ შემთხვევაში არ გამოიყენოთ რეზინის ხელკეტი ან ცოცხის ტარი, უბრალოდ, აუხსენით, რომ სოფელ ატოცის საოკუპაციო ხაზთან კი არა, სასჯელის მოხდის დაწესებულებაში იმყოფება!

ასევე, იქიდან გამომდინარე, რომ გირჩი ჯაფარიძე შარვლის ჩახდისა და უკანალის მოშიშვლებისაკენ არის მიდრეკილი, მსჯავრდებულთა გეგმური გასეირნების — **ე.წ. პრაგულკის დროს არავითარ შემთხვევაში არ დაუშვათ მისი კონტაქტი ე.წ. ქათმებთან, ანუ მამათმავალ პატიმრებთან!**

და, საერთოდ, უსიამოვნო ინციდენტების თავიდან აცილების მიზნით, უმჯობესია, **გირჩი ჯაფარიძე** საკანში მარტო მოათავსოთ და სხვა პატიმრებს მაქსიმალურად მოარიდოთ, რადგან მას საქვეყნოდ, ტელევიზიის პირდაპირ ეთერში აქვს გაცხადებული:

*„ჩემი სხეული ჩემია და მინდა, დავთოხნი და ისე ვიშოვი ფულს, მინდა, წავალ და ჩემი მარჯვენის გამოყენებით და ჩემი პირის გამოყენებით ვიღაცას მივაღწევინებ ორგაზმს“.*



**თუ გვარამია და მელია სიტყვას არ გადავლენ, აუცილებლად გაიზიარებენ გირჩი ჯაფარიძის ბედს!**

**იქიდან გამომდინარე, რომ ციხეში თოხნის საშუალება არ არის და იმის გათვალისწინებითაც, რომ თავისუფლების აღკვეთის ადგილებში ორგაზმის მიღწევა პატიმრების უმეტესობისათვის იშვიათი სიამოვნებაა, რის გამოც ბევრმა შეიძლება, ცდუნებას ვერ გაუძლოს, მიზანშეწონილია, გირჩი ჯაფარიძე დანარჩენი მსჯავრდებულებისაგან მაქსიმალურად იზოლირებული იყოს!**

ყოველ შემთხვევაში, დანარჩენი პატიმრებისაგან ზურაბ-გირჩი ჯაფარიძის იზოლირება მანამდე მაინც უნდა მოხდეს, სანამ მას ციხეში მისივე კოალიციის სხვა ლიდერები — **ნიკა გვარამია და ნიკა მელია** შეუერთდებიან!

ეს კი, დიდი ალბათობით, უახლოეს მომავალში მოხდება, რადგან **გვარამიაც და მელიაც** აცხადებენ, რომ პარლამენტის საგამოძიებო კომისიაზე არმისვლის გამო შეფარდებულ გირაოს არ გადაიხდიან!

შესაბამისად, თუ **გვარამია და მელია** სიტყვას არ გადავლენ, აუცილებლად გაიზიარებენ **გირჩი ჯაფარიძის** ბედს, შემდეგ კი მათი ერთ საკანში შესახლებაც თავისუფლად შეიძლება, რადგან ერთმანეთს ისედაც მიჩვეულები არიან.

ისე, კოლექტიურ ნაცმოძრაობაში, რომელიც კოალიციური მთავრობის ფორმირებასა და ქვეყნის შეხმატკბილებულად მართვაზე აცხადებს პრეტენზიას, ერთი პირი იმასთან დაკავშირებითაც კი არ აღმოაჩნდათ, პარლამენტის საგამოძიებო კომისიაზე არმისვლისათვის დაკისრებული გირაო გადაიხადონ თუ არა?

**ოქრუაშვილმა არ გადაიხადა და დაიჭირეს!**

**გირჩი ჯაფარიძემ არ გადაიხადა და დაიჭირეს!**

**ბადრი ჯაფარიძემ გადაიხადა და არ დაიჭირეს!**

**მამუკა ხაზარაძემ გადაიხადა და არ დაიჭირეს!**

**ბიძი თარგამაძემ გადაიხადა და არ დაიჭირეს!**

**ნიკა გვარამია აცხადებს, რომ არ გადაიხდის!**

**ნიკა მელია აცხადებს, რომ არ გადაიხდის!**

**ჭიჭე-ჭუჭუ ვაშაძე აცხადებს, რომ გადაიხდის!**

ჰოდა, ვინ უფრო მაგარი ბიჭია — **ვინც არ გადაიხადა და დაიჭირეს თუ ვინც გადაიხადა და არ დაიჭირეს?**

ეს კოლექტიურმა ნაცებმა ერთმანეთში არკვიონ, ჯანსაღი ქართველი საზოგადოებისათვის კი დიდი ხანია, ყველაფერი გარკვეულია — **ვინც გადაიხადა და არ გადაიხადა, ვინც დაიჭირეს და არ დაიჭირეს, ყველა ერთი პოლიტიკური ნაგავია!**

***ჯაბა ხუბუა***

## კვირგვინოსნები

**ნიკა გვარამია**

*„კოალიცია ცვლილებებისთვის“ ლიდერი*



როდემდე უნდა ვდიოთ **უკანონობას მიდევნებული ლამპარივით** ჩვენი გირაოებით? — **გირაოს გადახდა არ იქნება!**

„რეზონანსი“

**ანა ბუჩუკური**

*„გახარია — საქართველოსთვის“ წევრი*



**რა გეგმა აქვთ ბოიკოტის შემდეგ?** ერთადერთი, რაც მათგან მოვისმინეთ გეგმის სახით, არის **ე.წ სატელეფონო არჩევნები** — ეს არ არის სერიოზული.

ჩვენ ვემზადებით **ნებისმიერი არჩევნებისთვის,** მათ შორის, **მუნიციპალური არჩევნებისთვისაც.**

„აიპრესი“

**გიორგი გახარია**

*„გახარია საქართველოსთვის“ ლიდერი*



ჩვენ ვამბობთ, რომ **ვემზადებით ნებისმიერი შემდეგი არჩევნებისთვის,** რაც ნიშნავს, რომ **ვემზადებით შესაძლო საპარლამენტო და მუნიციპალური არჩევნებისთვისაც,** ბოიკოტი ბოიკოტისთვის არის ჩიხი.

„პირველი არხი“

**გედევან ფოფხაძე**

*პოლიტიკოსი*



მიმაჩნია, რომ **უნდა მოხდეს შენობების პიკეტირება, ხელისუფლების პარალიზება,** მათ ვერანაირი ნაბიჯი ვერ უნდა გადადგან და დარჩნენ ქართველი ხალხის პირისპირ.

„კავკასია“

**ნიკა მელია**

*პარტია „ახლის“ ერთ-ერთი ლიდერი*



დადგა დრო, **პოლიტიკური ორაზროვნება დასრულდეს** და პასუხი გაეცეს კითხვას — **შევდივართ თუ არა ფარსში, სახელად ადგილობრივი არჩევნები?**

„პირველი არხი“

***2011 წლის 26 მაისს სააკაშვილისა და ნაცხროვის მიერ რუსთაველზე მოწყობილი სასაკლაოს შესახებ პარლამენტის დროებით საგამოძიებო კომისიას წინა კვირას ჩვენება მისცეს მსოფლიო ჭადრაკის ცოცხალმა ლეგენდამ, ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონმა ნონა გაფრინდაშვილმა და მისმა ვაჟმა დავით ჭიჭინაძემ.***




## ნონა გაფრინდაშვილი:

# ეს იყო

ნონა გაფრინდაშვილი მაშინ „სახალხო კრების" ერთ-ერთი ლიდერი იყო და არსებულ პოლიტიკურ ვითარებას მწვავედ აკრიტიკებდა. როგორც მან კომისიას განუცხადა:

*— 26 მაისს რაც მოხდა, ეს იყო წინასწარ მოფიქრებული, დაგეგმილი ოპერაცია. ჩვენი დასჯა უნდოდათ იქ სერიოზულად... მე იმას სასაკლაოს ვუწოდებ იმიტომ, რომ, რაც იქ მოხდა, იმას ვერავინ წარმოიდგენდა. ბევრი აქცია ჩატარებულა... 9 აპრილიდან რომ დავიწყოთ, რა აქციებიც ტარდებოდა, მსგავსი არცერთ აქციაზე არ მომხდარა. ამას იმიტომ ვამბობ, რომ სამი კორდონი იყო ჩვენ ირგვლივ* ***იმ დღეს და გასასვლელიც არ იყო დატოვებული. 9 აპრილს ხალხს გასაქცევი ჰქონდა, მაგრამ 2011 წლის 26 მაისს აქ არ ჰქონდა!***

ქალბატონი ნონას ამ განცხადებას ფსევდოლიბერალურ და ლგბტ სამყაროში დიდი გნიასი და წივილ-კივილი მოჰყვა — აქაოდა, **ნონა გაფრინდაშვილმა** ჩვენი **დიადი მიხუილო იგორ როდიონოვს** როგორ შეადარაო! — მაგრამ დაე, გაიგოს სუყველამ, რომ **საქართველოს ნაცმოძრაობის სახით მართავდნენ კაცების გამაუპატიურებელი ყიზილბაშები, რომლებთანაც თვით სალდაფონი და ქართველთყლაპია იგორ როდიონოვიც კი ყინწვისის ანგელოზი იყო!**

ნონა გაფრინდაშვილის თქმით, „სახალხო კრებას", რომელიც ე.წ. საკნების აქციის შემდეგ საზოგადოებაში დაცემული წინააღმდეგობის მუხტის ასამაღლებლად შეიქმნა, იმ ღამეს კონცერტი უნდა ჩაეტარებინა, მაგრამ პროცესები ელვის სისწრაფით განვითარდა.

აი, როგორ გაიხსენა **ქალბატონმა ნონამ** სააკაშვილის მიერ მოწყობილი სასაკლაო:

*— ღამის 12 საათის შემდეგ, როცა 2011 წლის 26 მაისი დაიწყებოდა, თუ ხალხი იქნებოდა, უნდა ჩაგვეტარებინა კონცერტი.* ***უცნობი*** *იყო მოსული... 12-ს 10 წუთი აკლდა, ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენელი ამოვიდა სცენაზე და გვითხრა, რომ დავშლილიყავით. ჩვენ ხელში სანთლები გვეჭირა, მეტი სხვა არაფერი გვქონდა... არც სადმე შეჭრას ვგეგმავდით... აქცია იყო აბსოლუტურად მშვიდობიანი და არავითარი სხვა განზრახვა ან სადმე შეჭრა ჩვენ არ გვქონია. ეს სისულელეა... ძალოვანებს ვუთხარით, რომ ღამის გათენებას არ ვაპირებდით, უბრალოდ, ღამის 00:00 საათზე დავიწყებდით კონცერტს და მერე წავიდოდით. ხალხსაც ვუთხარით — ვისაც გინდათ, წადით, ვისაც გინდათ, კონცერტს დაესწარით-თქო! არავის ფეხი არ მოუცვლია, დაახლოებით ათასი კაცი ვიქნებოდით... კონცერტის დაწყება ვინ გვაცალა?! ღამის 00:00 საათზე პოლიციის კორდონები მოგვიახლოვდნენ და იმდენი გაზი გაუშვეს და იმდენი რეზინის ტყვია დაგვახალეს, ხალხმა სცადა გაქცევა, მაგრამ გასაქცევი არ გვქონდა. რაღაც ჯგუფმა მოახერხა ჩვენი სცენის კუთხის გარღვევა და შევარდნენ კინოთეატრში. ამ დროს იქ ფილმი გადიოდა და საზოგადოება ფილმს უყურებდა. ამ გაქცეულ ხალხს კინოთეატრში შეჰყვნენ ძალოვნები და ვისაც ბილეთი არ ჰქონდა და ბილეთი ვერ წარმოადგინა, სუყველა დაიჭირეს და ცემა-ტყეპით წაიყვანეს შინაგან საქმეთა სამინისტროში.* ***ვინც ხელში ჩაუვარდებოდათ, სცემდნენ, ბორკილებს ადებდნენ, მიათრევდნენ და მოლი რომ არის დღეს, აი, იქ ყრიდნენ.*** *მერე მიჰყავდათ მანქანებით... მოლთან* ***დათოს (ნონა გაფრინდაშვილის ვაჟი. რედ.)*** *შიპებიანი ხელთათმანი ჩაარტყეს და ეს ყბა მოგლეჯილი ჰქონდა. ამის გამო საოპერაციო გახდა. ცუდი ამინდი იყო, სიცივის გამო შეკუმშვა მოხდა იქ და ამიტომ სისხლისგან არ დაიცალა. ჩემი ნათესავი, რომელიც მიტინგზე იყო მოსული, რამდენიმე დღეში გარდაიცვალა, რადგან მისმა გულმა ვერ გაუძლო იმდენ გაზს. არ ვიცი, შესაძლოა, ტყვიაც მოხვდა, რადგან მე სცენაზე ვიდექი და არ დამინახავს. ჩემი ძმისშვილი* ***ლევან გაფრინდაშვილი*** *ისე სცემეს, რომ მთლიანად გაშავებული იყო, სათვალე მაქვს წამოღებული, რადგან ის, რაც ჩვენ გადაგვხდა, უნდა წავიკითხო, ზეპირად ვერ ვილაპარაკებ. ეს იყო სასაკლაო... თავიდანვე ორი გვამი შემოდეს „ბუტკის" სახურავზე... იმ გარდაცვლილების გვარებიც მაქვს აქ ჩაწერილი —* ***ნიკა კვინტრაძე და სულიკო ასათიანი.*** *აი, აქედან დაიწყო ყველაფერი...*

ნონა გაფრინდაშვილმა საგანგებოდა ისაუბრა იმის შესახებ, როგორ გადარჩა და ვინ გამოიყვანა იმ ჯოჯოხეთიდან:

*— იმ უბედურებაში სცენიდან ძლივს ჩამოვედი და მერე დავეცი. სიმართლე გითხრათ, რამ დამცა არ ვიცი, შესაძლოა, იმ სირბილში ვიღაც გამომედო... სცენასთან რომ დავვარდი, დათოს მეგობარმა* ***კოტე ქოჩიაშვილმა*** *მიცნო და წამომაყენა. ძლიერი ბიჭი იყო ფიზიკურად. მე იქ ჩემი ძალით ვერაფრით ავდგებოდი. კოტემ ძლივს წამომაყენა და დაიწყო ჩემი გაყვანა, რათა სპეცრაზმის კორდონამდე მივსულიყავით. ძალიან ახლოს იყო პოლიციის კორდონი, მაგრამ მე თვითონ მიჭირდა ფეხის გადადგმა, უკვე სამოცდაათი წლის ვიყავი.* ***კოტემ*** *დაიწყო ძახილი —* ***ნონა გაფრინდაშვილი*** *გამომყავს და არ ესროლოთ! არ მესროლეს, თორემ ერთი ტყვიაც რომ მომხვედროდა, იქვე დავმთავრდებოდი... იმათ ინტერესში არ იყო ჩემი განადგურება, მათ უნდოდათ იმის გაკეთება, რაც გააკეთეს, რათა ხალხში შიში კიდევ უფრო მაგრად დაეთესათ. ყველა კორდონს თავისი უფროსი ჰყავდა. პირველ კორდონთან რომ მივედით, სპეცრაზმელმა ფარი მომადო შუბლზე. მე რა უნდა გამეკეთებინა? ფარი რისთვის მომადეს შუბლზე, ვერ ვხვდები. უფროსი ეტყოდა და მატარებდნენ... ასე გამატარეს პირველი, მეორე, მესამე კორდონი და როცა უკვე უნდა გავსულიყავი, გაახსენდათ, რომ ვიღაცას მივყავარ. მე გამიშვეს, ხოლო* ***კოტე ქოჩიაშვილს*** *სტაცეს ხელი და გააქანეს შინაგან საქმეთა სამინისტროში. ის მოხვდა ზუსტად იმ სართულზე, სადაც* ***დათო*** *იყო და დათოს უთხრა —* ***დედაშენზე არ ინერვიულო, მე გამოვიყვანეო!*** *როცა* ***კოტეს*** *ხელი სტაცეს და მიჰყავდათ, მე ვიყვირე —* ***ეგ რატომ მიგყავთ და მე რატომ მტოვებთ-მეთქი?!*** *მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო ჩემი დასჯა არ აწყობდათ... ქურთუკი მეცვა და საფულეც და ტელეფონიც ამოვარდნილი იყო... იქვე ტაქსი იდგა და მძღოლს ვუთხარი — სახლში მიმიყვანეთ და ფულიც იქნება და ყველაფერი-მეთქი! — რას ლაპარაკობთო! — და პირდაპირ სახლში მიმიყვანა. ისე ვიყავი, რამდენიმე დღე ვერ ვწვებოდი...*

ამ განცხადების შემდეგ **ნონა გაფრინდაშვილმა** ხელში ფურცელი აიღო და კომისიას წაუკითხა, თუ როგორ აწამეს სააკაშვილის სპეცრაზმელებმა თავისი რძლის ძმა **თემურ ლოგუა:**

*—* ***თემურ ლოგუას*** *სახეში რეზინის ტყვიები მოხვდა და დაეცა. „სპეცნაზის" მანქანით გადაუარეს მკერდზე და საბურავის კუთხემ ყური მოაგლიჯა... უკან გადმოუარა ისევ იმავე მანქანამ. იმ მხარეს, სადაც ყური მოაგლიჯეს, სკალპი ახდილი ჰქონდა. სპეცრაზმელები მივარდნენ და ასე მოშიშვლებულ თავის ქალაზე ფეხს აბიჯებდნენ შეძახილით —* ***რუსის მონა, საქართველო როგორ გაწირე ამ ქურთუკზეო!*** *ჩემი ნაჩუქარი სპორტული საწვიმარი ეცვა საქართველოს სიმბოლიკით. სპეცრაზმელები, რომლებიც თემურს თავზე ადგნენ, ერთმანეთში ლაპარაკობდნენ —* ***ეს კვდება***



2011 წლის 26 მაისი

## კვირგვინოსნები

**ლევან ნიქოლეიშვილი**
*„ერთიანი ნაციონალური საქართველოს" წევრი*



**სასაკლაო არავის უნდა მოუწყო,** არც ცოცხალ ლეგენდას და არც ჩვეულებრივ მოქალაქეს. ამას ან ვერ ან არ გაიგებენ ისინი, ვინც **დღესაც უცხო ქვეყნის კარნახით დარბიან ქუჩებში** და სააკაშვილის რეჟიმზე ხმას არ იღებენ.

„იმედინიუსი"

**თემურ თათარაშვილი**
*მომღერალი*



სააკაშვილზე არანაკლები ხალხი იჯდა ციხეში — **აკადემიკოსები, პროფესორები, რომლებიც მან დააპატიმრა.** არც ლეიბი, არც რადიო არ ჰქონდათ. მეტიც, **ვისაც სანთებელასა და გამაცხელებელს აღმოუჩენდნენ, ოთხ წელიწადს უმატებდნენ.** მათი რეჟიმის ციხე იყო ჯოჯოხეთი. **9 თვის განმავლობაში ჩემს ოჯახთან დალაპარაკების უფლება არ მქონდა ტელეფონითაც კი, ნახვაზე ალარაა ლაპარაკი.** მარტო მე კი არა, ყველა პატიმარი ასე იყო. **ახლა რომ აქვს ციხეში სასტუმრო გახსნილი სააკაშვილს, დღეში 100 კაცი შედის და კიდევ პრეტენზია რომ აქვს,.** როგორც ჩვენ ვიყავით, იმავე მდგომარეობაში უნდა იყოს ის ვაჟბატონიც!

„დაიჯესტი"

**სოზარ სუბარი**
*2003-2012 წლებში მოქმედი რეჟიმის პოლიტიკური თანამდებობის პირების საქმიანობის შემსწავლელი დროებითი საგამოძიებო კომისიის მდივანი*



ადამიანმა, რომელიც **2011 წლის 26 მაისს აქციაზე** იდგა, მომწერა — **კიდევ ერთი ადამიანი ჩაქოლეს ქაშვეთის ტერიტორიაზე და ამის მოწმეებიც გვყავსო,** როგორც ჩანს, კიდევ ბევრი რამ გვაქვს შესასწავლი.

„პირველი არხი"

**და ჯოგია, სასწრაფოში ჩავსვათო!** სასწრაფომ გადაიყვანა თემური და რესპუბლიკურ საავადმყოფოში **შალვა ოგბაიძესთან** ერთად მოხვდა პალატაში. გამოკვლევა ჩაუტარეს ექიმებმა, სამჯერ გადაუღეს ტომოგრამა. ექიმები ვერ იჯერებდნენ, თუ როგორ გადაურჩა მისი მკერდი ჩალეწვას. **ქირურგმა, რომელმაც ოპერაცია გაუკეთა, ვერ დაიჯერა ეს ყველაფერი და თქვა — აფხაზეთში, ომის დროს, უამრავი ოპერაცია მაქვს გაკეთებული, მაგრამ მსგავსი ბინძური ჭრილობა არ მინახავსო! თემური ბედად გადარჩა!**




საუბრის დასასრულ ნონა

# სასაკლაო!

გაფრინდაშვილმა 2011 წლის 26 მაისს „საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი „შავი ფურცელი“ უწოდა, რომელსაც ვერაფერი გაამართლებს!“

ამის შემდეგ კომისიის წინაშე წარდგა **ნონა გაფრინდაშვილის ვაჟი დავით ჭიჭინაძე,** რომელმაც საუბარი ასე დაიწყო:

*— მახსოვს, 2011 წლის 26 მაისის საქმეზე სასამართლოზე გახლდით დაზარალებულის სტატუსით. ერთ-ერთი ბრალდებული ფეხზე წამოხტა და გეგონებათ, არაფერი ჰქონდა დაშავებული, მოსამართლეს უთხრა — ასე დეტალებში როგორ ახსოვს ყველაფერი, ეს დადგმულიაო!* ***დილით რომ ვდგები, სახის გაპარსვის დროს, პირველ რიგში, ჩემს ნაიარევს ვუყურებ, რომელიც იმ ღამეს დამიტოვეს.*** *მე გახლდით პარლამენტის წინ, ტროტუარზე. იქვე იდგა ჩემი ცოლისძმა* **თემო ლოგუა.** *ეს იყო დედაჩემის და ჩემი სურვილიც, რომ ჩვენ ხალხში ვყოფილიყავით და არა სცენაზე. თუ მოხდებოდა რამე უბედურება, პირველი დარტყმა სწორედ ჩვენ უნდა მიგვეღო ხალხთან ერთად. ტყვიების წვიმა რომ წამოვიდა და გაზი გაუშვეს, ცუდად ვხედავდით, ცუდად ვსუნთქავდით და მახსოვს, ამ დროს მომხვდა კონდახი. დამაგდეს, რასაც მოჰყვა კიდევ რამდენიმე დარტყმა.* ***ხელბორკილები რომ დამადეს, სანამ ძველ უნივერმაღამდე მიმათრევდნენ, ექვსჯერ დამაწვინეს გზაში და ექვსჯერ გამლახეს. მარტო მე არა, ყველას სცემდნენ, ვინც იქ ეყარა. შთაბეჭდილება მრჩებოდა, რომ სპეცრაზმელები მიწაზე დაყრილ ხალხს კონდახსა და ხელკეტს სპეციალურად ურტყამდნენ სახესა და თავში, რათა თავიანთი ხელმძღვანელობის ყურადღება მიექციათ.*** *მერე მივხვდით, რომ ისინი უფროსებს თავს აწონებდნენ, რათა კარგი პრემია მიეღოთ! სადღაც უნივერმაღის წინ რაღაც სახეში მომხვდა, კაუჭი რომ ჩაგარჭონ ისეთი... მერე, როგორც კადრებში ვნახე, ეს იყო დათა ახალაიას სპეცრაზმი — სპეციალური შიპებიანი ხელთათმანები ეცვათ. სახე გაგლეჯილი მქონდა. ცხონებულმა* ***ტრისტან ფერაძემ*** *— ქირურგი იყო ეგეთი ქირურგიის ინსტიტუტში, ვინც ოპერაცია გამიკეთა —* ***ტუჩი გახვრეტილიაო!*** *ანუ ეს იყო პროფესიონალური დარტყმა. მთლიანად სისხლში ვიყავი მოთხვრილი და მიმანებეს თავი.*

***თეა წულუკიანი: — თქვენ ამ დროს ხელები გქონდათ შეკრული და ძირს დავარდნილს გაგიხვრიტეს ტუჩი?***

**დავით ჭიჭინაძე:** *— კი, რა თქმა უნდა! ზემოთ ავიხედე, რათა გამეგო, ვინ გვცემდა და ამისთვის კიდევ მომხვდა —* ***რას ჰქვია, თვალებში გვიყურებო!*** *ჩაგვყარეს ავტობუსში და ასეთი დასისხლიანებული, ნაცემი ხალხი მიგვიყვანეს პოლიციის სამმართველოსთან. მართალი გითხრათ, ვერაფერს ვგრძნობდი — ვერც ხელს, ვერც ფეხს, სახე მთლიანად ჩალურჯებული და სისხლიანი მქონდა. გადმოვედით მანქანიდან და სიმწრით მივხვდით, რომ კიდევ კორიდორი უნდა გაგვევლო!* ***20-25 ხელკეტი კიდევ მომხვდა ყველა მხარეს — კეფაში, თავში სახეში, მხრებში... ერთ პატარა ოთახში შეგვყარეს დაახლოებით 60 კაცი და პირველი, ვინც დერეფანში დავინახე, ეს იყო საშინლად ნაცემი ლუკა კურტანიძე. დავინახე კოტე ქოჩიაშვილიც, რომელიც, როგორც მერე გავიგე, ჩვენი ოჯახის მხსნელი იყო. კოტემ რომ დამინახა, პირველი ეს მომაძახა — არ ინერვიულო, ნონა მე გამოვიყვანეო! მივხვდი, რომ დედაჩემი გადარჩა...***

**დავით ჭიჭინაძემ** გაიხსენა, როგორ დააღწია თავი იმ ჯოჯოხეთს, მისი თქმით:

*— საკუთარ სახეს თავად ვერ ხედავდა და არ იცოდა, რა მდგომარეობაში იყო, მაგრამ დაპატიმრებულმა თანამოაზრეებმა, რომლებიც კარგად იცნობდნენ, ურჩიეს —* ***„რამე მოითხოვე ან სასწრაფო, ან გადაყვანა, იქნებ, ოპერაცია გაგიკეთონო!*** *პირველი, რაც ვიკითხე, ეს იყო —* ***სასამართლოზე არ გადაგვყავართ-მეთქი?*** *ამის მერე დაიწყეს ჩემი პიროვნების გამოკვლევა და ეტყობა, დაადგინეს, ვინც ვიყავი. ჩამიყვანეს ჯურღმულში... ვიფიქრე — ალბათ, კიდევ უნდა მცემონ-მეთქი! მაგრამ სარდაფებით გამომიყვანეს და დამაგდეს დიღომში. დედაჩემისა არ იყოს, მაშინ მივხვდი, საქართველოს რომ გადარჩენა ეწერა, როცა ხანში შესულმა ადამიანმა ტაქსი გამიჩერა, მიუხედავად იმისა, რომ მთლიანად დასისხლიანებული ვიყავი და ტანზე ყველაფერი შემოხეული მქონდა და მკითხა —* ***შვილო, დარბევიდან ხარ დაზარალებული?*** *— კი-მეთქი! ჩამსვა მანქანაში და სახლშიც არ ამომყვა, რათა ფული მიმეცა ან ვინმეს ჩამოეტანა. დილით გამიკეთეს ოპერაცია. ამ დროს გავიგე, რომ* ***თემო ლოგუას*** *— ჩემს ცოლისძმას, უკვე მეორე ოპერაციას უკეთებდნენ ყურზე. სამწუხაროდ, ჩვენი სიძე* ***თემურ კაპანაძე*** *რამდენიმე დღეში გულის შეტევით გარდაიცვალა, იმდენი გაზი გაუშვეს.*

## დავით ჭიჭინაძე:
# ხელბორკილები რომ დამადეს, სანამ ძველ უნივერმაღამდე მიმათრევდნენ, ექვსჯერ დამაწვინეს გზაში და ექვსჯერ გამლახეს!




**დავით ჭიჭინაძემ** საგანგებოდ ისაუბრა იმ ტერორზე, რასაც **ნონა გაფრინდაშვილის** ოჯახი 26 მაისის სასაკლაოს შემდეგ განიცდიდა. როგორც მან გაიხსენა:

*— ის და მისი ცოლისძმა ერთად იწვნენ სახლში და მხოლოდ რამდენიმე ნათესავმა გაბედა მათი მონახულება, მაგრამ მათ მიმართ საყვედური არავის გამოუთქვამს. რამდენიმე სანახავად რომ მოვიდა, გვითხრა —* ***მანქანები სხვა ქუჩებზე გავაჩერეთო!*** *— რატომ-მეთქი? — თქვენთან* ***სოდ-ისა და კუდ-ის*** *მანქანები მორიგეობენ და რომ არ დავეფიქსირებინეთ, მანქანები მოშორებით დავტოვეთ და შემოვლითი გზებით ფეხით მოვედითო!*

**დავით ჭიჭინაძემ** ისაუბრა თავის ცოლისძმაზე **თემურ ლოგუაზე,** რომელსაც სპეცრაზმელებმა მანქანით გადაუარეს და, ფაქტობრივად, სკალპი ახადეს. მისი განცხადებით:

*— 2008 წლის აგვისტოს ომის დროს ჩემი ცოლისძმა* ***თემურ ლოგუა*** *თავდაცვის სამინისტროში მივიდა და მერვე თუ მეცხრე ნომრად ჩაეწერა მოხალისედ. გადაამოწმეს და რადგან ჩვენს ოჯახთან იყო დაკავშირებული, უარი უთხრეს — არასანდო ხარო!*

სხდომის დასასრულ **თეა წულუკიანმა დავით ჭიჭინაძეს** ასეთი რამ ჰკითხა — *„თქვენი აზრით, სად ეჩქარებოდა სააკაშვილს და რატომ დაარბია ასე სასწრაფოდ და სასტიკად მშვიდობიანი აქცია?“*

ამ შეკითხვაზე **დავით ჭიჭინაძის** პასუხი ასეთი იყო:

*— ფაქტია, რომ ჩვენი სისხლით მორწყულ რუსთაველზე მეორე დღეს ხალხი აცეკვეს და ამღერეს! მე ვერ მოვთხოვ იმათ პასუხს, ვინც იცეკვა და იმღერა, მაგრამ ფაქტია, რომ აცეკვეს და ამღერეს...* ***ეს იყო სადამსჯელო სპეცოპერაცია, რომელიც მიზნად ისახავდა მხოლოდ ერთ რამეს — მთელი საქართველოსთვის უნდა ეჩვენებინათ, რა დაემართებოდათ, თუ ხმას ამოიღებდნენ!***

მოამზადა
**დიტო ჩუბინიძემ**

## კვირგვინოსნები

**ლაშა ბუღაძე**
*მწერალი*



როგორც ჩანს, **ქალბატონი ჭადრაკის დედოფალი** 80-იანი წლების ბოლოს განსაკუთრებულ **ემოციურ ბმულობას ვერ გრძნობდა ეროვნული პროცესების მიმართ** და, სავარაუდოდ, როგორც **საბჭოთა ელიტური ნომენკლატურის ნაწილი,** მაშინდელი ცეკას ხელმძღვანელობის გულშემატკივარი უფრო იყო, ვიდრე საქართველოს დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი ხალხის.

„მარშალპრესი“

**სვიმონ ჯანგულაშვილი**
*საზოგადოება „ქართულის“ თანადამფუძნებელი, დირიჟორი*



**ლაშა ბუღაძეს** უთქვამს — **ნონა გაფრინდაშვილი წითელი ნომენკლატურის წარმომადგენელიაო.** ჯერ იმით დაიწყოს, რომ **ნონა გაფრინდაშვილს არ უხატია და უძერწია ლენინის პორტრეტები** და წითელი ნომენკლატურის **ყველაზე ბანძი, უნიჭო და ლუმპენ-წარმომადგენლის შვილი,** წითელ ნომენკლატურაზე და, მითუმეტეს, ჩვენი ერის გამორჩეულ შვილებზე ასე არ უნდა ლაპარაკობდეს.

თავად ეგ **საშუალო ნიჭის იუმორისტ-ფელეტონისტ-მწერლუკანა** მარტო მიშისტი ნომენკლატურის კი არა, **თუ რაიმენაირი ნომენკლატურა არსებობდა, ყველაფრის წარმომადგენელია ოჯახ-სამეგობროთი...** ყველა მთავრობის და ყველა მდიდრის ფულითა და გადმორიცხვებით **„ილვწის“ სააკაშვილის და გვარამიას ხელისუფლებაში დასაბრუნებლად.**

„რეპორტიორი“

**თამთა მეგრელიშვილი**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



**„ქართული ოცნება“** არის ძალა, რომელმაც **სისხლიანი რეჟიმი ქართველი ერის წინაშე დააჩოქა** და მისი შემოქმედი დღეს **გისოსებიდან გველაპარაკება!**

„საერთო გაზეთი“

# მამუკა ხაზარაძის ტელე-კანალიზაცია „პირველი“ გიორგი შინჯიკაშვილსა და ზვიად ხარაზიშვილს შორის სისხლისღვრის პროვოცირებას ცდილობს!

*სოფელ მარტყოფში* ***მამლუქთა უზენაესი მბრძანებლისა და მთელი ეგვიპტის მმართველის, დიდი იბრაჰიმ-ბეგ შინჯიკაშვილის შთამომავლებს*** *მამუკა ხაზარაძის ტელეკანალიზაცია „პირველისა“ და გაერთიანებული „უბორნიის“ ლგბტ პროვოკატორები მოსვენებას არ აძლევენ. მათი მიზანია შინჯიკაშვილების ოჯახსა და სპეცრაზმის უფროს* ***ზვიად ხარაზიშვილს*** *შორის როგორმე ინციდენტი გამოიწვიონ, რათა უბედურება მოხდეს!*

*სწორედ ამის გამოა, რომ* ***უკვე ერთი წელია, რაც ქვემო ქართლის გუბერნატორის მოადგილის, ცნობილი ქართველი ძიუდოისტისა და ევროპის ჩემპიონის*** *გიორგი შინჯიკაშვილის* ***ოჯახში გაუსაძლისი ვითარებაა. ხაზარაძის მიერ დაფინანსებული „პრაიდელები“ და გარყვნილთა სექტის აქტივისტები დრონებით, კამერებითა და ბინძური ბანერებით ერჩიან ახალგაზრდა კაცს, რომელმაც 2015 წელს საკუთარი ხარჯებით სოფელ მარტყოფში წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია ააშენა, წმინდა ჯვარი აღმართა და ცხენზე ამხედრებული იბრაჰიმ-ბეგ შინჯიკაშვილის ბრინჯაოს ქანდაკება დადგა!*** *აღარაფერს ვამბობთ იმის შესახებ, რომ მარტყოფის ველსა და აპარანის წმინდა გიორგის შორის სწორედ გიორგი შინჯიკაშვილის მიერ წამოიმართა სახელოვანი სარდლის, საქართველოსთვის შეწირული გიორგი სააკაძის ბრინჯაოს მონუმენტი. როგორც იბრაჰიმ-ბეგ შინჯიკაშვილის, ისე გიორგი სააკაძის ქანდაკებათა ავტორი გახლავთ* ***ბელა სოლომონაშვილი,*** *რომელიც თავის დროზე* ***ზურაბ წერეთელთან*** *მუშაობდა. მთელმა მარტყოფმა იცის, რომ* ***ბელა და გიორგი შინჯიკაშვილები*** *სოფელში უამრავ ადამიანს ეხმარებიან, მაგრამ* ***ხაზარაძის მეტუალეტეები*** *უკადრებელს კადრულობენ და ადამიანთა შორის მტრობის ჩამოსაგდებად ნებისმიერ სიბინძურეზე მიდიან.* ***2025 წლის 12 მაისს, წმინდა ანდრია პირველწოდებულის ხსენების დღეს, შინჯიკაშვილების ოჯახს ტელეკანალიზაცია „პირველი“ მორიგ ჯერზეც მიეჭრა და მასპინძლის პროვოცირება სცადა.*** *მას შემდეგ, რაც მამუკა ხაზარაძის „უბორნიის“ მიკროფონიან-დრონიანი ფიურერები შინჯიკაშვილების ეზოდან მიაბრძანეს, ღამით გარყვნილთა სექტამ შინჯიკაშვილების კოშკის კარი შელეწა და იქიდან ბინძური ბანერი გადმოფინა. ცნობისათვის: მარტყოფში მდებარე შინჯიკაშვილების კოშკი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია და* ***იბრაჰიმ-ბეგ შინჯიკაშვილის*** *მიერ მე-18 საუკუნის მიწურულს, ეგვიპტიდან ერეკლე მეფისთვის გამოგზავნილი ფულით არის აგებული. ვფიქრობთ, ეს ის შემთხვევაა, როცა მომხდარი ფაქტით გამოძიება უნდა დაინტერესდეს.* ***გიორგი შინჯიკაშვილის მამის, ცნობილი ქართველი ძიუდოისტის ბელა შინჯიკაშვილის განცხადებით, რომელიც 2014 წელს ვეტერანებში სამბოში მსოფლიო ჩემპიონიც კი გახდა, პროვოკატორები და ხელიდან წასული, სისხლს მოწყურებული ნაძირალები, ყველაფერს აკეთებენ, რათა ხარებაზე ცუდი სიტყვა დააცდენინონ და კონფლიქტი გამოიწვიონ!***


ზვიად ხარაზიშვილი (ხაჭაპურა)


გიორგი შინჯიკაშვილი

— გაუსაძლის ვითარებაში ვართ... ერთი წელი ხდება, მთელმა საქართველომ იცის, რომ ჩემს შვილს — ქვემო ქართლის ვიცე-გუბერნატორს **გიორგი შინჯიკაშვილსა და ზვიად ხარაზიშვილის** სპეცრაზმის თანამშრომლებს შორის ინციდენტი მოხდა. ხაზგასმით ვაცხადებ, რომ სპეცრაზმის უფროს **ზვიად ხარაზიშვილს,** ანუ იმავე **ხარებას** ეს არ ეხება, რადგან **ზვიად ხარაზიშვილი** შემთხვევის ადგილზე საერთოდ არ ყოფილა. **ხარებას** 2 ათასი თანამშრომელი ჰყავს და არასამუშაო ვითარებაში ვინ სად წავა, რას დალევს და როგორ მოიქცევა, მაგაზე ის კაცი პასუხს ვერ აგებს. მოკლედ, იმ დღიდან მოყოლებული აკლებული ვართ!

**— რას გულისხმობთ?**

— ხან ტელეკამერებით, ხან დრონებით შემოგვივარდებიან ოჯახში და პროვოცირების მიზნით, გამომწვევად გვეკითხებიან — **„აჰა, გიორგი რომ წასვლას აპირებს ვიცე-გუბერნატორობიდან, ხარებამ გაგიჩალიჩათ და გაჯობათ?“** მერე მიუვარდებიან ხარებას და ცალკე იმის პროვოცირებას ცდილობენ — **„აჰა, გიორგი შინჯიკაშვილმა გაჯობა?“** მოკლედ, ეს პროვოკატორები და სისხლს მოწყურებული ნაძირალები ყველაფერს აკეთებენ, რათა **ხარებაზე** ცუდი დაგვაცდენინონ და კონფლიქტი გამოიწვიონ. **მე რომ მწყობრიდან გამოვიდე და ხარებაზე ცუდი ვთქვა, მერე იმ კაცმა რომ დამირეკოს და მითხრას — რატომ მეხები, შენთვის რა დამიშავებიაო? მართალი ხომ იქნება?** მთელი ცხოვრება ძალოვან სტრუქტურებში ვიმუშავე. ძმაკაცებიც მყავს, ინფორმატორებიც, მაგრამ კაცს ჩემთვის არ უთქვამს — **ხარებამ** თქვენზე გადაბრუნებული თქვაო! არც ჩვენ ვერჩით იმ კაცს, მაგრამ ესენი დარბიან, რათა ერთმანეთს დაგვატაკონ!

**— შემოჩენილები არიან?**

— „პირველი“ რომ მოვა, „მთავარი არხი“ წავა! ესენი რომ წავლენ, „ფორმულას“ ხალხი მოდის... შიშით კარი ვერ გაგვიღია. დილიდან საღამომდე ჭიშკართან სხედან... ხან ხილს გავუტანთ, ხან წყალს შევასხამთ, ხან ვეჩხუბებით, ხან ვეფერებით, მაგრამ არა და არ მიდიან! რაც უკრაინაში ომი დაიწყო, კიევის თავზე არ იქნება გადაფრენილი იმდენი დრონი, რამდენიც „პირველმა“, „მთავარმა არხმა“ და „ფორმულამ“ ჩვენი სახლის თავზე გადააფრინა!

12 მაისს, წმინდა ანდრია პირველწოდებულის ხსენების დღეს, ჩემს მეგობარს ველაპარაკებოდი, ჭიშკარი ღია იყო, რომ შემოვიდნენ ეს მაწანწალები — „პირველის“ ხალხი. სავარძელში ვიჯექი... დამადგნენ თავზე და მეკითხება ერთი გოგო — **გიორგი სად არის?** — მე რა ვიცი, სად არის-მეთქი! — **არა, შენ მამა ხარ და გეცოდინებაო!** — მამაშენმა იცის, შენ სად დადიხარ-მეთქი? ამის მერე მეკითხება — **გიორგი ქვემო ქართლის ვიცე-გუბერნატორობიდან რომ გადადგა, ეგ ხარებას ხომ არ უკავშირდებაო?** — რით ვერ დაისვენეთ, რომ ერთი წელიწადია, სულ **ხარებას** გაიძახით? მოხვალთ ჩვენთან, **ხარებას** ახსენებთ, მიხვალთ **ხარებასთან — გიორგი შინჯიკაშვილს** ახსენებთ... მე **ხარებას** პატივს ვცემ, გინდა, ახლა დავურეკო და აქ ამოვიყვანო, ერთად უნდა ვიქეიფოთ-მეთქი? ამაზე ირონიულად გაეღიმა — **აბა, დაურეკეთ, ამოვა?** — დავრეკავ, ოღონდ ერთი პირობით, სანაძლეო დავდოთ, აი, მე ორივე მანქანას ჩამოვდივარ და შენ რას ჩამოხვალ-მეთქი? — ამდენი შესაძლებლობა მე არა მაქვსო! მაშინ ჩემმა მეგობარმა უთხრა — **თუ წააგებ და ხარება საქეიფოდ მოვიდა, ჟურნალისტობას თავი გაანებეო!** ამაზე ის გოგო შეიშმუშნა და ჩაფსმული ბავშვივით დადგა. ცოტა ხანში ისევ ირონიულად მე-

**„მთელი ცხოვრება ძალოვან სტრუქტურებში ვიმუშავე. ძმაკაცებიც მყავს, ინფორმატორებიც, მაგრამ კაცს ჩემთვის არ უთქვამს — ხარებამ თქვენზე გადაბრუნებული თქვაო! არც ჩვენ ვერჩით იმ კაცს, მაგრამ ესენი დარბიან, რათა ერთმანეთს დაგვატაკონ!“**

## კვირგვინოსნები

**მამუკა ხაზარაძე**
*პარტია „ლელოს“ ლიდერი*



ჩემი და **ბადრი ჯაფარიძის** ბიზნესმოღვაწეობის პერიოდში **არ ყოფილა არცერთი შემთხვევა, ვინმეს რაიმე პრეტენზია გამოეხატოს ჩვენს საქმიანობასთან დაკავშირებით,** ასეთი რამ არ არსებობს.

„პირველი არხი“

**ლევან ბრეგაძე**
*ლიტერატურის კრიტიკოსი*



ტელევიზიებში, სასწავლებლებში და პარლამენტში **დღეს უმთავრესად ლანძღვა-გინება, ანუ სიძულვილის ენა ისმის!** ოჯახი და სკოლა დგას ამ უმსგავსობის სათავეში! **პატრიოტიზმი** ჩვენში, უკეთეს შემთხვევაში, **ლიტონი სიტყვაა,** ხოლო უარეს შემთხვევაში — **გაიძვერათა ნიღაბი.**

„საერთო გაზეთი“

**მერაბ შათირიშვილი**
*მწერალი*



თანამედროვე შაჰ აბასები ცდილობენ, **ქვეყანა გაანადგურონ, იდენტობა დაგვაკარგვინონ და ერის ფასეულობები მოსპონ.** თანაც, ქართველი ერის სახელით ლაპარაკობენ.

„საერთო გაზეთი“

**ვაჟა ბერიძე**
*ანალიტიკოსი*



ინიციატივა **სატელეფონო არჩევნების** შესახებ არანაირ ლოგიკაში არ ჯდება. ამ ლოგიკით, ძალიან მარტივად შეუძლიათ **ლევან ხაბეიშვილს, პაატა ბურჭულაძესა და სალომე ზურაბიშვილს,** რომ დასხდნენ და დაწერონ არჩევნების შედეგი. რეალობა ის არის, რომ **ოპოზიციამ ჯერაც ვერ მოიპოვა ქართველი საზოგადოების მხარდაჭერა.**

„კვირის პალიტრა“



# გელა შინჯიკაშვილი:

# საქვეყნოდ ვაფრთხილებ „ტვ პირველის“, „მთავარი არხისა“ და „ფორმულას“ ნაძირალებს –

## ჩემს ეზოსა და სახლში არ შემოიჭრათ, თორემ პასუხი უმკაცრესი იქნება!

კითხება — **იქნებ გიორგი მარწყვის საკრეფად არის წასულიო?!** შარშან სპეცრაზმელებსა და გიორგის შორის ინციდენტი ახალი მომხდარი რომ იყო და ეს „პირველის“ პროვოკატორები გიორგის დაოთხილი დაეძებდნენ, მაშინ ვუთხარი მაგათ — გიორგი მარწყვის საკრეფად არის წასული ჩუმლაყში, მამიდამისს ეხმარება-მეთქი! მართლა წავიდნენ ეს გიჟები და ჩუმლაყში, ჩემს დასთან დაეძებდნენ გიორგის... (იცინის) აი, ეს თემა ამიგორა და დამიტრიალა იმ გოგომ.. მოკლედ, ფეხს ითრევდნენ, წასვლა არ უნდოდათ, მაგრამ, როგორც იქნა, წაეთრნენ. მოვტრიალდი უკან, რათა მეგობართან ერთად პური მეჭამა, მაგრამ დავინახე, რომ ისევ შემოსულები არიან ეს კეთილძაღლები და კამერებით და ტელეფონებით ჩემს ეზოს და კარ-მიდამოს იღებენ! გავაფრთხილე — ნუ იღებთ და ეზო დატოვეთ-მეთქი!

**— ანუ თქვენს ეზოში უნებართვოდ, ქურდულად შემოვიდნენ?**

— დიახ, დაუკითხავად, ქურდულად შემოვიდნენ! თავიდან შუა ეზოში იყვნენ შემოსული და მერე მკითხეს — შეიძლებაო? თავზე დამადგნენ და ხომ არ ვეტყოდი, არ შეიძლება-მეთქი?! სამოცდათი წლის კაცი ვარ და ამ ნაძირალებმა ჩემს ეზოში დამიწყეს მასხრად აგდება და ირონიული ლაპარაკი...

**— მერე რა მოხდა?**

— არაფერი, იმ გოგოს ტელეფონი ჩამოვართვი, ხოლო ბიჭს — კამერა და მივაბრძანე ეზოდან! ამის შემდეგ დავრეკე 112-ში და განვაცხადე — ასე და ასეა, ამ ნაძირალების ტექნიკა აგერ, სახლში მაქვს და მოდით, წაიღეთ, ჩაიბარეთ-მეთქი! 14:46 საათზეა დაფიქსირებული ჩემი ზარი... კიდევ ერთხელ ვიმეორებ: ერთი წელია, დილიდან საღამომდე ჭიშკართან სხედან და თხოულობენ ინტერვიუს... **მეზობლები და ნათესავები ჭიშკართან რომ მოვლენ, შიშით კარს ვერ ვაღებთ, რათა ეზოში ეს გათახსირებულები არ შემოგვივარდნენ!**

იმ დღეს რაღაც ჯანდაბად ჭიშკარი ღია იყო და შემოეთრნენ, თორემ მაგათ ჩვენ არ ვუშვებთ ეზოში. ჭიშკარი რომ გადავუკეტეთ, დრონებით დაგვიწყეს შანტაჟი. გამოვალ, ვესვრი ამ დრონებს თოფს, მაგრამ იქამდე ვერ ვწვდები! ხოლო სპეციარაღს, რომელიც გაფორმებული მაქვს, დრონს ვერ ვახვედრებ, რადგან დავბერდი *(იცინის)*... ორი დღის წინათ პრემიერს გადაუდგნენ და ჰკითხეს — **გიორგი შინჯიკაშვილი ხარებას გულისთვის გაათავისუფლეთო?** მირეკავს ეს სულელი **ნანუკა ქაჯაია** „ტვ პირველიდან“ — ჟურნალისტს ტვინის შერყევა აქვსო! მე ვუთხარი — გოგო, ტყუილს რატომ ლაპარაკობ, მაგას რომ ტვინი ჰქონდეს, აქ როგორ მოვიდოდა-მეთქი? ოცი წუთი ვილაპარაკეთ და მითხრა — მამაჩემი გაგრაში დაიღუპაო! — მერე რა-მეთქი? ამაზე ატეხა ერთი წივილ-კივილი — მაგას როგორ ამბობ მამაჩემზე, შე ასეთო, შე ისეთოო! ილანძღებოდა საშინელი სიტყვებით... მე ვუთხარი — აბა, აქეთ გამოიხედე და კარგად მომისმინე-მეთქი! 1991 წლის 7 იანვარს სამაჩაბლოში პირველი ტყვია რომ გავარდა, იქ ვიყავი; იქიდან მოყოლებული, სამაჩაბლოშიც ვიომე და აფხაზეთშიც; ომში ჩემი ათკაციანი ეკიპაჟი რომ ააფეთქეს, ერთ-ერთი თანამშრომელი — ზვიადაური წელსქვევით ჩამოვასვენე. შვიდი კაცი დამიჭრეს, მხოლოდ მე და მძღოლი გადავრჩით... რომ გადავრჩი, ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ მე დეზერტირი ვარ, ხოლო **ქაჯაიაა თუ ქაჯია,** მხოლოდ მაგის მამაა გმირი? ცხონებულმა მამაჩემმა, 1941 წლის 22 ივნისს ომში რომ წაიყვანეს, ქერჩში იომა და დაიჭრა. საცოდავი განჯაში ჩამოსვეს და შავი პური და რამდენიმე ნატეხი შაქარი მისცეს. მთელმა მარტყოფმა იცის, დაჭრილი კაცი სამ დღე-ღამეში ყავარჯნებით ჩამოვიდა განჯიდან და ის შავი პური და შაქარიც აქ ჩამოიტანა — ბავშვებს ეში-ებათო! პაპაჩემი პირველ მსოფლიო ომში იბრძოდა. თუ იქით წავალთ, **გიორგი პაპა შინჯიკაშვილი** ეგვიპტის მმართველის, დიდი იბრაჰიმ-ბეგ შინჯიკაშვილის ძმა იყო და მთელი ცხოვრება ერეკლე მეფეს ახლდა თან — მისი პირადი დაცვის წევრი იყო. ის რომ მოხუცდა, მერე მისი ვაჟი **გელა შინჯიკაშვილი,** რომლის სეხნიაც ვარ, ემსახურებოდა **ერეკლე მეფეს.** რაც შეეხება ჩემს შვილს **გიორგი შინჯიკაშვილს,** 2008 წლის 6 აგვისტოს ქორწილი ჰქონდა... 8 აგვისტოს რაც დაიწყო საქართველოში, ვიცით. 9 აგვისტოს აისხა იარაღი, წავიდა სამაჩაბლოში და 10 აგვისტოს უკან მოატრიალეს. აი, ამაზე მოვიდნენ ტელევიზიები და მელაპარაკონ ეს გარეწრები!

**— შინჯიკაშვილების ციხეზე ბინძური ბანერი ვინ გადმოფინა?**

— 13 მაისს, გვიან ღამით, ძალიან ცუდი ამინდი იყო, ჭექა-ქუხილი არ წყდებოდა და მაგ გაფუჭებულების მოსვლა ვერ გავიგეთ... თურმე, მოთრეულან, ღამით ჭიშკარზე ბრახუნი დაუწყიათ და მერე ეზოში კვერცხებიც უსვრიათ... ბედი მაგათი, რომ ეს ყველაფერი ვერ გავიგე, თორემ დღეს ჩვენ ამ საკითხზე არ ვისაუბრებდით, მე დაკითხვაზე ვიქნებოდი, ხოლო მაგათ ოჯახებში გლოვა იქნებოდა! ამის შემდეგ მითრეულან **შინჯიკაშვილების ციხესთან,** რომელიც კულტურული ძეგლია, შეუღეწიათ კარი, ასულან და გადმოუფენიათ თეთრი ნაჭერი ბინძური წარწერით, სადაც თავიანთი ჭკუით ჩვენ გვლანძღავენ... ამის შესახებ დილით ჩემმა ქალიშვილმა მამცნო, რომელიც აქვეა გათხოვილი. სწორედ ჩემს ქალიშვილს ჩამოუხსნია ეს ბანერი... **ზვიად ხარაზიშვილთან,** ანუ ხარებასთან მე და ჩემს გიორგის არანაირი კონფლიქტი არ გვქონია, არც გვაქვს და არც გვექნება! ახალგაზრდებმა ერთმანეთში იჩხუბეს და მორჩა, ხარება რა შუაშია? მინდა, „ასავალ-დასავალს“ მადლობა გადავუხადო, რომ ჩვენი გასაჭირით დაინტერესდით და თქვენი საშუალებით საქვეყნოდ ვაფრთხილებ „ტვ პირველის“, „მთავარი არხისა“ და „ფორმულას“ ნაძირალებს: **ჩემს ეზოსა და სახლში არ შემოიჭრათ, თორემ პასუხი უმკაცრესი იქნება!**

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***



***იბრაჰიმ-ბეგ შინჯიკაშვილის მიერ გამოგზავნილი ფულით აგებული ეკლესია სოფელ მარტყოფში და იბრაჰიმ-ბეგის ძეგლი, რომელიც მას გიორგი შინჯიკაშვილმა დაუდგა***

**გარყვნილთა სექტის აქტივისტები ერჩიან ახალგაზრდა კაცს, რომელმაც 2015 წელს საკუთარი ხარჯებით სოფელ მარტყოფში წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია ააშენა, წმინდა ჯვარი აღმართა და ცხენზე ამხედრებული იბრაჰიმ-ბეგ შინჯიკაშვილის ბრინჯაოს ქანდაკება დადგა!**

## კვირგვინოსნები

**პაატა ბურჭულაძე**
*გაერთიანება „რუსთაველის გამზირის“ წევრი*



არ ვიცი, **ვინ იბარებს ალღუმს,** თუმცა, ერთი რამ ვიცი, ქართულ ჯარს არ უნდა მიაყენო შეურაცხყოფა და **ფიცი არ უნდა დაადებინო მიხეილ ყაველაშვილის წინ. ყაველაშვილმა** ფიცი თუ ჩაიბარა, **ის ჯარისკაცი ჩვენ აღარ გამოგვადგება.**

„კვირის პალიტრა“

**გია ვოლსკი**
*პარლამენტის ვიცე-სპიკერი*



ყველაზე „ჭკვიანური“, რაც **პაატა ბურჭულაძემ** მოიფიქრა, **ტელეფონებით არჩევნების ჩატარება** იყო, ამის იქით მისი ინტელექტი ველარ სწვდება. **პუტინს უმღეროდა და ახლა უცებ ანტირუსული მოძრაობის მამამთავარი გახდა.**

„აიპრესი“

**თეიმურაზ ქორიძე**
*ჟურნალისტი*



„ნამდვილი პრეზიდენტი“ **სალომე ზურაბიშვილი** რომ დროებით გვერდზე გადავდოთ, **პაატა ბურჭულაძე** სავსებით სერიოზულად ამბობს: მე და ჩემი „ხალხი“ სექტემბრის თვეში **ალტერნატიული არჩევნების ჩატარებას** ესტონური მოდელით, **ტელეფონებით ვაპირებთო!** ე, ბიჭო, აუხსენით ვინმემ ამ მონდომებულ პოლიტიკოსს, რომ **არჩევნები შეიძლება ჩატარდეს ელექტრონულად, უქაღალდებოდ, ტელეფონით კი შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ მოსახლეობის გამოკითხვა ნებისმიერ თემაზე.**

„საქართველოს რესპუბლიკა“

**ვლადიმერ ბოჭაძე**
*პარლამენტარი*



**ყველანაირი არჩევნები გამიგია, მაგრამ არა — ტელეფონებით.** როგორც ჩანს, **პაატა ბურჭულაძეს** ფონდ „ივანანას“ გამოცდილება აქვს და **შესაძლოა, ზარიც ფასიანი გახადონ.**

„რეზონანსი“



# არნო ხიდირბეგიშვილი

# შიშისაგან დაღლილი თაობის გასაგონად!



*„საქინფორმის“ გენერალური დირექტორისა და მთავარი რედაქტორის, უშიშროების, სტრატეგიული ანალიზისა და საინფორმაციო პოლიტიკის ცენტრის ხელმძღვანელის* **არნო ხიდირბეგიშვილის** *დღევანდელი წერილი — ესაა საუბარი მომავალზე, როდესაც საქართველო იწყებს სერიოზულ დიალოგს როგორც მეზობლებთან, ისე იმ თაობასთან, რომელიც შიშისაგან დაიღალა და რეალური სასიკეთო შედეგების მიღწევა სურს.*

რა გვიშლის ხელს ქართველებსა და აფხაზებს, რომ უბრალოდ დავსხდეთ და ვილაპარაკოთ? ფორმალურად — არაფერი, მაგრამ არაფორმალურად — ბევრი რამ და ეს ყველაფერი ჩვენს გონებაში, ჩვენს შიშებშია მიძინებული, იმ ძალადობრივ მეხსიერებაში არის ჩაძირული, რომელმაც ათწლეულების განმავლობაში პოლიტიკა ჩაანაცვლა.

ყველაზე მთავარი დაბრკოლება — აუმეტყველებელი წარსული და ჩამოუყალიბებელი მომავალია. **ათწლეულებია, ერთმანეთს დანაკარგების, ტკივილისა და ურთიერთბრალდების პრიზმით ვუყურებთ.** არ ვცხოვრობთ რეალური კონტაქტებით და ეჭვით ვეკითხებით საკუთარ თავს: **„რას იტყვიან ისინი“, „როგორ მიიღებენ“, „ისევ ხომ არ გვიღალატებენ?“** ამ უნდობლობის ატმოსფეროში ნებისმიერი პასუხი ეჭვით აღიქმება, ხოლო ნებისმიერი დაახლოების მცდელობა სისუსტედ არის მიჩნეული. და სანამ ამ ფსიქოლოგიურ სარჩულს არ შევცვლით, არცერთი კონფერენცია, მემორანდუმი და კეთილი ნების მისია არ იმუშავებს. დიახ,

**დარწმუნებული ვარ: დიალოგი შესაძლებელია და, მეტიც – გარდაუვალი, რადგან აფხაზები და ქართველები ერთმანეთისგან გამიჯნულად ვერ იცხოვრებენ.**

ეს დაამტკიცა ომმა, ბლოკადებმა, სანქციებმა და დანგრეულმა ინსტიტუტებმა. ვაჭრობის, მედიცინის, განათლების, ოჯახური და სულიერი კავშირების აღდგენამდე არ იარსებებს არც აფხაზეთი და არც ერთიანი საქართველო. **იარსებებენ მხოლოდ გარე კურატორები და დაკარგული თაობა!**

მაგრამ უნდა დავიწყოთ არა დიდი ხელშეკრულებებით ან პოლიტიკური დეკლარაციებით, არამედ უწყინარი ნაბიჯებით — ახალგაზრდა ექიმებისა და პედაგოგების ერთობლივი პროექტებით; აფხაზური დიპლომებისა და მართვის მოწმობების აღიარებით მთელ საქართველოში; ოჯახური კონტაქტების აღდგენით, განსაკუთრებით შერეული ქორწინებების შემთხვევაში; ერთობლივი გამოფენებით; სტუდენტური ექსკურსიებით, ახალგაზრდა მოხალისეების ბანაკებით...

**აფხაზეთი და საქართველო** ხანდაზმულ წყვილს ჰგავს, რომელიც სხვადასხვა ოთახში დაბინავეს და მხოლოდ უბრალო, ცოცხალ, არაფორმალურ საუბარს შეუძლია დააბრუნოს სითბო. არა აქვს მნიშვნელობა, რა ენაზე იმეტყველებენ ისინი — მთავარია, რომ ხმა იყოს ცოცხალი, და არა ოკეანისგაღმა ჩაწერილი ფონოგრამა.

თუმცა, არიან ისინიც, ვისთვისაც ეს დაახლოება ხელსაყრელი არაა. **მათთვის მტრობა კონტროლის იარაღია.** ამიტომაც ქართველებმა და აფხაზებმა უნდა გავიხსენოთ ერთი მარტივი ჭეშმარიტება: **ჩვენ არავის ვაინტერესებთ ისე, როგორც ჩვენ გვაინტერესებს ერთმანეთი!**

და სანამ ამას არ გავაცნობიერებთ, ყველა საუბარი დაიწყება არა სალმით — **„გამარჯობა“** ან „მშიბზია“, არამედ მოთხოვნით — **„დამიმტკიცე, რომ მტერი არ ხარ“,** ყოველთვის ვიქნებით სხვისი თოჯინები.

სწორედ ახალგაზრდობა უნდა გახდეს მშვიდობის მთავარი გარანტი და არა სხვის საელჩოებში ჩაბუდებული პენსიონერები. მაგრამ, სამწუხაროდ, ახალგაზრდებს საქართველოსა თუ რუსეთში ზრდიან სხვადასხვა საინფორმაციო ველში, რაც მათ უნდობლობასა და შიშს უნერგავს — შიშს იმ მეზობლებისა და თანატოლების წინაშე, რომლებთანაც ოდესღაც ერთ გუნდად თამაშობდა ეზოში, დღეს კი გამოლაპარაკებაც აფრთხობს...

მართლაც დროა, გავწყვიტოთ შიშის ჯაჭვი. სამწუხაროდ, ჩვენ გვეშინია არა იმათი, ვინც რეალურად არის საშიში, არამედ მათი, ვის შესახებაც არაფერი ვიცით. პროპაგანდა ერებს იზოლაციაში აქცევს და უნერგავს ცრუ წარმოსახვას, თითქოს კედლის მიღმა მხეცები ცხოვრობენ! არადა, საკმარისია ჭიშკარი გაიხსნას და აღმოაჩენ, რომ ენგურის გაღმა თუ გამოღმა ჩვეულებრივი ადამიანები ცხოვრობენ, რომლებიც უსმენენ იმავე მუსიკას, თამაშობენ იმავე ვიდეოთამაშებს, უყვართ იგივე ფილმები და... უბრალოდ, სურთ იცხოვრონ!

ამიტომ, **პოლიტიკური ფორმატების ნაცვლად ნდობის ჰუმანიტარული კორიდორები უნდა შევქმნათ. საქართველო არ უნდა შეუშინდეს საკუთარი შეცდომებით გამოწვეული ტკივილის აღიარებას, აფხაზეთი — სხვისი სევდის გათავისებას, რუსეთი — დაკარგული ძმობის ტკივილს.** მხოლოდ ერთმანეთის თვალებში ჩახედვით შეიძლება, გაუცხოებული ადამიანები მომავლის თანაავტორებად იქცნენ. ახალგაზრდებს უნდა ავუხსნათ, რომ სიმართლე არა რეიტინგებისთვის დაწერილ სახელმძღვანელოებში, არამედ ცოცხალი ადამიანების მეხსიერებაშია. **აფხაზმა მოზარდმა უნდა იცოდეს, რომ ქართველ დედასაც უტირია, რუსმა კი უნდა შეიტყოს, რომ თბილისში 9 აპრილს სისხლი დაიღვარა.**

დადგა დრო, გადაიშალოს ცხოვრების ახალი ფურცელი არა ოცნებით ევროპაზე, არამედ საერთო კავკასიის რეალობით. **მშვიდობის იდეები არ უნდა იყოს აბსტრაქტული. ისინი უნდა იყოს შეგრძნებადი — როგორც Wi-Fi, როგორც ხელფასი, მოგზაურობა სოჭში, თბილისში და სოხუმში — პასპორტებით, დამცირების გარეშე.** ახალგაზრდობას ლექციები ვერ შთააგონებს. მას შთააგონებს თავისუფლების გრძნობა — საუბრის, სიყვარულის, მოგზაურობის, მშენებლობის თავისუფლება. **ამიტომ შიშზე საუკეთესო პასუხი — ერთობლივი სტარტაპებია, კრეატიული ინდუსტრიები, ციფრული პლატფორმები, სადაც ქართველები, აფხაზები და რუსები ერთად მუშაობენ.**

დაბოლოს: შიშს მხოლოდ სიყვარული ართმევს ძალას! არა პათეტიკური ან დიპლომატიური, არამედ ადამიანური. **რადგან ჩვენ გვაქვს ერთობლივი ქორწილები, საერთო სასაფლაოები, საერთო ეკლესიები, საერთო სამზარეულო და საერთო სიმღერები.** სანამ მღერიან ძველ სიმღერებს — რუსულად, აფხაზურად და ქართულად — ჩვენ ვცოცხლობთ! **სანამ სოხუმელი ბიჭი ოცნებობს ფილმის გადაღებაზე თბილისის შესახებ,** ხოლო გორელ გოგონას სურს სანქტ-პეტერბურგში საცეკვაო ფესტივალზე მოხვდეს, გადარჩენის შანსი ისევ არსებობს. ეს ნიშნავს, რომ ინტერნეტ-პროპაგანდის გაძლიერება კი არა, გულებს შორის ხიდების გადება გვჭირდება. ამ შემთხვევაში ჩვენ უბრალოდ კი არ დავაბრუნებთ წარსულს, საერთო მომავალსაც ავაშენებთ!

საქართველო, რომელიც დაიღალა ევროილუზიებით, ათწლეულების განმავლობაში პირველად დაფიქრდა: რა დგას სინამდვილეში ღირებულებებისა და ცივილიზაციური არჩევანის უკან, რატომ იჩენს თავს ევროპული ვიტრინების მიღმა ორმაგი სტანდარტები, გარე მმართველობის დიქტატი, ტრადიციების ძირგამოთხრა და იდენტობის წაშლა.

ევროატლანტიკური ვექტორი აღმოჩნდა დერეფანი კარის გარეშე: იქ, სადაც თავისუფლებას გვპირდებოდნენ — ცენზურა დამყარდა, სადაც ინვესტიციებს ველოდით — თავზე დაგვეყარა გრანტები არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის, სადაც მშვიდობისკენ მოგვიწოდებდნენ — შიდა კონფლიქტები გაღვივდა. შედეგად მივიღეთ: ეროვნული დამცირება, ეკლესიის დელეგიტიმაცია, დაკარგული თაობები, ახალგაზრდობის მასობრივი გადინება და ისტორიული კოდის გარღვევა.

ქართველები, როგორც ერი მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრივი და მართლმადიდებლური მეხსიერებით, სულ უფრო ხშირად სვამენ კითხვას: **რატომ უნდა ვიყოთ იმ კლუბის ნაწილი, სადაც ჩვენს სიწმინდეებს აბუჩად იგდებენ და ჩვენი სუვერენიტეტისათვის ბრძოლა „დემოკრატიისთვის“ ხელისშემშლელად ითვლება?**

საქართველო მზადაა ორიენტირების გადასახედად არა შიშის, არამედ სიმწიფის გამო. რადგან ოცნება — **„ევროპა ნებისმიერ ფასად!“** — გადაიქცა ნაბახუსევად და მის ადგილს იკავებს გააზრებული სწრაფვა დამოუკიდებლობისკენ, სტრატეგიული ბალანსისა და გულწრფელი პოლიტიკისკენ.

საზოგადოება მზადაა, მოუსმინოს მათაც, ვინც რუსულად საუბრობს და მათაც, ვინც ვაშინგტონთან კავშირში არაა. საზოგადოებას სურს და აქვს უფლება, იოცნებოს საქართველოზე — **და არ იქცეს პაიკად სხვის თამაშში!**

## დროა, გავწყვიტოთ შიშის ჯაჭვი!

## კვირგვინოსნები



**მიშა მშვილდაძე**
*„ფორმულას“ თანადამფუძნებელი*

მიუხედავად უთვალავი, აუწონავი ბოროტებისა, ძალადობისა, ჰანდონობისა, ფარისევლობისა და სირცხვილთა მთელი კალეიდოსკოპისა, აგერ უკვე 13 წელია — **17 მაისი მაინც ყველაზე სამარცხვინო და ფსკერი დღეა ქოცების ქრონიკებში. სოლიდარობა ლგბტ თემს და ადამიანებს.**

„მარშალპრესი“



**გოჩა მირცხულავა**
*ანალიტიკოსი*

ეს **ოჯახის სიწმინდის დღე** არის ფარისევლების მიერ დაწესებული **აფერისტობის დღე!** რა მნიშვნელობა აქვს, **რამდენი გაუნათლებელი ადამიანი გამოვა და აღნიშნავს ამ დღეს?!** მე ღიად ვაცხადებ, **საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია არის პირდაპირ რუსეთის ფილიალი,** რომელიც ყველა სიტუაციაში „აპრავებს“ საქართველოს ხელისუფლების უკანონო ქმედებებს.

„ახალი თაობა“



**დავით ზურაბიშვილი**
*პოლიტიკოსი*

ივანიშვილი **ოპოზიციის გადატეხასა და მოსპობას აპირებს.** დღეს პროტესტს ყველაზე მეტად აკლია კითხვაზე პასუხი — **თუ „ოცნება“ არ იქნება, ვინ მოდის ხელისუფლებაში?!** ოპოზიცია ბოიკოტით არასწორად იქცევა. **ამ არჩევნებში მონაწილეობის მიღება აუცილებელია. მარტო ქუჩიდან ბრძოლა არ კმარა!**

„ახალი თაობა“



**ნანა კაკაბაძე**
*„ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ თავმჯდომარე*

ახლა გვეუბნებიან — **თავისუფალი ქვეყანა ხართ, მაგრამ იმაზე მეტად გვზღუდავენ, ვიდრე საბჭოთა კავშირის დროს.** დიახ, ახლა მეტად გვკარნახობენ, როგორ მოვიქცეთ, ვიდრე მაშინ. **დღეს ერთი ელჩი აღარ დარჩა ისეთი, რომელიც ქართულ პოლიტიკაში ხელებს არ აფათურებდეს.** კრიმინალი ვეღარ დაგვიჭერია, მაშინვე მის გათავისუფლებას ითხოვენ.

„საერთო გაზეთი“

# გენერალისიმუსი

**№21 (317) ★ 2025 წლის 26 მაისი ★ გამოდის 2003 წლიდან**

# მახათიანები






# როგორ ებრძოდა სტალინი მუქთახორებსა და პარაზიტებს

***1936 წლის დიდი სტალინური კონსტიტუციის 118-ე მუხლით, საბჭოთა კავშირის ყოველ მოქალაქეს შრომის უფლება გარანტირებული ჰქონდა, ხოლო მე-12 მუხლში საგანგებოდ და ხაზგასმით ეწერა — „შრომა საბჭოთა კავშირში ყველა შრომისუნარიანი მოქალაქისათვის სავალდებულოა და ღირსების საქმეა პრინციპით — „ვინც არ მუშაობს, ის არ ჭამს!“***

თანამედროვე ქართულ პოლიტიკასა და, განსაკუთრებით, ოპოზიციურ სპექტრში ეს პრინციპი თავდაყირაა დაყენებული და **ვინც არაფერს აკეთებს, საქართველო დააქცია და მთელი ცხოვრება მუქთახორობს,** სინამდვილეში სწორედ ის ჭამს!

აი, მაგალითად, **მამუკა ხაზარაძეს,** დღეს რომ **ლაშა ბუღაძის** მსგავსი ტუალეტის მჯღაბნელებით ამარაგებს საქართველოს, ცხოვრებაში ორი აგური არ დაუდია ერთმანეთზე, მაგრამ **1989 წლის 18 თებერვალს** ცხონებულ **მერაბ კოსტავას** სკამის გადაჭრილი ფეხი მოუქნია თუ არა, იმის შემდეგ **შევარდნაძემ** სულ ხელში ატატებული ატარა და მთელი ქართველი ხალხის ანაბრები ჩაახუტა.

რა გაუკეთებიათ **ბიბი უზულავას** ან **ირაკლი ოქრუაშვილს?**

ცხადია, არაფერი!!!

**ერთი ბორდელებში დადიოდა და ასდოლარიანებს არიგებდა, ხოლო მეორემ ხაშურის ბორდელი აიღო სპეცრაზმით!**

დღეს ორივე მუქთახორა და პარაზიტია, სამაგიეროდ, მულტიმილიონერებიც არიან და რადგან დიდძალი ფული აქვთ, ქვეყნის გადატრიალებასაც გეგმავენ!

იგივე ითქმის **ჭუჭუ ვაშაძესა** და **ნიკუშუ ზვარამიაზე...** ერთს ბიტკოინების ბიზნესი აქვს და ქოლცენტრიც აღმოუჩინეს, ისევე როგორც **ელისტრაკო კილაძეს,** ხოლო მეორეს, სულ მცირე, 7 მილიონი მხოლოდ „რუსთავი-2“-ში აქვს შეჭმული. აღარაფერს ვამბობ იმის შესახებ, რომ **ზვარამია წუწუნ მერაბიშვილთან** და „კოსტა ხეთაგუროვთან“ ერთად საქართველოს ენერგოსისტემაში მილიონებს ატრიალებდა და კიდევ სად რამდენი აქვს მოპარული ან შეჭმული, ღმერთმა უწყის!

ეს ყველაფერი ხდება დღევანდელ საქართველოში, სადაც **პარაზიტებმა და მუქთახორებმა** ქვეყანა შეჭამეს მაშინ, როცა **ამ უმაქნის და უგვან ხალხს სტალინის საბჭოთა კავშირში და მერეც, კანონის ძალით ებრძოდნენ!**

აი, მაგალითად, **1951 წლის 19 ივლისს,** სტალინის სიცოცხლეშივე, საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება **„მოსკოვსა და მოსკოვის რეგიონში სიღარიბის აღმოფხვრისა და ანტისოციალური, პარაზიტული ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“.** ოთხი დღის შემდეგ, 1951 წლის 23 ივლისს, უკვე საბჭოთა კავშირის უმაღლესმა საბჭომ გამოსცა დადგენილება **„ანტისოციალური, პარაზიტული ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლის ზომების შესახებ“.**

ხალხი ამ დადგენილებით გასამართლებას ერიდებოდა და ქვეყანა წინ მიდიოდა, მაგრამ სტალინის სიცოცხლის უკანასკნელ წლებშიც კი **მხოლოდ საბჭოთა რუსეთში 150 ათასი მათხოვარი მაინც იყო დაფიქსირებული!** ამ 150 ათასი კაცის დაახლოებით 1 პროცენტი — 1339 კაცი, 1952-1954 წლებში დაიჭირეს და გაასამართლეს. **არსებობს საარქივო მონაცემები, რომლის თანახმადაც მხოლოდ 1955 წელს რუსეთის საბჭოთა ფედერაციის შინაგან საქმეთა სამინისტრომ 97 ათასი მაწანწალა დააპატიმრა, ხოლო 1956 წელს მხოლოდ რუსეთში 89 ათას 254 ადამიანი დარეგისტრირებული იყო, როგორც მათხოვარი!**

ამ სტატისტიკას თუ დღევანდელ სამ მილიონნახევრიან საქართველოში გადმოვიტანთ და იმასაც გავითვალისწინებთ, რამდენმა ადამიანმა თუ არაადამიანმა მისცა 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებზე ხმა **კაცების გამაუპატიურებელთა, მეცოცხეთა და კასტილიანთა პარტიას,** მაშინ მივხვდებით, რომ ქვეყანა პოლიტიკური **მათხოვრების, პარაზიტებისა** და **მაწანწალების** ბუნაგად არის ქცეული.

**საქართველოში ყველაზე დიდი მაწანწალა, პარაზიტი, მათხოვარი და მუქთახორა, ცხადია, სააკაშვილია, რომელიც ხან შევარდნაძეს აეტორღიალა, ხან – ბუშსა და მაკკეინს, ხან – იუშჩენკოს, ხან – ტიმოშენკოს და ხანაც – ზელენსკის!**

შესაბამისად, ხან ქართველია, ხან — ამერიკელი, ხან სუპერ-ოსი და ხანაც — უკრაინელი!

**პოლიტიკურ მაწანწალა და მათხოვარ სააკაშვილს** ეს წლებია, ხან დემენცია ჭირს, ხან — გაუვალობა, ხან შიმშილისგან სიკვდილის პირზეა მისული, ხანაც ისე იყო გასიებული, გასახდომად იტალიის სპასალონებში ხარჯავდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან მოპარულ მილიონებს!

ცხადია, გარშემოც თავისნაირი **მათხოვრები, პარაზიტები, მაწანწალები და მუქთახორები** ეხვია და ახვევია... აი, მაგალითად, **ზურაბ-ბირჩი შარვალჩახდილი,** რომელიც სულ ახლახან „ვირის აბანოში“ მიაბრძანეს, ადრე „ენჯეოშნიკი“ იყო, ნაცმოძრაობაში რეჟიმის ხრწნილების ჟამს, 2011 წელს შევიდა და მერე სხვა რომ ვერაფერი მოიფიქრა, არცერთი **მათხოვარი, პარაზიტი, მუქთახორა და მაწანწალა** რომ არ იკადრებდა, ის იკადრა — უკანალი წამოიხადა და სოფელ ატოცთან რუსებს მიუშვირა! აღარაფერს ვამბობთ **მუქთახორა, პარაზიტ და „ენჯეოშნიცა“ ეკა გიგაურზე,** რომელიც ჯერ **ბადრი ბიწაძის** ვერტმფრენის სტიუარდესად მუშაობდა, მერე **ვანო მერაბიშვილის** კაპიტანი გახდა, მერე „იუსაიდის“ ფულებით „საერთაშორისო გამჭვირვალობა“ შექმნა და ქვეყნის ჯაყჯაყი დაიწყო.

ახლა, **ტრამპმა** „იუსაიდს“ რომ ალიკაპი ამოსდო, **მაწანწალა და აგენტმა გიგაურმა** თავისი „ენჯეო“ ესტონეთში გადაამისამართა და ბალტიისპირეთიდან უპირებს საქართველოს ძირის გამოთხრას!

დიად საბჭოთა იმპერიაში

**თუ საქართველოს ხელისუფლება სისხლის სამართლის კანონმდებლობაში ცვლილებებს შეიტანს და პოლიტიკურ მუქთახორობას, მაწანწალობას, პარაზიტობასა და მათხოვრობას დასჯადს გახდის, ვფიქრობთ, რუსთაველის პროსპექტი ნაგვისგან და ყროლის სუნისგან გაიწმინდება, ხოლო ქართული პოლიტიკა უფრო ეროვნული და სახელმწიფოებრივი გახდება!**

**დღეს იყო გუშინ ★**

*გაგრძელება „გენერალისიმუსის“ ბოლო გვერდზე*

*დასაწყისი იხ. „გენერალისიმუსი“, 2025 წლის №17–20*

***შეიარაღებული ძალები ნებისმიერი ხელისუფლებისთვის პოტენციურ საფრთხეს წარმოადგენს. ისტორიაში არაერთი მაგალითი არსებობს იმისა, რომ სამხედროებმა შეთქმულებათა და გადატრიალებათა გზით მონარქები დაამხეს, კანონიერად არჩეული ხელმძღვანელები პოსტებიდან გადააყენეს და სამხედრო დიქტატურის დამყარებით მართვის სადავეები საკუთარ ხელში აიღეს.*** *შემთხვევითი როდია, რომ როგორც გვირგვინოსანი, ისე არჩეული მმართველების უმრავლესობა არმიას ელაქუცება, ამასთან, როგორც წესი, ისინი თავს უმაღლეს მთავარსარდლებად აცხადებენ და შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელობას კისრულობენ. საბჭოთა პრაქტიკაში ოქტომბრის რევოლუციისთანავე სხვაგვარი ტრადიცია ჩამოყალიბდა.* ***ლენინი (მთავრობის თავმჯდომარე), სვერდლოვი, შემდეგ კი კალინინი (სახელმწიფოს მეთაურები), სტალინი (პარტიის ხელმძღვანელი) უმაღლესი მთავარსარდლები არ ყოფილან. მუშათა და გლეხთა ახალგაზრდა სახელმწიფოს მთელი შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლობა რესპუბლიკის რევოლუციური სამხედრო საბჭოს ხელში იყო, რომლის თავმჯდომარე ტროცკი გახლდათ. მასვე ეკავა სამხედრო-საზღვაო საქმეთა სახალხო კომისრის პოსტი. პარტიის ჯანსაღი ძალების ერთობლივი მცდელობით ტროცკი მოიცილეს.*** *რევოლუციურ სამხედრო საბჭოს და თავდაცვის სახკომატს ჯერ სტალინის თანამოაზრე ფრუნზე, შემდეგ კი ბელადის უახლოესი მეგობარი ვოროშილოვი ჩაუდგნენ სათავეში.* ***თუმცა ადგილებზე — მუშურ-გლეხური წითელი არმიის შტაბში, მსხვილი სამხედრო შენაერთების სათავეში ტროცკის ხალხი რჩებოდა. ისინი იყვნენ პირველ მარშლებს შორისაც, რომლებმაც მარშლის ვარსკვლავები 1935 წლის სექტემბერში სკპ (ბ) ცკ-ის გენერალური მდივნის ხელიდან მიიღეს. ეს შეთქმულები გაიტრუნნენ. და თავიანთ დროს ელოდნენ. იმ დარტყმასთან შედარებით, რომლის მიყენებაც მათ ბელადისთვის შეეძლოთ, ყველა დანარჩენი კოღოს ნაკბენს ჰგავდა... მაგრამ ბელადი ფხიზლობდა...***

*გიორგი ბეზირგანი*

# დანა ბელადის

# მარშალთა



# შეთქმულება

●

ანტისტალინური ოპოზიციის ხელმძღვანელების — ზინოვიევ-კამენევის და პიატაკოვის, რადეკის და სხვათა ორ ღია სასამართლო პროცესზე მარშალ ტუხაჩევსკის გვარი გაისმა, რომელიც იმ დროს თავდაცვის სახკომის მოადგილე და წითელი არმიის შტაბის უფროსი იყო. მაგრამ სტალინს ან არ უნდოდა ტუხაჩევსკის ღალატის დაჯერება, ან შეთქმულების მთელ ქსელში ჩაწვდომას ლამობდა. მაშინაც კი, როდესაც საგამოძიებო ორგანოებმა მარშალთან დაახლოებული ბევრი სარდალი ამხილეს და ტუხაჩევსკის დაპატიმრების საკითხი დააყენეს, ბელადმა ამაზე თანხმობა არ მისცა. „საჭიროა ღალატის უდავო ფაქტები“ — ამბობდა ის.

ინგლისში საბჭოთა სამხედრო ატაშეს პუტნას დაპატიმრების შემდეგ, რომელმაც პირველივე დაკითხვაზე განაცხადა, რომ ტროცკისა და ტუხაჩევსკის შორის კავშირს ახორციელებდა, სტალინმა უწინდებურად არ მისცა მარშლის დაკავების უფლება, მხოლოდ სახკომის მოადგილის და შტაბის უფროსის პოსტებიდან მოხსნა და ვოლგისპირეთის სამხედრო ოლქის სარდლად მიავლინა.

სამსახურის ახალ ადგილზე გამგზავრების წინა ღამეს ტუხაჩევსკის ბელადთან კონფიდენციალური საუბარი ჰქონდა.

რამდენიმე დღის შემდეგ სტალინთან მიღებაზე შინაგან საქმეთა სახკომი ნიკოლაი ეჟოვი იმყოფებოდა.

●

**1937 წლის 24 მაისის ღამე. მოსკოვი. კრემლი.**

**ეჟოვი:** ამხანაგო სტალინ, დაპატიმრებულმა პრიმაკოვმა დღეს საკუთარი ხელით დაწერა ჩვენება, რომ სამხედრო შეთქმულების სათავეში მარშალი ტუხაჩევსკი დგას. ამასთან, მან შეთქმულებაში მონაწილე ბევრი სხვა ცნობილი სარდალი დაასახელა. აი, სია.

**სტალინი:** ტუხაჩევსკი? არ მინდა, დავიჯერო, მაგრამ მომიწევს. არადა, სულ ერთი კვირის წინ აქ, ამ კაბინეტში თვალებში მიყურებდა და მეფიცებოდა, პატიოსან სიტყვას მაძლევდა, რომ ჩემ წინაშე ბრალი არაფერში მიუძღვის. აზნაურია, ბოლოს და ბოლოს...

**ეჟოვი:** პატიოსან სიტყვას? ეგ ადვილად გამოსდის. სიტყვის მიცემა და მერე გატეხვა ტუხაჩევსკისთვის, აზნაურობის მიუხედავად, ჩვეულებრივი რამაა.

**სტალინი:** რას გულისხმობთ?

**ეჟოვი:** არსებობს მონაცემები, რომ იმპერიალისტური ომის დროს გერმანელებთან ტყვედ ყოფნისას ტუხაჩევსკიმ ასევე მისცა პატიოსანი სიტყვა და არ შეასრულა. მაშინდელი წესებით, ტყვე ოფიცრებს ბანაკის ღობის იქით გასეირნება შეეძლოთ, ნებადართული იყო აგრეთვე ახლომდებარე ქალაქში ჩასვლა, ოღონდ ოფიცრის პატიოსანი სიტყვით. პორუჩიკმა ტუხაჩევსკიმ ასეთი სიტყვა მისცა და... გაიქცა...

... სტალინს სახე უმუქდება. უხმოდ ართმევს ეჟოვს სიას. ზედა მარცხენა კუთხეში მსხვილი ასოებით წერს: „თანახმა ვარ. ი. სტ.“ და თავის დაქნევით ისტუმრებს სახკომს.

●

... ტუხაჩევსკი, როგორც შეთქმული, დიდი ხნის წინ „მომწიფდა“. მისი ბონაპარტისტული განწყობა კარგად იყო ცნობილი პარტიულ და სამთავრობო წრეებში. მაგალითად, ბუხარინი მას „პოტენციურ ნაპოლეონჩიკად“ უხმობდა. თუმცა, თავის შეხედულებებს და პროგერმანულ განწყობას არც თავად მარშალი მალავდა. ჯერ კიდევ 1936 წლის დასაწყისში, ლონდონში მეფე გეორგ V-ის დაკრძალვაზე ოფიციალურ საბჭოთა სამხედრო წარმომადგენლად გამგზავრებისას, ის დაუგეგმავად შეჩერდა ვარშავასა და ბერლინში, სადაც კონფიდენციალური შეხვედრები ჰქონდა პოლონელ და გერმანელ გენერლებთან, რომელთა დროს, აგენტურის ცნობით, „მომავალ მოვლენებზე თავისი შეხედულება არ დაუმალავს“ და „გერმანული სამხედრო მანქანით აღფრთოვანებული იყო.“

რუმინეთის საგარეო საქმეთა მაშინდელი მინისტრი ნ. ტიტულესკუ თავის მემუარებში წერს, რომ ლონდონში მასთან შეხვედრის დროს ტუხაჩევსკიმ ასეთი რამ უთხრა:

„ბატონო მინისტრო, სულ ტყუილად უკავშირებთ თქვენი ქვეყნის და თქვენს ბედს ისეთ წყალწაღებულ სახელმწიფოებს, როგორებიც დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთია. ჩვენ ორიენტაცია ახალ გერმანიაზე უნდა ავიღოთ. გერმანია, ყოველ შემთხვევაში, ხილულ მომავალში, ევროპის კონტინენტზე ჰეგემონი იქნება. დარწმუნებული ვარ, ჰიტლერი ყველა ჩვენგანისთვის ხსნას ნიშნავს.“

●

**ფრანგი ჟურნალისტის ჟენევიევა ტაბუის წიგნიდან „მე კასანდრას მეძახდნენ.“**

„რუს მარშალ ტუხაჩევსკის მეფის დაკრძალვის მეორე დღეს შევხვდი. საბჭოთა საელჩოში გამართულ სადილზე ის ჩემ გვერდით აღმოჩნდა. **ტუხაჩევსკი ახალი ნამყოფი იყო გერმანიაში და ნაცისტების მხურვალე ქებად იღვრებოდა. ჰიტლერით აღტაცებული დაუსრულებლად იმეორებდა: „აი, ვინ არის დაუმარცხებელი, მადამ ტაბუი, მას ვერაფერი შეაჩერებს.“** რატომ ლაპარაკობდა ასეთი დარწმუნებით? იმიტომ ხომ არა, რომ ჰიტლერისა და ნაცისტების დახმარებით ხელისუფლებაში მისვლის იმედი ჰქონდა? ჩემგან მეორე მხარეს მჯდომ მსხვილ დიპლომატს ტუხაჩევსკის რატრატის სმენისას სახე ეჭმუხნებოდა, მერე კი დრო იხელთა და ჩამჩურჩულა: „იმედია, ყველა რუსი ასე არ ფიქრობს.“

●

ხომ არ ამჟღავნებდა თავს ამ გულახდილი საუბრებით თავდაცვის სახკომის მოადგილე? მან ხომ მშვენივრად იცოდა, რომ კედლებსაც კი ყურები აქვთ და შინ თუ საზღვარგარეთ ნათქვამი მისი ყოველი სიტყვა შინსახკომის ორგანოებისთვის გახდება ცნობილი. როგორც ჩანს, საქმე ის არის, რომ სამხედრო გადატრიალებისთვის ყველაფერი უკვე მზად იყო და მარშლის მდიდარი წარმოსახვით დახატული მომავალი გერმანიის პროტექტორატის ქვეშ მის მიერ მართული ქვეყნისა თვეების ან დღეების ამბავი გახლდათ.

ჩეკისტების მიერ ტუხაჩევსკის თანამზრახველებს შორის დაწყებულმა საყოველთაო დაპატიმრებამ ეს გეგმები ჩაფუშა. 1936 წლის ბოლოს ერთ-ერთ კონსპირაციულ თათბირზე ის ამბობდა:

„ჩავარდნები დაიწყო. ამით საქმე არ დამთავრდება. საჭიროა გამოსვლის დაჩქარება.“

დარტყმა 1937 წლის დასაწყისისთვის დაიგეგმა. თუმცა, გამოსვლამდე ცოტა ხნით ადრე აპატიმრებენ პარტიულ ხელმძღვანელებს და შეთქმულების იდეოლოგებს — ბუხარინს, რიკოვს, კრესტინსკის, იაგოდას. შინსახკომის ხელში აღმოჩნდებიან ტუხაჩევსკის მიერ „გადამწყვეტ უბნებზე“ განლაგებული მხედართმთავრები, მათ შორის კორკი, პრიმაკოვი, ფელდმანი. თვითმკვლელობით ამთავრებს სიცოცხლეს პოლიტსამმართველოს უფროსი გამარნიკი.

შეთქმულება ჩავარდა. ტუხაჩევსკის უკანასკნელი გამოსავალი რჩება — გაქცევა. და თითქოს ასეთი შემთხვევაც ეძლევა. მარშალი ლონდონში ინგლისის ახალი მეფის გეორგ მე-6-ის კორონაციის ზეიმზე საბჭოთა დელეგაციის მეთაურად ინიშნება. მაგრამ გამგზავრებამდე ერთი დღით ადრე, 22 აპრილს, პოლიტბიურო სამხედრო დელეგაციის მეთაურის შეცვლის გადაწყვეტილებას იღებს.

ტუხაჩევსკის ირგვლივ წრე შემჭიდროვდა. დანარჩენი უკვე ვიცით.

●

**სკპ (ბ) ცკ-ის პოლიტბიუროს გადაწყვეტილებიდან. 1937 წლის 22 მაისი.**

„ცკ-ის წევრების და კანდიდატების კენჭისყრაზე (გამოკითხვის გზით) დაისვას შემდეგი წინადადება: სკპ(ბ) ცკ-მ მიიღო მონაცემები, რომლებიც ცკ-ის წევრობის კანდიდატს მ. ტუხაჩევსკის ანტისაბჭოთა ტროცკისტულ ბლოკში მონაწილეობასა და ფაშისტური გერმანიის სასარგებლოდ სსრკ-ის წინააღმდეგ ჯაშუშურ საქმიანობას ამხელს. ამასთან დაკავშირებით სკპ(ბ) ცკ-ის პოლიტბიურო ცეკას წევრთა და წევრობის კანდიდატთა კენჭისყრაზე აყენებს წინადადებას მ. ტუხაჩევსკის პარტიიდან გარიცხვის და მისი საქმის შინსახკომში გადაცემის შესახებ.“

გამოკითხვა ორი დღე-ღამე გრძელდება. ამ წინადადებას მთელი ცეკა აძლევს ხმას.

... 23 მაისის ღამით ტუხაჩევსკი კუიბიშევში დააპატიმრეს და მოსკოვში ჩაიყვანეს. ტროცკის რჩეული პირველივე დაკითხვაზე გატყდა. მოგიყვანთ მისი საკუთარი ხელით დაწერილ, ფართო მკითხველისთვის ნაკლებად ცნობილ განცხადებას სახკომ ეჟოვის სახელზე, რომელიც 25 მაისით თარიღდება:

**„23 მაისს დამაპატიმრეს, მოსკოვში 24-ში ჩამომიყვანეს, 25-ში პირველად დამკითხეს და დღეს, დაკითხვის შემდეგ, ვაღიარებ ანტისაბჭოთა შეთქმულების არსებობას და იმას, რომ მის სათავეში ვიდექი. ვალდებულებას ვიღებ, საკუთარი ნებით ვაუწყო გამოძიებას ყველაფერი, რაც შეთქმულებას ეხება, არ დავფარო მისი არცერთი მონაწილე, არცერთი ფაქტი და დოკუმენტი.**

**შეთქმულების ძირი 1932 წელს განეკუთვნება. მასში მონაწილეობდნენ ფელდმანი, ალაფუზოვი, პრიმაკოვი, პუტნა და სხვები, რაზეც დამატებით დაწვრილებით ჩვენებას მოგცემთ.**

***მ. ტუხაჩევსკი. 1937 წლის 25 მაისი, შინსახკომის შინაგანი ციხე“***

●

თუმცა, ტუხაჩევსკიმ მაინც მოახერხა რამდენიმე ცნობილი გვარის დამალვა. ბედის ირონიით, ზოგიერთი მათგანი — მათ შორის მარშალი ბლიუხერი, კომანდარმები ალქსნისი, ბელოვი, დიბენკო — იმ ტრიბუნალის შემადგენლობაში იყო, რომელმაც შეთქმულები გაასამართლა.

სასამართლო 1937 წლის ივნისში გაიმართა. ყველა განსასჯელს — მარშალ ტუხაჩევსკის, ოლქების ყოფილ სარდლებს იაკირს, უბორევიჩს, ეიდემანს, პრიმაკოვს, ფრუნზეს სახ. აკადემიის უფროსს კორკს, ინგლისში საბჭოთა სამხედრო ატაშეს პუტნას, წითელი არმიის კადრების სამმართველოს უფროსს ფელდმანს — დახვრეტა მიესაჯა.

მარშალ ბლიუხერს და ტუხაჩევსკის სხვა თანამზრახველებს მოგვიანებით ამხელენ.

# ზურგში ★

# ბუხარინი – მეგობარი თუ მტერი?



***ის-ის იყო, ტუხაჩევსკისა და სამხედრო შეთქმულებაში მონაწილე სხვა ყოფილი სარდლების პროცესი დამთავრდა, რომ გამოძიების ყურადღების ორბიტაში ახალი შეთქმულები მოხვდნენ.*** *ესენი იყვნენ ახლო წარსულში უმაღლესი საბჭოთა ხელმძღვანელები — სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე* ***რიკოვი,*** *შინსახკომის ხელმძღვანელი იაგოდა, საგარეო ვაჭრობის სახკომი* ***როზენჰოლცი,*** *უკრაინის ხელმძღვანელი* ***რაკოვსკი*** *და სხვები.*

***მათ შორის სტალინის წინააღმდეგ შეთქმულებაში მთავარი ეჭვმიტანილი და მთელი ამ შეთქმულებრივი ჯგუფის ხელმძღვანელი იყო კაცი, რომელიც მრავალი წელი ბელადის პირად მეგობრად ითვლებოდა — ნიკოლაი ბუხარინი...***

*გორბაჩოვის „პერესტროიკამ" ბუხარინის რეაბილიტაცია მოახდინა და სიკვდილის შემდეგ აღადგინა ის ბოლშევიკური პარტიის წევრად. და მას შემდეგ რუსულ ისტორიოგრაფიაში მოდური გახდა ამ პოლიტიკოსზე გლოვა, მისთვის „სტალინური თვითნებობის" მსხვერპლის გვირგვინის დადგმა.*

***მაგრამ იყო კი ბუხარინი მსხვერპლი? რას წარმოადგენდა სინამდვილეში ეს ადამიანი, სტალინის მეგობარი იყო თუ — მტერი?***

„ბუხარჩიკი" — ასე ეძახდა სტალინი „მეგობარს" და მის მუხანათობას გულშიც არ ივლებდა. ის აფასებდა ბუხარინს, როგორც პარტიის თეორეტიკოსს და, თვითმხილველთა მოწმობით, ხშირად ამბობდა: „მე და ბუხარჩიკი ჩვენს პარტიაში ჰიმალაისავით ვართ აღმართულები სხვებზე". მეგობრის მკვეთრ პოლიტიკურ პირუეტებს კი მისი ემოციურობით და ადვილად გატაცებით ხსნიდა. და როდესაც სხვა თანამოსაგრეები პოლიტბიუროში ბუხარინს აუმხედრდებოდნენ, მხურვალედ ეწინააღმდეგებოდა: „ბუხარჩიკს არ დაგაჩაგვრინებთ!" „ბუხარჩიკის სისხლი მოგწყურდათ? არ გამოვა!" მაგრამ იყო თუ არა პოლიტიკაში ბუხარინის აქეთ-იქით მიდებ-მოდება „ემოციურობა"?

დრო ყველაფერს თავის ადგილს მიუჩენს და ამ კითხვაზე ამომწურავ პასუხს გასცემს. მანამდე კი ბუხარინის (ტროცკისთან და სხვებთან ერთად) მოთხოვნა, რომ ლენინი 1917 წლის ივლისში დროებითი მთავრობის სასამართლოზე გამოცხადებულიყო, მისი მკვეთრი პოზიცია 1918 წელს ბრესტის ზავის წინააღმდეგ, ლენინის ჩამოშორების და ახალი მთავრობის ჩამოყალიბებისაკენ მისი მისწრაფება, გააფთრებული ბრძოლა კოლექტივიზაციასთან დაკავშირებით სტალინური ხაზის წინააღმდეგ „ფასდაუდებელი თეორეტიკოსისა" და „პარტიის რჩეულის" „ემოციუროობად" მოჩანდა.

ერთ დროს ცნობილი ჩეკისტი, საბჭოთა კავშირიდან გაქცეული ალექსანდრე ორლოვი (ფელდბინი), რომელიც სტალინის მიმართ კეთილგანწყობილი სულაც არ იყო (აბსოლუტურად პირიქით!), საზღვარგარეთ გამოცემულ თავის წიგნში წერს:

**„სტალინს და ბუხარინს თბილი ურთიერთობა დიდი ხნით ადრე აკავშირებდათ, ვიდრე ბუხარინი სტალინის წინააღმდეგ მიმართულ მემარჯვენე ოპოზიციას ჩაუდგებოდა სათავეში. მაგრამ მაშინაც კი, როდესაც ბუხარინი თავისი ჯგუფით აშკარად გამოვიდა სტალინისა და მის მიერ გატარებული ხაზის წინააღმდეგ, სტალინი კვლავაც საკმაოდ ლმობიერად ეპყრობოდა მას... თუმცა, ბუხარინს პარტიაში მართლაც სცემდნენ პატივს, რაღაც ეჭვი მეპარება, რომ ის შეიძლებოდა „მთელი პარტიის რჩეულად ჩაგვეთვალა..."**

●

მკითხველმა უკვე იცის, როგორ იხსენიებდა სტალინი თავის „მეგობარს". რით პასუხობდა მას ბუხარინი? პირში, ბუნებრივია, ელაქუცებოდა, კვერს უკრავდა, ხოლო ზურგს უკან...

ტროცკი მოწმობს: **„ეს საძაგელი კაცი ყვითელი თვალებით"** — აი, თითქოს რას ამბობდა სტალინზე ბუხარინი. და კიდევ: **„სტალინის პირველი თვისება სიზარმაცეა (?!), მეორე კი — დაუძლეველი შური ყველასადმი, ვინც მასზე მეტი იცის ან შეუძლია."**

ამ გამონათქვამთა კომენტირებას არ ვაპირებ — რაც უნდა იყოს, „სიზარმაცესა" და „შურიანობას" სტალინს ვერაფრით დასწამებ. ჭეშმარიტი გენიოსი მუდამ გულუხვია. დიდი მოცარტი გენიალურ მუსიკოსებად თავის თავსა და სალიერის გამოჰყოფდა. სტალინი თავის თავს და ბუხარინს „პარტიის ჰიმალაის" უწოდებდა. თუკი შურზე ვილაპარაკებთ, ეს უფრო ბუხარინზე ითქმის. და მისი პარალელი სალიერისთან აქედან თავისთავად გამომდინარეობს. მაგრამ გარკვეულ დრომდე ბუხარინი ჭეშმარიტ სახეს მალავს. და მხოლოდ მას შემდეგ, რაც ტუხაჩევსკის მეთაურობით სამხედრო შეთქმულება ჩამოყალიბდა, ის ნიღაბს იხსნის. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ბუხარინზე, როგორც შეთქმულზე, ზინოვიევმა, კამენევმა და ენუქიძემ მიუთითეს, მეტიც, ის მთელი ანტისტალინური შეთქმულების ხელმძღვანელად დაასახელეს, ბელადი მის მოღალატეობას არ იჯერებს. მას შემდეგაც კი, რაც ფაქტებმა და უდავო მტკიცებულებებმა აიძულა, ღალატი ერწმუნა, სტალინი ცდილობს, ბუხარინი მართლმსაჯულების და გარდაუვალი დამსახურებული სასჯელისაგან იხსნას. სხვაგვარად როგორ უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ მსჯავრდებული ზინოვიევის, კამენევის, ენუქიძის და სხვათა ჩვენებებით მხილებულ ბუხარინს 1936 წლის თებერვალში სტალინი პარიზში აგზავნის მივლინებით. თანაც დააკვირდით — ახალგაზრდა ცოლთან, 19 წლის ანა ლარინასთან (ლურიე) ერთად. მგზავრობის ოფიციალური მიზანი — გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ნაცისტთა მიერ განადგურებული არქივების შეძენა, რომლებიც საფრანგეთის დედაქალაქში ინახება. მაგრამ სჭირდება კი სტალინს იმ მომენტში ეს არქივები? და დღესავით ნათელია, რატომ აგზავნის ის ბუხარინს საზღვარგარეთ — „მოშორდი აქაურობას, ბუხარჩიკ, შენი სისხლის დაღვრა არ მინდა." პარიზში ყოფნას ბუხარინი იმდენად არავისთვის საჭირო არქივების შესაძენად კი არ იყენებს, რამდენადაც ანტისტალინური პოლიტიკური წრეების წარმომადგენლებთან შეხვედრებისთვის. კერძოდ, ის ხვდება და მოლაპარაკებას აწარმოებს მენშევიკ ლიდერებთან, მათ შორის მენშევიზმის ერთ-ერთ აღიარებულ ხელმძღვანელთან ფ. დანთან. მოგვიანებით დანი აღნიშნავდა, რომ მასთან საუბრისას

## ბუხარინი „მკვეთრად უარყოფითად იხსენიებდა სტალინს" და აცხადებდა, რომ „მალე ხელისუფლებაში ახალი ხელმძღვანელობა მოვა."

ალბათ, ცხადია, რომ ამ „ახალი ხელმძღვანელობის" სათავეში ბუხარჩიკი საკუთარ თავს ხედავდა.

ის ცნობილ ტროცკისტს ბ. ნიკოლაევსკისაც შეხვდა და როგორც ამ უკანასკნელმა მოგვიანებით თავის წიგნში აღნიშნა, **„მრავალი საათის განმავლობაში ესაუბრებოდა სსრკ-ის უპერსპექტივო და დანაშაულებრივ პოლიტიკაზე როგორც საშინაო, ისე საერთაშორისო ცხოვრებაში, პარტიის ჯანსაღი ძალების მხრიდან ამ დამღუპველი ხაზისათვის წინააღმდეგობის გაწევაზე"** და იმაზე, რომ **„ამ ტელეფონიანი ჩინგის ხანის ჩამოგდების დრო დადგა."**

ჩინგის ხანში, როგორც მიხვდით, ბუხარინი სტალინს გულისხმობდა.

„მე ვურჩევდი მას, არ დაბრუნებულიყო სტალინურ რუსეთში, — წერს ნიკოლაევსკი, — **ვეუბნებოდი, რომ უფრო უსაფრთხო იქნებოდა, ბრძოლისათვის აქედან ეხელმძღვანელა და თუ სამხედროთა გამოსვლა წარმატებული იქნებოდა, გამარჯვებული ჩასულიყო რუსეთში. მაგრამ მან ყურიც არ მათხოვა, განაცხადა, რომ არავითარი საფრთხე არ არსებობს და ყველაფერი ამ წელიწადშივე გადაწყდება. ბუხარინი შეცდა..."**

დიახ, ბუხარინი შეცდა. მან გადაჭარბებით შეაფასა საკუთარი და სხვა შეთქმულთა ძალები. და სათანადოდ ვერ შეაფასა სტალინი. ის ბრუნდება. ივლისში მისი რედაქტორობით გამომავალ გაზეთ „იზვესტიაში" ბუხარინი ბეჭდავს თავის უკანასკნელ სტატიას „ისტორიის მარშრუტები — ფიქრები ხმამაღლა", რომელშიც პარიზული მისიის შესახებ ყვება და **„სოციალიზმის ფელდმარშალი იოსებ სტალინის"** წინაშე რევერანსებს არ იშურებს. ზურგს უკან კი ალესილ დანას მალავს.

●

თუმცა, სტალინი ახლაც არ ჩქარობს „ბუხარჩიკის" დაპატიმრებას. მას მისი და რიკოვის საკითხი პარტიულ სასამართლოზე — ცკ-ის პლენუმზე გამოაქვს. დაე, პარტიულმა ამხანაგებმა გამოთქვან აზრი ანტისაბჭოთა შეთქმულებაში „მემარჯვენე ოპოზიციის" ლიდერთა თანამონაწილეობის შესახებ.

**სკპ (ბ) ცკ-ის პლენუმი 1937 წლის 23 თებერვალს გაიმართა.** პლენუმზე შეიქმნა კომისია ცკ-ის 36 წევრისაგან, რომლებსაც რიკოვისა და ბუხარინის ბედი უნდა გადაეწყვიტათ.

## კომისიის ყველა წევრმა (სტალინის გამოკლებით) ერთსულოვნად გადაწყვიტა – „დაპატიმრება და გასამართლება". სტალინი კი მოითხოვდა, „შინსახკომს საკითხი ხელახლა შეესწავლა".

პარტიულმა ამხანაგებმა ოპოზიციონერებს ბრალდებები პირში მიახალეს.

პლენუმის მუშაობის დასრულების შემდეგ ორივე — ბუხარინიც და რიკოვიც დააპატიმრეს.

●

**1938 წლის 2 მარტს კავშირების სახლის ოქტომბრის დარბაზში დაიწყო ანტისაბჭოთა მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის შეთქმულთა ჯგუფის პროცესი.** განსასჯელთა სკამზე, ბუხარინისა და რიკოვის გარდა, იაგოდა, რაკოვსკი, როზენჰოლცი, კრესტინსკი, გრინკო, ზელენსკი, იკრამოვი, ხოჯაევი და ხვები ისხდნენ, სულ — 21 ადამიანი.

სასამართლო კოლეგიას ვასილი ულრიხი თავმჯდომარეობდა. სახელმწიფო ბრალმდებელი ანდრეი ვიშინსკი იყო. დაცვას მოსკოვის ადვოკატთა კოლეგიის წევრები, ცნობილი ადვოკატები ბრაუდე და კომოდოვი ახორციელებდნენ.

სასამართლო პროცესი 10 დღეს გაგრძელდა. მას ყოველდღიურად 300-ზე მეტი უცხოელი კორესპონდენტი და დიპლომატი ესწრებოდა.

●

ნ. ი. ბუხარინის უკანასკნელი სიტყვიდან:

„... თავს დამნაშავედ ვცნობ სოციალისტური სამშობლოს ღალატში, კულაკური აჯანყებების ორგანიზებაში, ტერორისტული აქტების მზადებაში, სასახლის გადატრიალების შეთქმულების მომზადებაში... მე კონტრრევოლუციური საქმის მეისრე კი არა, ხელმძღვანელი ვიყავი. აქედან გამომდინარე, შეიძლებოდა, ბევრი რამ არ მცოდნოდა. თუმცა, ეს ჩემს პასუხისმგებლობას არ ამცირებს... ამასთან, თავს დამნაშავედ ვცნობ სსრკ-ის დანაწევრების განზრახვაში, რამეთუ ტროცკი ტერორისტული დათმობების შესახებ მოლაპარაკებებს აწარმოებდა, მე კი ტროცკისტებთან ბლოკში ვიყავი..."

●

**12 მარტს უმაღლესი სასამართლოს კოლეგია განაჩენის გამოსატანად სათათბირო ოთახში გავიდა.** საღამოს 21 საათი და 25 წუთი იყო. მოსამართლეები ექვსსაათნახევრის განმავლობაში თათბირობდნენ. და **განაჩენი მხოლოდ 13 მარტის დილის 4 საათზე გამოცხადდა.**

სამხედრო კოლეგიამ 18 ადამიანს (მათ შორის, ბუხარინსაც) უმაღლესი ზომა — დახვრეტა მიუსაჯა. სამს კი — სხვადასხვა ვადით პატიმრობა.

ამით დამთავრდა უკანასკნელი მოსკოვური პროცესი. სტალინის ოპოზიციას თითქოს ბოლო მოეღო.

ვაგლახ, ეს ფუჭი იმედი აღმოჩნდა...

*გაგრძელება იქნება*

*დასაწყისი „გენერალისიმუსის“ პირველ გვერდზე*

# მახათიანები



**თუ გვინდა, რომ ქვეყანა სამშვიდობოს გავიყვანოთ, მაშინ წერტილი უნდა დავუსვათ სააკაშვილისა და ელენე ხოშტარიას მუქთახორობას; ბარამიძის, ბოკერიასა და გვარამიას პარაზიტობას; სალომე ზურაბიშვილის, თინა ბოკუჩავასა და ჭუჭუ ვაშაძის მაწანწალობას; გახარიას, მერაბიშვილისა და ადეიშვილის მათხოვრობას და მამუკა ხაზარაძისა და პაატა ბურჭულაძის ხანდაზმულ თაღლითობას!**

## დღეს იყო გუშინ ★

**შრომის უფლება** კიდევ უფრო განამტკიცა 1977 წლის კონსტიტუციის მე-40 მუხლმა, ხოლო უფრო ადრე, კერძოდ, 1961 წლის 4 მაისს, რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო გადაწყვეტილება და საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის მე-12 მუხლის საფუძველზე გამოსცა ბრძანება იმ პირთა წინააღმდეგ, **„რომლებიც თავს არიდებდნენ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას და მისდევდნენ პარაზიტულ, ანტისაზოგადოებრივ საქმიანობას“...** ამ მუხლით საბჭოთა კავშირში დაახლოებით **37 ათასი ადამიანი** გაასამართლეს და გადაასახლეს.

ასე დამკვიდრდა 60-იანი წლების საბჭოთა პროპაგანდაში ტერმინი **„მუქთახორობა“,** ნაცვლად უცხოური ტერმინისა **„ცხოვრების პარაზიტული წესი“...**

ახალმა კანონმა, რომელიც **ბრეჟნევის ეპოქაში,** კერძოდ, 1975 წლის 7 აგვისტოს, საბჭოთა რუსეთის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო, **პარაზიტების, მაწანწალების, მათხოვრებისა და მუქთახორების** შესახებ მანამდე არსებული ყველა კანონმდებლობა გააუქმა და სისხლის სამართლის კოდექსის 209-ე მუხლით დადგინდა პასუხისმგებლობა **ე.წ. პარაზიტული არსებობის სამი განსხვავებული ფორმისთვის,** რომლებიც დანაშაულის დამოუკიდებელ ელემენტებს წარმოადგენენ. ეს ფორმები იყო — **მაწანწალობა, მათხოვრობა და პარაზიტული ცხოვრების სხვა წესი.**

რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსის 209-ე მუხლით, თუ ადამიანი ოთხი თვის განმავლობაში არ იმუშავებდა, მას ჯერ გააფრთხილებდნენ, ხოლო შემდეგ შესაძლოა, „ვირის აბანოშიც“ მიებრძანებინათ. **მუქთახორობა** საბჭოთა კავშირში 1970 წლიდან ოფიციალურად კვალიფიცირდებოდა, როგორც **სისხლის სამართლის დანაშაული!**

ამის დასტურია თუნდაც **1970 წლის 21 მაისს გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებული საბჭოთა საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „იმ პირთა პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას და ეწევიან ანტი-საზოგადოებრივ, პარაზიტულ ცხოვრებას“.** ბრძანებულებაში




ხაზგასმით წერია, რომ **პარაზიტები და მუქთახორები,** რომლებიც არ მუშაობენ, შინაგან საქმეთა სამინისტრომ უნდა გამოავლინოს და **15 დღის ვადაში** დაასაქმოს!

1982 წლიდან, რაც ხელისუფლებაში **ანდროპოვი** მოვიდა, უსაქმურებს, მუქთახორებსა და მაწანწალებს ქუჩაში დაუწყეს დევნა. სამუშაო საათების დროს ხალხი კინოთეატრებიდან გამოჰყავდათ და იჭერდნენ...

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ეს კანონი გაუქმდა და ქვეყანა **მუქთახორებისა და პარაზიტების** ხელში აღმოჩნდა, თუმცა, 2015 წლის 2 აპრილს **ალექსანდრე ლუკაშენკომ** გამოსცა **№3 დეკრეტი,** რომლის ძალითაც, **„ბელორუსის მოქალაქეებისთვის, უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის და რესპუბლიკაში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის, რომლებიც არ მონაწილეობდნენ სახელმწიფო ხარჯების დაფინანსებაში, ან მონაწილეობდნენ ასეთ დაფინანსებაში ბოლო წლის განმავლობაში 183 კალენდარულ დღეზე ნაკლები ხნის განმავლობაში, დადგინდა ვალდებულება, გადაიხადონ საფასური 20 ძირითადი ერთეულის ოდენობით (250 დოლარი გადაანგარიშებით!)“**

დღეს ბელორუსში მუქთახორები წელიწადში სახელმწიფოს 185 დოლარს უხდიან, რის გამოც 2017 წლის დასაწყისში მინსკში საპროტესტო მიტინგები აგორდა, მაგრამ ლუკაშენკოს ფეხებიც ვერ მოსჭამეს!

თუ საქართველოს ხელისუფლება სისხლის სამართლის კანონმდებლობაში ცვლილებებს შეიტანს და პოლიტიკურ **მუქთახორობას, მაწანწალობას, პარაზიტობასა და მათხოვრობას** დასჯადს გახდის, ვფიქრობთ, **რუსთაველის პროსპექტი ნაგვისგან და ყროლის სუნისგან გაიწმინდება, ხოლო ქართული პოლიტიკა უფრო ეროვნული და სახელმწიფოებრივი გახდება!**

საერთოდ, თუ გვინდა, რომ ქვეყანა სამშვიდობოს გავიყვანოთ, მაშინ წერტილი უნდა დავუსვათ **სააკაშვილისა და ელენე ხოშტარიას** მუქთახორობას; **ბარამიძის, ბოკერიასა და გვარამიას** პარაზიტობას; **სალომე ზურაბიშვილის, თინა ბოკუჩავასა და ჭუჭუ ვაშაძის** მაწანწალობას; **გახარიას, მერაბიშვილისა და ადეიშვილის** მათხოვრობას და **მამუკა ხაზარაძისა და პაატა ბურჭულაძის** ხანდაზმულ თაღლითობას!

რაც შეეხება **სალომე ზურაბიშვილს, როენა ხუცურაული** რომ ცოცხალი იყოს, **დარწმუნებული ვარ, ჯერ კიდევ დაასაქმებდა სადმე და ამ ხელიდან წასული ქალის მუქთახორობაც, მაწანწალობაც, მათხოვრობაც, აგენტობაც და პარაზიტობაც ერთ დღეში დასრულდებოდა!**

***დიტო ჩუბინიძე***




# როგორ ებრძოდა სტალინი მუქთახორებსა და პარაზიტებს

გენერალისიმუსი
2025 წლის 26 მაისი. №21 (317)

სარედაქციო კოლეგია
**„ასავალ-დასავალის“ საგამომცემლო სახლი.** ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www. asavali.com** ელ-ფოსტა: **mail@asavali.com** ფეისბუქი: **www. facebook.com/Asavali.com** გამოდის **2003 წლის 7 აპრილიდან.**

***პარლამენტის საგამოძიებო კომისიის 2025 წლის 19 მაისის სხდომა, რომელსაც თეა წულუკიანი ხელმძღვანელობს, მთლიანად 2011 წლის 26 მაისს რუსთაველის პროსპექტზე განვითარებულ მოვლენებს მიეძღვნა.*** *მოგეხსენებათ, იმ ნავსიან და კვიმატ დღეს* ***სააკაშვილმა*** *„სახალხო კრების“ მხარდამჭერთა მცირერიცხოვანი მიტინგი საშინელ თავსხმასა და დელგმაში უსასტიკესი მეთოდებით დაარბია და რუსთაველზე სისხლის ტბები დააყენა. მეორე დილით, 2011 წლის 26 მაისს, ნაცსექტის რაიხსფიურერმა რამდენიმე სამარცხვინო და ცნობილი ვაიქართველი ღირსებისა თუ პრეზიდენტის ბრწყინვალების ორდენებით დააჯილდოვა და იმ სისხლზე, რომელიც საგულდაგულოდ გადარეცხვის მიუხედავად ასფალტს მაინც ეტყობოდა, ხალხი აცეკვა და ამღერა!* ***2011 წლის 26 მაისს მოწყობილი სასაკლაოს შესახებ კომისიის წინაშე საქართველოს პარლამენტის ყოფილი წევრი დავით ლორთქიფანიძე წარდგა, რომელმაც საგანგებოდ ისაუბრა ვანის რაიონის სოფელ ციხესულორის მკვიდრ სულიკო ასათიანზე, რომელიც იმ ავბედით ღამეს საშინელი წამებით მოკლეს და მერე მისი გვამი, ნიკა კვინტრაძის გვამთან ერთად, მეტროსადგურ „თავისუფლების მოედნის“ წინ მდებარე ოლეგ ჟვანიას მაღაზიის სახურავზე შემოდეს, აქაოდა, ასათიანი და კვინტრაძე დენმა იმსხვერპლაო!***



**2011 წლის 26 მაისის აქციის დარბევისას მოკლული სულიკო ასათიანი**



## დავით ლორთქიფანიძე:

# ოჯახს აქვს ინფორმაცია, რომ ცხონებულ სულიკო ასათიანს მცხეთის იზოლატორში წამებით ამოხადეს სული!

ვიდრე დავით ლორთქიფანიძის გამოსვლის შესახებ მოგახსენებდეთ, მანამდე დავსძენთ, რომ ჩვენ ხელთ არსებული ინფორმაციით, რაზეც მაშინ მთელი რაიონი ლაპარაკობდა, აწ განსვენებული **სულიკო ასათიანის ოჯახს,** გაჩუმების სანაცვლოდ, ფული სამჯერ შეაძლია **წყეული ადეიშვილისა და ოქრუაშვილის თანაკურსელმა, ნაცდეპუტატმა პაატა ლეჟავამ,** რომელსაც ნაცხროვისგან ვანის „მოვლა-პატრონობა“ ჰქონდა დავალებული. გაუბედურებულმა ოჯახმა ლეჟავას ფულზე უარი უთხრა... მაშინ ადეიშვილის ხელისბიჭი **პაატა ლეჟავა** წამებით მოკლული **სულიკო ასათიანის** ოჯახს დაჰპირდა, რომ, თუ ფულს აიღებდნენ და სამართლის საპოვნელად ბრძოლას შეწყვეტდნენ, მაშინ ის დეტალებში უამბობდა მათ, თუ როგორ აწამეს და მოკლეს **სულიკო ასათიანი.** ოჯახმა მოილაპარაკა და გადაწყვიტა, რომ ამ წინადადებას დათანხმებოდა, მაგრამ **ლეჟავას** ლაპარაკი ჩუმად ჩაეწერა. როგორც ჩანს, ინფორმაციამ გაჟონა, მილიონერი **პაატა ლეჟავა** გააფრთხილეს და **სულიკო ასათიანის** ოჯახთან კონვერტით ხელში აღარ მისულა!

ჩვენ ხელთ არსებული ინფორმაციით, დიპლომატიური პასპორტით აღჭურვილი, დაცული და შეიარაღებული **პაატა ლეჟავა** იმდენად დაახლოებული პირი იყო **სააკაშვილთან** და განსაკუთრებით **ადეიშვილთან,** რომ ბიზნესმენებისთვის წართმეული მილიონები პერმანენტულად და უწყვეტად სწორედ მას ჩაჰქონდა ე.წ. „ქეისებით“ შეერთებულ შტატებში. **ლეჟავას** იქ საქართველოს ელჩი ხვდებოდა და მერე ფულს ინახავდნენ საგანგებოდ დაცულ სეიფებში, რომელსაც არც ანგარიშის ნომერი აქვს და არც სხვა საიდენტიფიკაციო ნიშანი.

ვფიქრობთ, გამოძიება ამ საკითხით აუცილებლად უნდა დაინტერესდეს!

**სწორედ ეს ფულია, საქართველოს რომ არყევს!**

**სწორედ ამ ფულმა შეიყვანა გარყვნილი სააკაშვილი არაჟნის კონტეინერში, საიდანაც პირდაპირ ვირის აბანოში ამოყო თავი!**

ალბათ, არც იმის თქმა უნდა დაგვავიწყდეს, რომ დღევანდელი ვანის ადმინისტრაცია, რომელსაც ლოთი და ჯვრის დამამხობელი გამგებელი — **ალექსანდრე გოგორიშვილი** ხელმძღვანელობს, ფაქტობრივად, სრულად დაკომპლექტებულია სწორედ **პაატა ლეჟავას,** ანუ ნაცხროვის კადრებით! ხოლო, თუ კიდევ რომელ ხროვას აქვს ვანში თავისი ინტერესები, რა დღეში არიან და რაზე მიდიან, ამის შესახებ უახლოეს მომავალში საგანგებოდ მოგახსენებთ.

**მოკლედ, ვანის რაიონი არის ავგიას თავლა, რომლის გაწმენდასაც ნამდვილად ჰერაკლე სჭირდება!**

ახლა კი მივუბრუნდეთ კომისიის სხდომას და **დავით ლორთქიფანიძეს,** რომელმაც დეტალურად გაიხსენა 2011 წლის 26 მაისის ღამეს რესპუბლიკურ საავადმყოფოში შექმნილი სიტუაცია, სადაც თავგაჩეხილი, დალეწილი და დამტვრეული ხალხი მიჰყავდათ! მისი თქმით, ***26 მაისს, გამთენიისას, რესპუბლიკური საავადმყოფოს პალატებში ადგილი აღარ იყო. კორიდორები და პალატები დამტვრეული და თავგაჩეხილი ხალხის სისხლით იყო მოთხვრილი. დალეწილ ხალხს პირდაპირ კორიდორებში, იატაკზე აწვენდნენ. საავადმყოფოს პერსონალს ვთხოვე, ზეწრები ან პლედები მაინც დაეფინათ გაუბედურებული ადამიანებისთვის!***

რაც შეეხება ცხონებულ **სულიკო ასათიანს,** რომელიც ვანის საპროტესტო ჯგუფის კოორდინატორი იყო, **დავით ლორთქიფანიძის** თქმით, მას შემდეგ, რაც კაცი წამებით მოკლეს და გვამი მაღაზიის სახურავზე შემოდეს, *27 მაისს, დილით, მისი ვაჟი პაატა ასათიანი წაიყვანეს ქუთაისის უშიშროების განყოფილებაში და გამოუცხადეს —* ***მამაშენი დენით გარდაიცვალაო!*** *პაატა ახალგაზრდა კაცია და ამაზე ასეთი რეაქცია ჰქონდა —* ***სულ დაწვით?*** *უშიშროებაში პაატამ მოითხოვა წყალი და სწორედ აი, აქ დაუშვა სერიოზული შეცდომა. დალია წყალი და ამ წყალში, როგორც აღმოჩნდა, გაურიეს რაღაც ნივთიერება.* ***პაატა ასათიანს ამის შემდეგ ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემა შეექმნა.***

ნაცხროვა და **პაატა ლეჟავა** რომ წამებით მოკლული **სულიკო ასათიანის ოჯახს** ატერორებდნენ და გასაქანს არ აძლევდნენ, ამის შესახებ **დავით ლორთქიფანიძემ** კომისიას დეტალურად მოუთხრო:

***— დადგა დრო, როცა ცხონებული სულიკო ასათიანი უნდა დაესაფლავებინათ. ბუნებრივია, მე ვიყავი დასაფლავებაზე ჩასული. ძალიან საინტერესოა ის, რომ დასაფლავებაზე როცა მივედი, გაკვირვებული დავრჩი, 10-15 კაცი თუ იქნებოდა ეზოში. გავიფიქრე — ხომ არ დავაგვიანე-მეთქი! არადა, დრო ისე იყო გათვლილი, რომ არ უნდა დაგვგვიანებოდა. მოვიკითხე და მითხრეს — უკაცრავად, ერთი წუთით, თუ არ შეწუხდებით, გვერდზე გამოგვყევითო!*** *გავყევი... იქვე არის ორღობე და პატარა სკოლის შენობა, რომლის ეზოშიც კამერა ჰქონდათ დაყენებული და ორი ადამიანი იწერდა ყველაფერს. მითხრეს —* ***აქ ვინ მოვა დასაფლავებაზე?! რაც მიცვალებული ჩამოასვენეს, იმის შემდეგ კამერა დგას და იწერენ. ვინც მოვა სამძიმარზე, საღამოს აკითხავენ ოჯახში, ყველას ატერორებენ და ეუბნებიან — „ესენი მოღალატეები არიან, საქართველოში კრემლის შემოყვანა უნდოდათ და ა.შ.“*** *შევედი ოჯახში* ***ბატონი სულიკოსთვის*** *პატივის მისაგებად და ქალბატონი შორენა — ბატონი სულიკოს მეუღლე — მეუბნება —* ***ბატონო დათო, გული ხომ გაქვთ ძლიერი? — რა ვიცი, მგონი, კი-მეთქი! — რაღაცა უნდა გაჩვენოთ და თუ რამე, შეიკავეთ თავი, ნუ ნახავთო! — არა, მაჩვენეთ-მეთქი! მივედით ცხონებული სულიკოს ცხედართან და გადახადა მიცვალებულს...*** *ჩემი თვალით დავინახე, რომ ცხონებულ* ***სულიკო ასათიანს*** *მარცხენა თვალი ჰქონდა გამოთხრილი და ზედ დაფარებული ჰქონდა თეთრი, სპეციალურ ხსნარში დამუშავებული ბინტი. ასევე ყელი ჰქონდა გამოგლეჯილი და ანალოგიურად იქაც ჰქონდა დაფარებული ბინტი. ხელები ჰქონდა დამტვრეული...* ***ამის შემდეგ ქალბატონი შორენა მომიბრუნდა და მეკითხება — აი, ასეა და შეიძლება, დენს ასეთი რამ გაეკეთებინა?*** *მოკლედ, ყველამ იცის, რომ* ***სულიკო ასათიანი*** *წამებით მოკლეს... ოჯახს აქვს ინფორმაცია, რომ ცხონებულს მცხეთის იზოლატორში წამებით ამოხადეს სული, მაგრამ ამის დამტკიცება ვერ ხერხდება!*

მკითხველს აქვე მოვახსენებთ, რომ დაშინებული და დატერორებული მეზობლები და ნათესავები **სულიკო ასათიანის** ოჯახთან არ კონტაქტობდნენ, ხოლო მისი ვაჟი **პაატა ასათიანი,** რომლის ჯანმრთელობის მდგომარეობაც ქუთაისის უშიშროებაში წყლის დალევის შემდეგ დღითი დღე გაუარესდა და დამძიმდა, **დავით ლორთქიფანიძემ** თბილისში საკუთარი ხარჯით ჩამოიყვანა, უმკურნალა და გამოაჯანმრთელა!

დავით ლორთქიფანიძის განცხადებით:

***— პაატა ლეჟავა ასათიანებს, ფაქტობრივად, ოჯახში ჩაუსახლდა და ხან მუქარით და ხან მოფერებით, აიძულებდა, სამართლიანობის აღდგენისთვის თავი გაენებებინათ და სანაცვლოდ ფული აეღოთ! პაატა ლეჟავამ,*** *პირდაპირი მნიშვნელობით, არაერთხელ მიუტანა მათ ფული, რაზეც ოჯახმა უარი განაცხადა. ოჯახმა მოითხოვა, საქმეში დამოუკიდებელი ექსპერტის ჩართვა და განაცხადა —* ***თუ დამოუკიდებელი ექსპერტის დასკვნა დაემთხვევა სახელმწიფო ექსპერტის დასკვნას, ხმას არ ამოვიღებთო!*** *რა თქმა უნდა, ნაცებმა ეს არ გააკეთეს... 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, რაც ჩვენ გავიმარჯვეთ და ხელისუფლებაში მოვედით, ოჯახის თხოვნით, პარლამენტის ტრიბუნიდან მივმართე გენერალურ პროკურატურას, საქმეში დამოუკიდებელი ექსპერტის ჩართვისა და ცხედრის ექსჰუმაციის ნებართვის შესახებ. მოხდა გვამის ექსჰუმაცია, აიღეს ნიმუშები, ჩამოვიდა* ***ალექსანდრე ბეჟაძე,*** *მაგრამ აღმოჩნდა, რომ 2012 წლის მაისში ყველანაირი ლაბორატორიული, პირველადი მონაცემები, რომელიც წამებით მოკლული* ***სულიკო ასათიანის*** *გვამიდან იყო აღებული, განადგურებული გახლდათ, ანუ ძველი ანალიზები, რომლისთვისაც ახალი მონაცემები უნდა შეედარებინათ, აღარ არსებობდა. ეტყობა, წინასწარ გრძნობდნენ, რომ არჩევნებს წააგებდნენ და თავიანთ დანაშაულებრივ კვალს ყველგან შლიდნენ!*

წყეული **ადეიშვილისა და ოქრუაშვილის** თანაკურსელი, ნაცდეპუტატი **პაატა ლეჟავა** რომ თავის ბანდასთან ერთად მთელ რაიონს ატერორებდა, ამის დასტურად **დავით ლორთქიფანიძემ** ასეთი ფაქტი გაიხსენა:

*— 2012 წლის აგვისტოში* ***შალვა რამიშვილი*** *ჩავიყვანე ვანში,* ***სულიკო ასათიანის*** *ოჯახში, რათა ტელეკომპანია „მაესტროსთვის“ სიუჟეტი მოემზადებინა. გადაიღო ყველაფერი, ჩაწერა* ***ქალბატონი შორენა*** *და წამოვედით. მე, ცოლ-შვილთან ერთად, ჩემი გზით წავედი, ხოლო შალვა — თავისი გზით... ხაშურში ვიყავი შემოსული, როცა დამირეკა* ***ქალბატონმა შორენამ*** *საშინლად აღელვებულმა —* ***თქვენ რომ წახვედით, ნაცები მომივარდნენ და დამემუქრნენ — დათო ლორთქიფანიძე და შალვა რამიშვილი თქვენთან რისთვის იყვნენ? ალბათ, მიშაზე რამე ცუდს ამზადებთ და ამ საღამოს ოჯახს გადაგიწვავთო!*** *ქალბატონი შორენა იმასაც მეუბნებოდა, რომ მას სახლში გაჩერების ეშინოდა... ცოლ-შვილთან ერთად მოვატრიალე მანქანა, დავბრუნდი ხაშურიდან, ჩამოვედი ვანში, ჩავისვით ქალბატონი შორენა მანქანაში და დილით 9:00 საათზე მივიყვანე „მაესტროში“. მაშინ ციხის ამაზრზენი კადრები ჯერ კიდევ არ იყო გამოქვეყნებული.* ***ამრიგად, ქალბატონი შორენა — ცხონებული სულიკო ასათიანის მეუღლე — იყო პირველი, რომელმაც ასე საჯაროდ ილაპარაკა 2011 წლის 26 მაისს დატრიალებული უბედურების შესახებ!***

***დავით ლორთქიფანიძემ*** *კომისიას ისიც მოუთხრო, თუ როგორ გაყიდეს* ***ბენდუქიძემ და სააკაშვილმა*** *ეროვნული ზარაფხანა და მიჰყიდეს* ***კობა ნაყოფიას,*** *რომელიც ნაცსექტის ერთ-ერთი მთავარი დამფინანსებელია.*

ეროვნულ ზარაფხანასა და **კობა ნაყოფიას,** რომელიც 2012 წლის ოქტომბერში „ქართულ ოცნებას“ მუხლებზე დაჩოქილი ეხვეწებოდა — **ოღონდაც არ დამიჭიროთ და სააკაშვილს ძაღლი მიაკვდა სულშიო!** — ჩვენ აუცილებლად მივუბრუნდებით, ოღონდ ცოტა მოგვიანებით!

**რაც შეეხება ცხონებული სულიკო ასათიანის მკვლელებს, იმედია, კანონის მსახვრალი და მკაცრი ხელი აწი მაინც აღარ დააგვიანებს და დამნაშავეებს მალე მისწვდება!**

**„ჩემი თვალით დავინახე, რომ ცხონებულ სულიკო ასათიანს მარცხენა თვალი ჰქონდა გამოთხრილი და ზედ დაფარებული ჰქონდა თეთრი, სპეციალურ ხსნარში დამუშავებული ბინტი. ასევე ყელი ჰქონდა გამოგლეჯილი და ანალოგიურად იქაც ჰქონდა დაფარებული ბინტი!“**

*მოამზადა*
***დიტო ჩუბინიძემ***

# ლუკა კურტანიძე:

# დამამცირებლად დამაყენეს ათეულობით ადამიანის წინაშე და მირტყამდნენ, რომ ყველას ეყურებინა, როგორ მისწორდებოდნენ!

***2025 წლის 19 მაისს პარლამენტის საგამოძიებო კომისიის წინაშე წარდგა სახელოვანი ქართველი ფალავანი, თავისუფალი სტილით ჭიდაობაში მსოფლიოს ორგზის და ევროპის ხუთგზის ჩემპიონი, ატლანტისა და სიდნეის ოლიმპიური თამაშების მედალოსანი ლუკა კურტანიძე, რომელსაც კომისიის თავმჯდომარემ თეა წულუკიანმა სრულიად სამართლიანად უწოდა ქართული სპორტის ცოცხალი ლეგენდა.***




***ლუკა კურტანიძემ,*** *რომელიც დღეს საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის წევრია და ქართული სპორტის განვითარებისათვის კვლავ მუხლჩაუხრელად იღვწის, საგამოძიებო კომისიის სხდომაზე 2011 წლის 26 მაისის სისხლიანი ღამისა და სააკაშვილის რეჟიმის მიერ მშვიდობიანი აქციის სასტიკ დარბევაზე ისაუბრა:*

— ღვთის წინაშე ვამბობ, რომ ვილაპარაკებ სიმართლეს, მხოლოდ სიმართლეს და სხვას არაფერს! ჩემთვის უდიდესი პატივია, პარლამენტის შენობაში წარვდგე იმ ხელისუფლების წინაშე, რომელიც დღეს ქვეყანას მართავს და ვთქვა სიმართლე იმ მოვლენებთან დაკავშირებით, რომელმაც ბევრი სიცოცხლე შეიწირა.

მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრება საქართველოს ვემსახურებოდი და მისი დამოუკიდებლობის პირველი დღიდანვე ვიყავი ადამიანი, ვინც სპორტის სფეროში ქართულ სახელმწიფოებრიობას აძლიერებდა. როგორც აფხაზეთში დაბადებული, გაზრდილი და იქიდან ხიზანი, მთელ მსოფლიოში უმაღლეს კვარცხლბეკზე ვაფიქსირებდი, რომ აფხაზეთი საქართველოს განუყოფელი ნაწილია... ამ კუთხით დღესაც ვემსახურები საქართველოს და ვეტერანებს შორის 5-ჯერ მოვიპოვე მსოფლიო ჩემპიონობა.

**ქალბატონო თეა,** მოგმართავთ, როგორც რკინის ქალბატონს და მინდა, მთელი საქართველოს წინაშე დავაფიქსირო ჩემი უდიდესი პატივისცემა თქვენ მიმართ! ჩვენ ვართ თანამებრძოლები, რომლებმაც დავამტკიცეთ, რომ ერთგულებით, უტეხობითა და პირად ტკივილებზე მაღლა დადგომით ვემსახურებით საქართველოს!

ბედნიერი ვარ, რომ ვიბრძოდი „სახალხო კრებასთან“ ერთად, რომლის თავმჯდომარე ქალბატონი **ნონა გაფრინდაშვილი** გახლდათ; ვიბრძოდი ისეთი ადამიანების გვერდით, რომლებმაც საქართველოს წარუშლელი ისტორია დაუტოვეს — **რეზო ესაძე, გოგი ქავთარაძე, ოტია იოსელიანი, ჟაბუა ამირეჯიბი, გია ბურჯანაძე, სოსო ჯაჭვლიანი, დიმა ჯაიანი, გურამ ფირცხალავა...** ბედნიერი ვარ, რომ მათთან ერთად ვაპროტესტებდი იმ რეჟიმს, რომელმაც უამრავი სიცოცხლე შეიწირა და ამასთანავე, ერში დატოვა ძალიან დიდი ფსიქოლოგიური ტრავმა.

ვაპროტესტებდით იმას, რომ შიში და სიკვდილი ყოველდღიური რეალობა იყო ქუჩებში, რომელთა განათებასა და კეთილმოწყობასაც სააკაშვილი და ნაციონალური მოძრაობა გვაყვედრიდნენ.

> ყველაფერი გამაჩნდა იმისათვის, რომ ბედნიერად მეცხოვრა და ქვეყანაში არსებული პრობლემები არ შემხებოდა, მაგრამ ვიცოდი, დღეს თუ ხვალ ჩემს კარსაც მოადგებოდა ის რეჟიმი, რომელმაც ყველა სფერო მოიცვა. მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკა არასოდეს მაინტერესებდა, არ შემეძლო, ბუმბერაზი ადამიანების გვერდით არ დავმდგარიყავი და არ მებრძოლა იმ რეჟიმის დასასრულებლად, რომელიც ჩაგრავდა და სამაგალითოდ სჯიდა ჩემს ძმებს, ჩემს მეგობრებს, ჩემს ქართველებს, იმ ერს, ვისთვისაც მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრება ვიბრძოდი და ჩემი გამარჯვებებით ვაერთიანებდი!

***ლუკა კურტანიძის*** *თქმით, „სახალხო კრების“ ლიდერებს ინფორმაცია ჰქონდათ, რომ* ***სააკაშვილის რეჟიმი*** *სადამსჯელო სპეცოპერაციის ჩატარებას აპირებდა და მოსალოდნელი დარბევის შესახებ აქციის მონაწილეებიც გააფრთხილეს, თუმცა, რუსთაველის გამზირზე თავსხმა წვიმაში მდგარმა რამდენიმე ათასმა ადამიანმა პროტესტის შეწყვეტაზე კატეგორიული უარი განაცხადა.*

*როგორც კი 25 მაისის ღამის 12 საათი შესრულდა და 26 მაისი დაიწყო, სააკაშვილის რეჟიმის სადამსჯელო რაზმები დაუხანებლად გადავიდნენ მოქმედებაზე, რასაც* ***ლუკა კურტანიძე*** *ასე აღწერს:*

— სხვადასხვა მხრიდან დაიწყო შემოტევა და რკალი ნელნელა შეიკრა. იყენებდნენ წყლის ჭავლს, მხუთავ გაზს, რეზინის ტყვიებს... საშინლად აგრესიულები იყვნენ და მომიტინგეებს სასტიკად უსწორდებოდნენ. ისეთი დაუნდობელი ცემა და ანგარიშსწორება იყო, თავი კოშმარულ სიზმარში მეგონა. ვხედავდი, როგორ სასტიკად უსწორდებოდნენ **რეზო ესაძეს, დიმა ჯაიანს, გოგი ქავთარაძეს...** ეს იყო სამაგალითო დასჯა, რათა ხალხისათვის ეჩვენებინათ, როგორ ანადგურებდნენ საქართველოსთვის თავდადებულ, სახელოვან ადამიანებს. ეს ყველაფერი ქვეყანაში გამეფებული შიშის კიდევ უფრო გაღრმავებას ემსახურებოდა.

**თეა წულუკიანი: — ბატონო ლუკა, მოდით, ჩამოვთვალოთ, ვინ იყვნენ ეს ადამიანები, რადგან 26 მაისი მარტო მშვიდობიანი აქციის სისხლიანი დარბევა არ იყო, ეს იყო ავტორიტეტებთან, მისაბაძ ადამიანებთან ბრძოლა...**

**ლუკა კურტანიძე:** — **ირაკლი ბათიაშვილი, გია ბურჯანაძე, სოსო ჯაჭვლიანი, დიმა ჯაიანი, გოგი ქავთარაძე, გურამ ფირცხალავა, რეზო ესაძე...** დარბევის დროს ეს ადამიანები მოხვდნენ ჩემს თვალსაწიერში.

**თეა წულუკიანი: — თქვენ როგორ აფასებთ, მაინცდამაინც ამ ხალხის წინააღმდეგ ასეთი სისხლიანი ანგარიშსწორება მხოლოდ აღლუმისთვის რუსთაველის გამზირის მოსუფთავებას ემსახურებოდა თუ ამაში კიდევ სხვა აზრიც იდო?**

**ლუკა კურტანიძე:** — ცნობილი ადამიანების სამაგალითოდ დასჯა ხალხისთვის სიგნალი უნდა ყოფილიყო, რომ რეჟიმი არავის დაინდობდა. თქვენ იცით, როგორი შიში სუფევდა მაშინ...

***ლუკა კურტანიძემ*** *გაიხსენა მისი,* ***სოსო ჯაჭვლიანისა და მერაბ შათირიშვილის*** *საპროტესტო მსვლელობა ქუთაისიდან თბილისამდე, რაც სააკაშვილის რეჟიმის მიერ* ***ბიძინა ივანიშვილისათვის*** *საქართველოს მოქალაქეობის ჩამორთმევას უკავშირდებოდა. ისინი 2011 წლის 25 ნოემბერს, პოლიტიკაში ახალშემოსული ივანიშვილისათვის საქართველოს*




სააკაშვილის სადამსჯელო რაზმების მიერ შეპყრობილი ლუკა კურტანიძე. 2011 წლის 26 მაისი

## კვირგვინოსნები

**გია ბურჯანაძე**
*მსახიობი*



დილმის სამმართველოში დერეფნის **კედლები სულ სისხლით იყო შეღებილი** და სისხლიანი ტანსაცმელი, ბინტები და ცხვირსახოცები გორა-გორად ეყარა. **ოთახებიდან გამოდიოდა საშინელი ხმები. რას უშვრებოდნენ იქ ხალხს, არ ვიცი.** 26 მაისის დარბევას უფრო მეტი ადამიანი შეეწირა. ეგეთი იყო **ლექსო ფორჩხიძე,** რომელსაც **იმდენი ურტყეს მუცელში, რომ რამდენიმე თვეში გარდაიცვალა.** ერთმა 26 მაისიდან **ერთ კვირაში თავი ჩამოიხრჩო.** ესენიც მსხვერპლი იყვნენ და კიდევ რამდენი იყო ეგეთი შემთხვევა.

„აიპრესი“

**რუსა ბურჯანაძე**
*მსახიობ გია ბურჯანაძის შვილი*



**იმედია, მამაჩემის კაცობაში, სიმართლეში ან სამშობლოს სიყვარულში ეჭვი არავის არ ეპარება,** და, თუ ფიქრობთ, რომ რამეს ამეტებს, გეტყვით, რომ **კიდევ იმდენი ვერ თქვა, რადგან ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე დროში იყო შეზღუდული,** თურქეთიდან ჩაერთო, კლინიკიდან.

რამდენიც არ უნდა იძახოთ, რომ **რაღა დროის ნაცებიაო** და ვის ახსოვს ეგენიო, იცით რა? — **80 წელი გავიდა, რაც ფაშიზმი დავამარცხეთ, მაგრამ დღემდე გვახსოვს და დღემდე იხდის გერმანია რეიხის ვალებს თუნდაც ფიზიკურს და თუნდაც მორალურს.** ნაციონალები და მაგათი ნებისმიერი სახის განშტოებები **სამუდამოდ უნდა აიკრძალონ** ამ ქვეყანაში და დამნაშავეებიც შეიძლება გვიან, მაგრამ **აუცილებლად უნდა დაისაჯონ.**

„ფეისბუქი“

**ნინო ფოჩხუა**
*ექსპერტი*



წარმოუდგენელია **მიშა სააკაშვილის** და მთელი მისი სისტემის ბრალდება **ბადრი პატარკაციშვილის** მიმართ, რამაც **მისი გარდაცვალება გამოიწვია** და რაშიც დიდი დამსახურება ამჟამად **„ფორმულას“** ეთერში მჯდომ **გიორგი თარგამაძეს** ეკუთვნის.

„იმედინიუსი“

**ვახუშტი მენაბდე**
*კონსტიტუციონალისტი*



არსებობენ პირები, რომელთაც **მიშას იქით არაფერი აინტერესებთ.** ჩვენი მთავარი **სუსტი რგოლი** ქართული ოპოზიციაა.

„კვირის პალიტრა“

## „დათა ახალაია მოვიდა, შეურაცხმყოფელი სიტყვებით მომმართა და სპეცრაზმელს უბრძანა — თუ დაუმორჩილებლობის მცდელობა ექნება,

# პირდაპირ თავში ესროლეთო!!!»



დათა ახალაია

*მოქალაქეობის აღდგენის ან ხელახლა მინიჭების მოთხოვნით, გელათის მონასტრიდან დაიძრნენ, 5 დღე და ღამე ფეხით იარეს და აქცია-პერფორმანსი სამების საკათედრო ტაძრის ეზოში დაასრულეს.*

**ლუკა კურტანიძე:** — გზაში უამრავი ადამიანი გვხვდებოდა, მაგრამ როგორც კი ვუახლოვდებოდით, იმალებოდნენ. ერთი კაცი ურმით მიდიოდა და ურემს ცალი ბორბალი გაფუჭებული ჰქონდა... როცა გამოველაპარაკეთ და ვკითხეთ, რას ფიქრობდა **ბიძინა ივანიშვილთან** დაკავშირებით, გვითხრა — **მეუღლე საჩხერიდან მყავს და ბატონი ბიძინასაგან უამრავი სიკეთე გვაქვს მიღებული, მაგრამ ამას ხმამაღლა ვერ ვიტყვი, რადგან მეშინიაო!** ვკითხეთ — რისი გეშინია, იმაზე უარეს მდგომარეობაში რანაირად უნდა აღმოჩნდე, როგორშიც ახლა ხარ? მან გვიპასუხა — სიცოცხლის დაკარგვის მეშინიაო! ყველგან, ყველა კუთხეში შიში სუფევდა!

*26 მაისს სააკაშვილის რეჟიმის აფთრები მრავალ მომიტინგეს შორის **ლუკა კურტანიძეს** განსაკუთრებული მონდომებით დაეძებდნენ და მისი მოხელთება კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში შეძლეს:*

— ბატონი **გოგი ქავთარაძე,** რომელსაც სისხლი სდიოდა, გადამეფარა — იმის ხათრით, რომ ასაკით უფროსი ვარ, შეიძლება, არაფერი დაგიშავონო! ვუთხარი — ბატონო გოგი, აქ ისეთი მდგომარეობაა, არც თქვენ დაგინდობენ და არც მე-მეთქი! ჩემს გვარს შეურაცხმყოფელი სიტყვებით ხმამაღლა იძახდნენ და მეძებდნენ. დავიყვირე — აქ ვარ-მეთქი და ჩემი სამაგალითო დასჯაც დაიწყო. რამდენიმე ათეული ადამიანი ხელკეტებით მისწორდებოდა, სამოსი შემომახიეს და ნაცემ-ნაბეგვი გამიყვანეს გარეთ.

**თეა წულუკიანი: — ეწინააღმდეგებოდით თუ რატომ დაგესხნენ თავს?**

**ლუკა კურტანიძე:** — არა, უბრალოდ, ბრძანება ჰქონდათ მიღებული, სახალხოდ და სამაგალითოდ დავესაჯე! იმის დემონსტრირება უნდოდათ, რომ, თუ მსოფლიო ჩემპიონს ასე უსწორდებოდნენ, სხვას უარესს უზამდნენ! ჩამიყვანეს თავისუფლების მოედანზე, წრე შეკრეს და არამხოლოდ რეზინის ხელკეტებს, არამედ გასაშლელ რკინის ხელკეტებს მირტყამდნენ. **დათა ახალაია** მოვიდა, შეურაცხმყოფელი სიტყვებით მომმართა და სპეცრაზმელს უბრძანა — **თუ დაუმორჩილებლობის მცდელობა ექნება, პირდაპირ თავში ესროლეთო!!!** ერთი-ორი პოლიციელი გადამეფარა, მაგრამ მათაც სასტიკად გაუსწორდა ის ჯგუფი, რომელიც ახალაიას ექვემდებარებოდა.

**სოზარ სუბარი: — პოლიციელებსაც სცემეს?**

**ლუკა კურტანიძე:** — დიახ! ერთ-ერთი დანაყოფი იყო, რომელიც ცდილობდა, ცოტა ადამიანური სახე შეენარჩუნებინა, მაგრამ ისინიც დასაჯეს! გადამიყვანეს თბილისის პოლიციის მთავარ სამმართველოში, სადაც კიბეებზე ნიღბიანებმა „ცოცხალი დერეფანი“ გააკეთეს და სანამ რამდენიმე სართულს ავივლიდი, ყველა ფიზიკურად მისწორდებოდა. **ცალკე ოთახში შემიყვანეს, რამდენიმე ადამიანი შემოვიდა და დაიწყო ჩემი ფიზიკური შეურაცხყოფა... გული რომ იჯერეს, სხვები გავიდნენ და ერთი პოლიციელი დარჩა, რომელიც, ალბათ, უფროსი იყო, გოჩა ერქვა, ველისციხიდან არის... პირისპირ დამიჯდა, წინ იარაღი დაიდო და მიყვირის — ახლა აქ რამეს თუ გააკეთებ, მომიწევს, რომ გესროლოო**! ვუთხარი — რამდენიმე ხელბორკილი მადევს და წინააღმდეგობა როგორ უნდა გაგიწიო-მეთქი! შეურაცხყოფას მაყენებდა, პროვოკაციულად ცდილობდა, როგორმე მდგომარეობიდან გამოვეყვანე, მაგრამ ამას ვერაფრით მიაღწია და დამარტყა. ამის შემდეგ სხვაგან გამიყვანეს და დერეფანში შემომხვდა სისხლში ამოსვრილი პოლიციის თანამშრომელი **ზაზა მიქავა,** რომელმაც შეურაცხყოფა მომაყენა. როგორც მახსოვს, მე-10 სართული იყო, უამრავი ადამიანის გოდება ისმოდა... ამ ხალხის თვალწინ სამაგალითოდ დაიწყეს ჩემი დამცირება... შემდეგ ჩამიყვანეს პირველ სართულზე, სადაც ძალიან აგრესიული პოლიციელები დამხვდნენ, რომლებმაც ფიზიკური ანგარიშსწორება დამიწყეს და ამ ყველაფერს ვიდეოთი იღებდნენ, რომ შემდეგ, ალბათ, ზემდგომებისათვის ესიამოვნებინათ.

**თეა წულუკიანი: — ამ პერიოდის განმავლობაში ხელები მუდმივად შეკრული გქონდათ?**

**ლუკა კურტანიძე:** — დიახ.

**თეა წულუკიანი: — რითი გქონდათ ხელები შეკრული?**

**ლუკა კურტანიძე:** — პლასტმასის ხელბორკილები ჰქონდათ და სამი დამადეს, ერთი არ გაწყვიტოსო! რამდენიმე ადგილას თავი მქონდა გაჩეხილი, სისხლი მდიოდა, ზედა სამოსი მთლიანად შემოხეული მქონდა. დამამცირებლად დამაყენეს ათეულობით ადამიანის წინაშე და მირტყამდნენ, რომ ყველას ეყურებინა, როგორ მისწორდებოდნენ.

**თეა წულუკიანი: — ვინ იყო ეს „ყველა“?**

**ლუკა კურტანიძე:** — ესენი იყვნენ დაპატიმრებული დემონსტრანტები... ძალიან ბევრი ადამიანი... არცერთ სართულზე ტევა არ იყო... აბსოლუტურად ყველა ნაცემი გახლდათ.

**თეა წულუკიანი: — რას ამბობდნენ ამ ადამიანების გასაგონად, ვისაც თქვენს ცემას აყურებინებდნენ?**

**ლუკა კურტანიძე:** — იმ სიტყვებს ვერ გავიმეორებ, მაგრამ მოღალატეებს გვეძახდნენ — სახელმწიფოს დანგრევა გინდათო! მას შემდეგ ტრავმად დამრჩა ის, რომ დამენგრა მთელი ჩემი განვლილი გზის ნათელი ფერები და იდეალები, რომლებსაც სიყვარულით ვეფერებოდი!

**თეა წულუკიანი: — გეგონათ, რომ ქვეყნის წინაშე დამსახურება სააკაშვილისთვის რამეს ნიშნავდა და აღმოაჩინეთ, რომ არაფერს არ ნიშნავს!**

**ლუკა კურტანიძე:** — დიახ, სამაგალითოდ დავისაჯე!

### როცა საქართველოს სახელით ვიმარჯვებდი და მსოფლიოს სხვადასხვა კვარცხლბეკზე თვალცრემლიანი ვიდექი, ვფიქრობდი, რომ დიდი სპორტიდან წასვლის შემდეგ ქვეყნისა და ერის წინაშე



„ბატონი გოგი ქავთარაძე, რომელსაც სისხლი სდიოდა, გადამეფარა — იმის ხათრით, რომ ასაკით უფროსი ვარ, შეიძლება, არაფერი დაგიშავონო! ვუთხარი — ბატონო გოგი, აქ ისეთი მდგომარეობაა, არც თქვენ დაგინდობენ და არც მე-მეთქი!“

### ვალმოხდილი ბედნიერად ვიცხოვრებდი, მაგრამ 2011 წლის 26 მაისს ეს ოცნება დამემსხვრა!

პატრიარქმა მთხოვა, თუ შევძლებდი, მასთან მივსულიყავი და როცა მივედი, მითხრა — ქართველ ერზე ხელის აღმართვა არავის ეპატიებაო! ამის შემდეგ, გარკვეული დროით მონასტერში წავედი, თუმცა, სანამ წავიდოდი, 2011 წლის 18 ივლისს **„ასავალ-დასავალში“** განცხადება გავაკეთე — არ შეიძლება, ქართველმა ერმა მოითმინოს ის, რაც ხდება და ახალი ლიდერი აუცილებლად გამოჩნდება-მეთქი! მაშინ არ ვიცოდი, ვინ იქნებოდა ეს ლიდერი, თვეების შემდეგ კი, ბორჯომის ხეობაში მონასტერში მყოფმა გავიგე, რომ ერისკაცმა **ბიძინა ივანიშვილმა** პოლიტიკაში შემოსვლასთან დაკავშირებით განცხადება გააკეთა. ეს იყო იმედი, რომელმაც მთელი საქართველო გააერთიანა.

*საგამოძიებო კომისიის წევრმა **სოზარ სუბარმა ლუკა კურტანიძეს** მისი განუყრელი მეგობრისა და თანამებრძოლის, აწ განსვენებული **სოსო ჯაჭვლიანის** შესახებაც ჰკითხა — **სულ ერთად იყავით და 26 მაისის ღამესაც გვერდიგვერდ ხომ არ ყოფილხართო?***

**ლუკა კურტანიძე:** — სოსო და მე ერთად დაგვაკავეს და მასაც სამაგალითოდ გაუსწორდნენ... მთავარი სამმართველოს შენობაში, როცა ზედა სამოსი შემოხეული მქონდა, ფიზიკურად მისწორდებოდნენ და ამას ვიდეოზე იღებდნენ, **სოსო** გადამეფარა და პოლიციელებს სთხოვა — ზედა სამოსი მე გამხადეთ და ლუკას ჩააცვითო...

*აქ **ლუკა კურტანიძეს** ყელში ჯავრის გორგალი გაეჩხირა, რამდენიმე წამით ემოციამ დასძლია და საუბარი გაუჭირდა, თუმცა, თავს ძალა დაატანა და თხრობა განაგრძო:*

— როცა საპატიმროში მყოფმა **სოსომ** შიმშილობა დაიწყო, უამრავი თხოვნა იყო, რომ შეეწყვიტა, რადგან მის ჯანმრთელობაზე სერიოზულად აისახა; პატრიარქმაც სთხოვა შიმშილობის შეწყვეტა, მაგრამ **სოსომ** თხოვნაზე თხოვნითვე უპასუხა — **უფლება მომეცით, თქვენი ეს კურთხევა არ შევასრულოო!** დროთა განმავლობაში სოსოს ზუსტად იმ ორგანოზე დაუფიქსირდა ავადმყოფობა, რომელიც შიმშილობის დროს დაიზიანა და გამომეცალა თანამებრძოლი, რომელმაც ბევრი რამ გააკეთა საქართველოს ისტორიისათვის.

***ლუკა კურტანიძემ** პარლამენტის საგამოძიებო კომისიის სხდომაზე გამოსვლა სამადლობელი სიტყვით დაასრულა:*

— მე ვდგავარ პირადი ტკივილებისა და განცდების მიღმა და იქიდან ვაფასებ დღევანდელ რეალობას. მინდა, მადლობა ვუთხრა დღევანდელი პოლიტიკური რეალობის საჭეთმპყრობელებს იმისათვის, რომ საქართველოში მშვიდობა გვაქვს და ის ტრაგედია არ ტრიალებს, რაც მე აფხაზეთში გამოვიარე! მინდა, მადლობა გითხრათ თითოეულ თქვენგანს, ვინც უტეხად და ღირსეულად დგახართ ძალიან დიდი გლობალური რეპრესიების წინაშე, რომელიც საქართველოს წინააღმდეგ მიმდინარეობს! ღვთისა და ერის წინაშე მადლობას გიხდით და სადაც არ უნდა ვიყო, მთასა და ბარში, იცოდეთ, რომ თქვენი შეწირული თანამებრძოლი ვარ, რადგან საქართველოსთვის ვიბრძვით!

***ჯაბა ხუბუა***

## კვირგვინოსნები

**დავით ქანთარია**
*სააკაშვილის რეჟიმის ყოფილი პატიმარი*



**როლანდ ახალაიამ** გაშვების წინა ღამეს **სოსო ჟანტურიას** დაუმატა სასჯელი. წაუკითხეს ახალი ბრალი, **დაუმატეს ორი წელიწადი, იმ ღამესვე გული გაუსკდა — მორგში სოსოს სხეული გამოტენეს ნახერხით და შიგნით კუნძი ჩაუდეს.** ადამიანებს სიებით იჭერდნენ, **ეს იყო კონვეიერი — მამა და შვილები.**

„იმედინფო“

**ბესარიონ ხვინთელიანი**
*ნაცმოძრაობის რეჟიმის მიერ დაზარალებული*



**საკანში გულის ინფარქტი გადავიტანე.** 10 საათი უგონოდ ვიყავი, ვერ ვლაპარაკობდი, ვერავის ვხედავდი, ხმები კი მესმოდა — **მოკვდა, მოკვდაო.** ექიმი სამი დღის შემდეგ შემოვიდა.

„იმედინფო“

**ირაკლი მელაშვილი**
*ანალიტიკოსი*



დღეს ქართული პოლიტიკური სისტემის **მთავარი პრობლემა უიმედობაა.** ხელისუფლება იცვლებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გამოჩნდებოდა ადამიანი ან პოლიტიკური ჯგუფი, რომელიც **იმედს აძლევდა საზოგადოებას.** ასე მოხდა 2003 და 2012 წელსაც. **თუ უკეთესს ვერ ხედავს საზოგადოება, მაშინ შეჩვეული ჭირი ურჩევნია** — ახლაც ასეთ მდგომარეობაში ვართ.

„კვირის პალიტრა“

**ედიშერ გვენეტაძე**
*პოლიტოლოგი*



სახელმწიფომ უნდა იცოდეს, **რისთვის შემოდის ეს ე.წ. გრანტები** და რაზე იხარჯება.

„რეზონანსი“

**დავით ქართველიშვილი**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



საკომისიო მოსმენებმა დაგვარწმუნეს, რომ **სააკაშვილს და მის სექტას სჭირდა და სჭირს კლასიკური სადიზმი,** პიროვნების სადისტური აშლილობა და მაზოხიზმი.

„იმედინფო“

# რით უნდა ამაყობდეს

დასაწყისი იხ. „ა–დ“, 2025 წლის №1–2, 3–21

***პროფესორი სვიმონ მასხარაშვილი საქართველოს ერთ-ერთი უდიდესი მეფის ვახტანგ გორგასლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ საუბარს ასრულებს და აცხადებს, რომ, რასაც ვახტანგ გორგასალმა საფუძველი ჩაუყარა, საქართველო დღეს სწორედ იმაზე დგას:***



## სვიმონ მასხარაშვილი:

## ვახტანგ გორგასალი ბუნებაში პირველი ვახტანგი იყო, რადგან მისი სრული სახელი გახლდათ ვარან ხუასრო თანგი და ბავშვობიდან შემოკლებით ვახტანგს ეძახდნენ!

— **ვახტანგ გორგასალი და მიქაელ მთავარეპისკოპოსი** ერთმანეთს არა რელიგიურ ნიადაგზე, არამედ პოლიტიკური ორიენტაციის გამო დაუპირისპირდნენ. აღმოსავლეთში ირანის შაჰ **პეროზთან** ერთად შვიდწლიან ლაშქრობებში მონაწილეობის შემდეგ **ვახტანგ გორგასალი** ქართლში დაბრუნდა. მას სამღვდელოება და დიდებულები შეეგებნენ. გორგასალმა დაიჩოქა, რათა ამხედრებულ **მთავარეპისკოპოს მიქაელს** ფეხზე მთხვეოდა. ამ დროს მიქაელმა მას წიხლით კბილები ჩაულეწა. ეს ინციდენტი, სავარაუდოდ, 466 ან 467 წელს მოხდა. **ვახტანგ გორგასალმა** ქრისტიანული თავმდაბლობით აიტანა ეს შეურაცხყოფა, მაგრამ კონფლიქტის გასარჩევად პირუთვნელ მოსამართლედ ბიზანტიის იმპერატორი **ლეონ პირველი** ყასაბი, ანუ **ლეონ დიდი** (457-474 წ.წ.) შეარჩია. **ლეონი** იყო პირველი იმპერატორი და პირველი მონარქი, რომელმაც სამეფო გვირგვინი ეკლესიას აკურთხებინა. მანამდე ტახტს იღებდნენ ან მემკვიდრეობის წესით, ანდა იმპერატორს ჯარი, სახალხო კრება და სენატი ირჩევდა. **ლეონ პირველმა,** რომელიც ძალიან მდაბიო წარმომავლობისა იყო და ყასბად მუშაობდა, ტახტი და გვირგვინი კონსტანტინოპოლის პატრიარქს აკურთხებინა, რათა თავისი ხელისუფლებისთვის მეტი ლეგიტიმურობა შეეძინა. ამიერიდან ეკლესიის მიერ მეფეებისა და იმპერატორების კურთხევა მთელ საქრისტიანოში წესად იქცა. ბიზანტიის იმპერატორმა **ლეონ ყასაბმა** და კონსტანტინოპოლის პატრიარქმა **მიქაელ მთავარეპისკოპოსი** გაამტყუნეს და მის ნაცვლად საქართველოს უმაღლეს მღვდელმთავრად **ვახტანგ გორგასლის** მეგობარი და პროტეჟე **პეტრე** აღიარეს, მაგრამ არა რიგითი მთავარეპისკოპოსის, არამედ კათალიკოსის ტიტულით. საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობისა და ავტოკეფალიის საერთაშორისო აღიარება სწორედ წმინდა **ვახტანგ გორგასლისა და წმინდა პეტრე კათალიკოსის** სახელებს უკავშირდება!

**— სად ჩატარდა ვახტანგ გორგასლისა და მთავარეპისკოპოს მიქაელის სასამართლო?**

— სასამართლო კონსტანტინოპოლში ჩატარდა, სადაც ვახტანგი პირადად არ გამოცხადებულა და მის პოზიციებს კათალიკოსი პეტრე და სხვა ქართველი სასულიერო პირები იცავდნენ.

**— საქართველოს გარდა, მაშინდელ მსოფლიოში კიდევ რამდენი ქრისტიანი და მართლმადიდებელი ავტოკეფალი მღვდელმთავარი არსებობდა?**

— 451 წლიდან, ანუ ქალკედონის მეოთხე მსოფლიო საეკლესიო კრებიდან მოყოლებული, მართლმადიდებელთა შორის ავტოკეფალურ მღვდელმთავრებად ითვლებოდნენ მხოლოდ რომის პაპი, კონსტანტინოპოლის პატრიარქი, ალექსანდრიის პაპი, ანტიოქიისა და იერუსალიმის პატრიარქები. 467 წლიდან ამ ავტოკეფალურ მამამთავართა რიცხვს შეემატა მეექვსე წევრი — **მცხეთის, ანუ ქართის კათალიკოსი.**

**— რას ამბობდა მიქაელი სასამართლოზე?**

— მთავარეპისკოპოსი მიქაელი ამტკიცებდა, რომ **ვახტანგ გორგასალი** შვიდი წლის განმავლობაში თავისი ხმლითა და ჯარით აძლიერებდა მაზდეანურ ირანს და სწორედ ამიტომ ჩაულეწა მეფეს კბილები. სასამართლოზე პირიქით დამტკიცდა — სინამდვილეში, მთელი შვიდი წელი გორგასალი პეროზს უმტკიცებდა, რომ საქართველოს დაშლაზე ხელი აეღო, ხოლო მიქაელი რეალურად მოქმედებდა მოღალატე ვარსქენ პიტიახშთან ერთად და მიზნად ისახავდა საქართველოს დაშლას.

## „საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობისა და ავტოკეფალიის საერთაშორისო აღიარება სწორედ წმინდა ვახტანგ გორგასლისა და წმინდა პეტრე კათალიკოსის სახელებს უკავშირდება!“



ვახტანგ გორგასლის ძეგლი თბილისში



პეტრე კათალიკოსი

**— საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოებში ამის შესახებ რატომღაც არ წერენ, რადგან ეს საკითხი სათანადოდ დამუშავებული არ არის! როგორც კი კონსტანტინოპოლში მიქაელი გაამტყუნეს, ვარსქენ პიტიახში მაშინვე გაიქცა სპარსეთში პეროზ შაჰთან, მიიღო ცეცხლთაყვანისმცემლობა (ზოროასტრიზმი) და პეროზს ქალიშვილის ხელი სთხოვა, რამაც ვარ-**

## კვირგვინოსნები



**გიორგი ბარამიძე**
*„ერთიანობა — ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკური მდივანი*

საზოგადოებისთვის სიახლე არაა, რომ ქვეყნის პოლიტიკურ სარბიელზე არიან პიროვნებები და პოლიტიკური პარტიები, რომლებიც **ოპოზიციად ასაღებენ თავს, მაგრამ სინამდვილეში ხელისუფლებაზე მუშაობენ.**

„პირველი არხი“



**შალვა კელაპტრიშვილი**
*სასტუმროებისა და რესტორნების ფედერაციის ხელმძღვანელი*

**ევროპელი პენსიონერები** ის კატეგორიაა, რომელიც ძირითადად მხოლოდ **მოგზაურობითა და ცხოვრებით ტკბობით არიან დაკავებულნი.** ამიტომ მაქსიმალურად უნდა ვეცადოთ, რომ **ისინი საქართველოში ჩამოვიყვანოთ.**

„ახალი თაობა“



**ნიკა ჩიტაძე**
*ანალიტიკოსი*

ის პარტიები, რომლებმაც თავის დროზე **5-პროცენტიანი ბარიერი ვერ გადალახეს,** თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობას მიიღებენ.

„რეზონანსი“



**კახა მანჯგალაძე**
*„სტრატეგია აღმაშენებლის“ წევრი*

**„ოცნების“** ხელისუფლებაში ყოფნის ყოველი დღე არის **მეტი დაუცველობა, სიღარიბე და ხალხის ძარცვა.**

„რეზონანსი“



**მარიამ გაფრინდაშვილი**
*ჟურნალისტი*

**ყველაფრის კადრება საერთოდ არაფრის გამო არ ღირს,** ეს ჩემი ცხოვრების დევიზია.

„თბილისელები“

# ქართველი?

## „მეფე მირიანი და მისი შთამომავალი ვახტანგ გორგასალი წარმოშობით ირანელ აქემენიანთა შტოს, ანუ მიჰრან ფაჰლავუნებს ეკუთვნოდნენ!“



**სქენის მეუღლე — შუშანიკ მამიკონიანი გააცეცხლა... რა მოხდა?**

— სასანიდური ირანის სამეფოში შაჰებს შვიდი წარჩინებული და უძლიერესი საგვარეულო ირჩევდა. ერთ-ერთი ამ შვიდი ოჯახიდან იყვნენ **მიჰრან ფაჰლავუნები,** რომლებსაც ქართული წყაროები **„ხოსროიანებს“** უწოდებს. **მეფე მირიანი** და, შესაბამისად, მისი შთამომავალი **ვახტანგ გორგასალი,** წარმოშობით სწორედ ირანელ აქემენიანთა ამ შტოს, ანუ მიჰრან ფაჰლავუნებს ეკუთვნოდნენ. ამავე გვარს ეკუთვნოდნენ ალბანეთის მეფეც და ცნობილი სარდალი და სპარსეთის შაჰი **ბაჰრამ ჩუბინი,** რომელიც 591 წელს ბიზანტიის იმპერიის დახმარებით **ხოსრო მეორე ფარვიზმა** დაამხო. შესაბამისად, **პეროზ შაჰისთვის** დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, დანათესავებოდა **ვარსქენის** გავლენიან ოჯახს, რათა მომავალი შაჰის არჩევისას ამ კლანის კეთილგანწყობაც ჰქონოდა.

**— კი მაგრამ, ვახტანგ გორგასალი ვარსქენზე უფრო გავლენიანი არ იყო? პეროზმა მის კეთილგანწყობას ვარსქენთან მეგობრობა რატომ ამჯობინა?**

— მიუხედავად იმისა, რომ **გორგასალი** ნათესაობით ირანის უძლიერეს ოჯახებს უკავშირდებოდა და ამ მხრივ **ვარსქენ პიტიახში** მას ვერავითარ კონკურენციას ვერ უწევდა, აქ ყველაფერი განსაზღვრა რელიგიურმა ფაქტორმა. საქმე ის გახლავთ, რომ **პეროზი,** პირველ რიგში, იყო მაზდეანთა პატრიარქი და არავითარი უფლება არ ჰქონდა, გამაზდეანებულ **ვარსქენს,** რომელმაც ქრისტიანობა უარყო, გვერდით არ დასდგომოდა. **ვარსქენსა** და პროირანულ პარტიას **ვახტანგმა** დაუპირისპირა დიდებული პიარ-სვლა — **შუშანიკის ფაქტორი!** თავის მხრივ, **შუშანიკი** იყო **მამიკონიანი** — სახელოვანი სომეხი სარდლისა და უმაღლესი მმართველის **ვარდან მამიკონიანის** ქალიშვილი. საინტერესოა ის ფაქტი, რომ სომხური ისტორიის მამის **მოვსეს ხორენაცის** მტკიცებით, **მამიკონიანები** წარმოშობით ლაზები იყვნენ — ჭენთა ქვეყნიდან, ხოლო **ვარდან მამიკონიანის** დედა ირანის მმართველი შვიდი ოჯახიდან ერთ-ერთს ეკუთვნოდა. სწორედ მათი შთამომავალი იყო სომხეთის გამაქრისტიანებელი **გრიგოლ პართელი.** შუშანიკისთვის ვარსქენის ნაბიჯები მიუღებელი იყო რელიგიურადაც და ქალურადაც. **შუშანიკი** ვერ ეგუებოდა, რომ ქმარმა მას სპარსეთის პრინცესა პეროზ შაჰის ასული **პეროზდუხტი** ამჯობინა. **ვახტანგ გორგასალმა** შუშანიკს რწმენაში გასამყარებლად მიუჩინა თავისი მეგობარი **სამოელ ეპისკოპოსი,** რომლის დირექტივებითაც მოქმედებდა შუშანიკის მოძღვარი **იაკობ ცურტაველი,** ანუ **სამოელისა და იაკობის** ძალისხმევამ შედეგი გამოიღო და **შუშანიკისა და ვარსქენის** კონფლიქტმა მთელი საქართველო აალაპარაკა. ამ კონფლიქტიდან ექვსი წლისთავზე **შუშანიკს** ცოცხალ წმინდანად აღიქვამდნენ და მასთან თაყვანისაცემად მოდიოდნენ *„აზნაურნი დიდ-დიდნი და ზეპურნი დედანი, აზნაურნი და უაზნონი სოფლისა ქართლისანი“*. ამ კონფლიქტმა მოახდინა **ვარსქენ პიტიახშის** დემონიზაცია. იგი მთელმა საქართველომ და სომხეთმა შეიძულა. ამით ისარგებლა **ვახტანგ გორგასალმა** და თავიდან ბოლომდე დისკრედიტებული **ვარსქენი** შუშანიკის გარდაცვალებიდან შვიდი წლის შემდეგ, 482 წელს მოაკვლევინა. სწორედ ამ პერიოდში დარუბანდიდან შემოიჭრა ჰუნთა ერთ-ერთი ტომი, რომელიც ირანს შეესია. სულ მალე შუშანიკის ძმის **ვაჰან მამიკონიანის** მეთაურობით, სპარსეთს აუჯანყდა მის შემადგენლობაში მყოფი სომხეთი. 483 და 484 წლებში **ვახტანგ გორგასალს** ორჯერ ჰქონდა დიდი ომი სპარსელებთან და, სამწუხაროდ, ორივეჯერ დამარცხდა, რადგან **ვაჰან მამიკონიანის** მეთაურობით, სომხები ირანელებს უომრად დანებდნენ. გაიქცნენ დარუბანდიდან გადმოსული ჰუნებიც... მიუხედავად მარცხისა, ირანმა **ვახტანგი** ზავზე ვერ დაიყოლია და საქართველოს დამორჩილება ვერ შეძლო, რადგან საქართველოს მისი მარადიული მოკავშირე — უფალი შეეწია. უფრო მეტიც, 484 წელს ჰეპტალიტებთან ბრძოლაში პეროზ შაჰი მთელ თავის არმიასთან ერთად დაიღუპა და მისი ცხედარიც კი ვერ იპოვეს. ასე გადარჩა საქართველო...

502 წელს ვახტანგ გორგასალი სამგორის ბრძოლაში დაიჭრა და უჯარმაში დაიღუპა, თუმცა, ამ ბრძოლაში ქართველებმა იმარჯვეს.

### ვახტანგ გორგასლის უკანასკნელი სიტყვები იყო – „ეძიებდეთ ქრისტესთვის სიკვდილს, რათა სახელსა მისსა ზედა საუკუნო დიდება მოიმკოთ!“

**— წყაროს თანახმად, ვახტანგ გორგასალი სიმაღლეში იყო „ათორმეტი ბრჯალი“, რაც დღევანდელი საზომით 2 მეტრი და 40 სანტიმეტრია. არის თუ არა მისი საფლავი გათხრილი და სინამდვილეში რა სიმაღლისა იყო გორგასალი?**

— **ვახტანგ გორგასლის** საფლავი გათხრილი არ არის. ცნობა მისი აღნაგობის შესახებ ეკუთვნის **გრიგოლ ხანძთელის** უსაყვარლეს მოწაფეს, მცხეთის კათალიკოსს, წმინდა არსენ დიდ საფარელს. იგი მოგვითხრობს, რომ სვეტიცხოველში შემონახული **ვახტანგ გორგასლის** მუზარადის, ჯაჭვის პერანგისა და სხვა აღჭურვილობის მიხედვით, მისი სიმაღლე დაახლოებით **„ათორმეტი ბრჯალი“** უნდა ყოფილიყო. ეს მაშინ წარმოუდგენელი სიმაღლე იყო. პირადად მე წმინდა **არსენ საფარელის** სიტყვებში ეჭვს ვერ შევიტან და მისი ყოველი სიტყვის მჯერა.

**— რას იტყვით ვახტანგ გორგასლის ბიზანტიაში ლაშქრობის შესახებ?**

— ეს ზღაპარია! არავითარი მსგავსი ლაშქრობა ბიზანტიაში არ მომხდარა და ვერც მოხდებოდა, რადგან ბიზანტია ვახტანგის მოკავშირე იყო!

**— ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, მაინც რატომ არის ვახტანგ გორგასალი ერთ-ერთი უდიდესი მეფე, მან ხომ ყველა მნიშვნელოვანი ბრძოლა წააგო?**

— მიუხედავად იმისა, რომ მან ირანთან, ფაქტობრივად, ყველა ომი წააგო, სიცოცხლის ბოლომდე იურიდიულად ვერ აკონტროლებდა ვერც ქვემო ქართლს, ვერც ეგრისის დასავლეთქართულ სახელმწიფოს, სადაც **გუბაზ პირველი და წათე პირველი** მეფობდნენ, **ვახტანგი** საქართველოს ისტორიაში მაინც რჩება ერთ-ერთ ყველაზე დიად პოლიტიკოსად. რასაც **ვახტანგ გორგასალმა** საფუძველი ჩაუყარა, დღეს სწორედ იმაზე დგას საქართველო!

მართალია, ბოლომდე ვერ მოასწრო დედაქალაქის მცხეთიდან თბილისში გადმოტანა და მისი პირადი რეზიდენცია უჯარმა იყო, მაგრამ სწორედ მან დაადგინა საქართველოს დედაქალაქად თბილისი, რომელიც ყველა ქართველისა და მთელი კავკასიის დედაქალაქი გახდა. მან დაარსა არტანუჯი, რომელმაც სათავე დაუდო დავითისა და თამარის საქართველოს, მე-12 საუკუნეში მსოფლიო ჰეგემონი რომ გახდა.

ვახტანგ გორგასალმა მოიპოვა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია, რამაც საფუძველი დაუდო დიდ ქართულ ქრისტიანულ კულტურას. მან გაწირა საკუთარი ტახტი, მაგრამ ბარბაროსებს ჩაუკეტა დარიალის კარი და ჩვენი ცივილიზაცია გაველურებისგან იხსნა.

სულ საქართველოს ექვსი ვახტანგი ჰყავდა მეფედ. ვახტანგ გორგასალი ბუნებაში **პირველი ვახტანგი** იყო, რადგან მისი სრული სახელი გახლდათ **ვარან ხუასრო თანგი** და ბავშვობიდან შემოკლებით **ვახტანგს** ეძახდნენ!




## საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოებში ამის შესახებ რატომღაც არ წერენ!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

## კვირგვინოსნები

**ვახტანგ ფანჩულიძე**
*მსახიობი*



მუშტაიდის პარკში ოპერატორებს, ვინც **ზამთრის სუსხიან ყინვაში გარეთ დგანან, ზაფხულის თაკარა სიცხეში გარეთ დგანან, კვირაში 7 დღე, დღეში 8 საათი მუშაობენ,** საქმეს აკეთებენ, ხალხს ემსახურებიან და შრომით პროდუქციას ქმნიან, **თვეში უხდიან მათხოვრულ ხელფასს — 400 ლარს!** ვეკითხები ნებისმიერი პოლიტიკური შეხედულების ადამიანს: განა ეს ნორმალურია? **განა შეიძლება, დღეს თბილისში ხელფასი იყოს 400 ლარი 8-საათიან სამუშაო დღეში?** განა ეს ხალხის მონურ მდგომარეობაში ჩაყენება და ხალხის დაცინვა არ არის?

„ახალი თაობა“

**სანდრო ვეფხვაძე**
*ტელეწამყვანი*



ჩვენ საზოგადოებას უნდა დავუმტკიცოთ, რომ **არაფერი „არ ტეხავს“.** ადამიანმა ყველაფერი უნდა სცადოს, მათ შორის — **ფიზიკური შრომა.** უამრავი წარმატებული ბიზნესმენის პროფილს რომ გადავხედოთ, მათი ისტორია **ფიზიკური შრომით** იწყებოდა.

„სარკე“

**მევლუდ მელაძე**
*საავტომობილო ფედერაციის ხელმძღვანელი*



ჩვენ **უცოდინარი მძღოლები გვყავს, ყველა თვითნასწავლია.** არადა, როცა მართვის მოწმობას გასცემ, **სახელმწიფომ უნდა იცოდეს, რომ პირი მზად არის ავტომანქანის უსაფრთხოდ მართვისთვის.** სანაპირო მთლიანად გადაწყობას საჭიროებს, მოდიფიკაციას და მაქსიმალურად უსაფრთხოდ მოწყობას. **მტკვრის მარცხენა სანაპირო შავ სიაშია შეყვანილი, რადგან ბევრი ავტოსაგზაო შემთხვევა ფატალურად მთავრდება.**

„კვირის პალიტრა“

**გიორგი ცუცქირიძე**
*ექსპერტი*



ყველა პირობაა, რომ **ლარის კურსი სტაბილური იქნება.**

„რეზონანსი“

# რა უნდა ვიცოდეთ სისხლდენის შესახებ?

***სისხლდენა მეტად საშიში პროცესია, რომელიც აუცილებლად უნდა შეჩერდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ადამიანი დაიღუპება. ცნობილი ექიმი და ჰომეოპათი კახა საბახტარიშვილი მიუთითებს, რომ სისხლდენის უკან შესაძლოა, არაერთი მნიშვნელოვანი დაავადება იმალებოდეს:***



— ადამიანის ორგანიზმი დაახლოებით 300 ტრილიონი უჯრედისგან შედგება, რომლებსაც, ბუნებრივია, სჭირდებათ საკვები ნივთიერებითა და ჟანგბადით მომარაგება. პარალელურად, ისინი უნდა გათავისუფლდნენ ცხოველმოქმედების პროდუქტებისგან. ყველა ეს პროცესი სისხლის მიმოქცევის სისტემით ხორციელდება. ცნობისათვის, ყველა კაპილარი და სისხლძარღვი რომ ერთმანეთს გადავაბათ, მათი საერთო სიგრძე 100 ათას კილომეტრს გადააჭარბებს. ამ სისხლძარღვებსა და კაპილარებში, რა თქმა უნდა, სისხლი მოძრაობს, რომლის მასა ადამიანის მასის 7 პროცენტს შეადგენს. ასე, მაგალითად, 70 კილოგრამი წონის ადამიანის ორგანიზმში ხუთ ლიტრამდე სისხლია.

ცხადია, სისხლის დაკარგვა, ანუ სისხლდენა, ორგანიზმისთვის სახიფათოა. თუ ადამიანმა დიდი ოდენობით სისხლი დაკარგა, შესაძლოა, ის დაიღუპოს კიდეც... საერთოდ, იმის მიხედვით, თუ რომელი სისხლძარღვი დაზიანდა, განარჩევენ არტერიულ, ვენურ, კაპილარულ, პარენქიმულ და შერეულ სისხლდენას!

**— პარენქიმული სისხლდენა რას ნიშნავს?**

— პარენქიმულია ისეთი სისხლდენა, რომელიც თან ახლავს ფილტვების, ღვიძლის, ელენთისა და თირკმლების დაზიანებას. ამ ორგანოთა სისხლძარღვები ისე ღრმად არიან შეზრდილი ორგანოთა ქსოვილში, რომ მათი განცალკევება შეუძლებელია. ამიტომაც არის პარენქიმული სისხლდენა ძლიერი, ხანგრძლივი და საშიში. თუ ქირურგიული ჩარევა დაუყოვნებლივ არ მოხდა, პარენქიმულმა სისხლდენამ შესაძლოა, ადამიანი დაღუპოს.

**— როგორ უნდა განვასხვაოთ არტერიაა დაზიანებული თუ ვენა?**

— ვინაიდან არტერიაში წნევა მაღალია, დაზიანებული ადგილიდან ალისფერი სისხლი შადრევანივით მოჩქეფს და მის შესაკავებლად ლახტი დაზიანებული ადგილის მაღლა უნდა გადავუჭიროთ. ვენური სისხლდენის დროს სისხლის ნაკადი მდორეა, მაგრამ უწყვეტი. ამ დროს ძალიან საშიშია, არ განვითარდეს **ჰაეროვანი ემბოლია.** მაგალითად, კისრის ვენის გადაჭრისას, ვენის სანათური ღია რჩება და არსებობს ალბათობა, რომ მასში ჰაერი შევიდეს. თუ ეს მოხდა, მაშინ ვენაში წარმოიქმნება ჰაეროვანი ემბოლია, რაც, უმეტეს შემთხვევაში, სიკვდილს იწვევს. რაც შეეხება **კაპილარულ სისხლდენას,** კაპილარები ძალიან მცირე ზომისაა, ამიტომ ისინი არ ჩანს, სისხლი მუქი, წითელი ფერისაა და ჭრილობიდან ისე ჟონავს, როგორც სველი ღრუბლიდან წყალი. კაპილარული სისხლდენა თავისთავად და ადვილად წყდება და მის შესაჩერებლად უბრალო ნახვევი ან მცირედი ზეწოლაც საკმარისია. კაპილარული სისხლდენა საშიშია მხოლოდ მაშინ, როცა ადამიანს სისხლის შედედების უნარი დაქვეითებული აქვს. ამ დაავადებას ჰემოფილია ეწოდება. იგი ვერაგი გენეტიკური ავადმყოფობაა და დედიდან ვაჟზე გადადის. სწორედ ჰემოფილიით იტანჯებოდა რუსეთის უკანასკნელი იმპერატორის ნიკოლოზ მეორის ვაჟიშვილი, ტახტის მემკვიდრე, **უფლისწული ალექსი რომანოვი,** რომელსაც გრიგორი რასპუტინი მკურნალობდა.


**კახა საბახტარიშვილი** — ექიმი ნევროპათოლოგი, საერთაშორისო ჰომეოპათიური ლიგის წევრი, საქართველოს ეკოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. გასული საუკუნის 80-იან წლებში იყო კიბოს საწინააღმდეგო პრეპარატ **„კატრექსის“** ავტორის **ალექსანდრე ბაჩეჩილაძის** მიერ შექმნილი **საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი საიდუმლო სამეცნიერო ლაბორატორიის მთავარი ექიმი,** ქალაქ თბილისის №13 პოლიკლინიკის დირექტორი. აქვს გამოქვეყნებული 7 წიგნი და 1 მონოგრაფია, 50 სამეცნიერო სტატია. მსოფლიო აღიარება მოიპოვა მისი ხელმძღვანელობით შექმნილმა წამლებმა **„გულის ელექსირი ფორტე“, „ტონზილინი“ და „იმუნო ჰერბი ფორტე“, „ტონზილინმა“** ასობით ბავშვი გლანდების ამოჭრას გადაარჩინა. **„იმუნო ჰერბი ფორტემ“** ათასობით ადამიანს გრიპი და კოვიდი თავიდან აარიდა. **„გულის ელექსირი ფორტე“** საიმედო დაცვაა ინფარქტისა და ინსულტისაგან.



***თბილისი, ვაჟა-ფშაველას 43, მეტროსადგური „დელისი“ (პროფკავშირების სახლი). 593 31 70 34; ფეისბუქი: „კახა საბახტარიშვილის ჯანმრთელობის ცენტრი“ და „ლაზიკა-ფარმა“***


## *კახა საბახტარიშვილი:*

# ცხვირიდან სისხლდენის დროს თავის უკან გადაწევა არ შეიძლება!



**— რა იწვევს ცხვირიდან სისხლდენას და რამდენად საშიშია იგი?**

— ცხვირიდან სისხლდენის ძირითადი მიზეზი მაინც ტრავმაა. თუ სისხლდენა ძლიერი არ არის, ის თავისით შეწყდება და საშიში არაფერია. ასეთ დროს ცხვირის ნესტოებში უნდა ჩავიდოთ წყალბადის ზეჟანგის ან სხვა ისეთი ტამპონი, რომელიც სისხლძარღვების შემავიწროებელი ხსნარით იქნება გაჟღენთილი. ცხვირიდან სისხლდენის დროს თავის უკან გადაწევა არ შეიძლება, რადგან არსებობს იმის საფრთხე, რომ სისხლი სასუნთქ გზებში ჩაიღვაროს და ფილტვში ანთებითი პროცესებიც კი გამოიწვიოს! განსაკუთრებით საშიშია ცხვირიდან სისხლდენა მაშინ, როცა ადამიანს არავითარი ტრავმა არ მიუღია, მაგრამ მოულოდნელად ცხვირიდან სისხლი წასკდება. ასეთ დროს, პირველ რიგში, წნევა უნდა გავიზომოთ, რადგან მაღალი არტერიული წნევა ხშირად ცხვირის კაპილარულ სისხლძარღვებს ხეთქავს. ერთი მხრივ, ეს არის ხსნა, რათა ადამიანს ინსულტი არ განუვითარდეს და ის ჭარბი სისხლი, რომელიც მაღალი არტერიული წნევის მავნე ზემოქმედების შედეგად შესაძლოა, ტვინში ჩაღვრილიყო, ცხვირის მეშვეობით გარეთ გამოდის. შექმნილ სიტუაციაში, როგორც მოგახსენეთ, პირველ რიგში, წნევა უნდა გავიზომოთ და თუ მაღალია, ყველანაირი ხერხით ვეცადოთ მის ნელ-ნელა დაბლა დაწევას. ასეთ დროს განსაკუთრებით კარგია ცხელ წყალში ფეხების ჩაყოფა.

**— თუმცა, არის შემთხვევები, როცა წნევა დაბლა არ იწევს და ცხვირიდან სისხლდენა არ ჩერდება.**

— ბუნებრივია, ამ შემთხვევაში აუცილებლად და დაუყოვნებლივ უნდა მივმართოთ ექიმს. საერთოდ, არსებობს ალკოჰოლურ სასმელთა კატეგორია, რომელიც არტერიული წნევის კატასტროფულ მატებას იწვევს. ყველაზე საშიში ის არის, რომ ამ დროს წნევის დამწევი პრეპარატები ხშირად არ ჭრის!

**— რატომ?**

— როცა შაქრიან ღვინოსა და დიდი რაოდენობით ლუდს მივირთმევთ, წნევის დამწევი პრეპარატები ძალას კარგავენ, რადგან სასმელთან რეაქციაში შედიან. თანაც, სასმელში არსებული შაქარი ისედაც წყალს აკავებს ორგანიზმში და წნევის მატებას იწვევს...

**თუ ცხვირიდან სისხლდენა ვერ შეჩერდა, მაშინ ერთადერთი გზა არის ტამპონი, რომელიც სისხლმდენ ნესტოში ისევ და ისევ პროფესიონალმა ექიმმა უნდა მოათავსოს და მჭიდროდ შეჩუროთოს!**

**— რას იტყვით ღრძილებიდან სისხლდენის შესახებ?**

— ამის მიზეზი ძირითადად პირის ღრუში მიმდინარე ანთებითი პროცესებია. თუმცა, შესაძლო, ისეც მოხდეს, რომ ადამიანს ღრძილები არ აწუხებდეს, მაგრამ სისხლი მაინც სდიოდეს. ეს პროცესი ხშირად C ვიტამინის ნაკლებობას უკავშირდება. C ვიტამინი სისხლძარღვის კედლებს ამაგრებს, ხოლო მისი ნაკლებობისას სისხლძარღვის კედლები გამტარი ხდება და სისხლი ჟონავს.

**— რას უკავშირდება სისხლდენა ყელიდან და რამდენად საშიშია იგი?**

— არსებობს ასეთი დაავადება — საყლაპავი მილის ვენების ვარიკოზი. ასეთ დროს საყლაპავი მილის ქვედა ნაწილში არსებული ვენები გაგანიერებულია, რასაც მათი გასკდომა შეიძლება მოჰყვეს. ეს ძალიან სახიფათო სიმპტომია და ხშირად ვითარდება ღვიძლის ციროზის დროს. საქმე ისაა, რომ ამ შემთხვევაში ადგილი აქვს ე.წ. **პორტულ ჰიპერტენზიას,** რასაც თან სდევს საყლაპავისა და კუჭის კარდიალური ნაწილის ვენების გაფართოება. ვითარდება ასციტი, ანუ მუცელში წყლის დაგროვება, რომლის გართულებაც სწორედ კუჭისა და საყლაპავის გაგანიერებული ვენებიდან სისხლდენაა. ამ დროს ტკივილის შეგრძნების გარეშე იწყება

**„სისხლდენის დროს ღვიძლიდან და ელენთიდან ექსტრემალურ სიტუაციაში ხდება „სარეზერვო სისხლის“ გადმოსროლა, რათა ორგანიზმში სისხლის მოცულობა გაიზარდოს!“**

## კვირგვინოსნები

**ცისანა სეფიაშვილი**
*მომღერალი*



ადამიანების მჯერა, მერე საკუთარ თავს ვეუბნები — **კიდევ, ცისანა? გული კიდევ გეტკინა?** ინტერნეტსივრცემ ბევრი ადამიანის **რეალური სახე** გამოააშკარავა. მაკვირვებს, **ყველას რატომ განიკითხავენ, ყველაფრისტები როგორ გახდნენ.**

„კვირის პალიტრა“

**სოფიო სომხიშვილი**
*ძიუდოისტი*



ბევრს წარმოდგენაც კი უჭირს, რომ ტატამზე გამოვდივარ და მეტოქეს ვებრძვი, რადგან **ძალიან მიყვარს გაპრანჭვა და ის რბილი ქალური სტილი, რაც თითქოს ძიუდოისტთან შეუსაბამოდ მიაჩნიათ.** გაკვირვებული ტონით არაერთხელ უკითხავთ — **შენ ძიუდოისტი ხარ?**

„კვირის პალიტრა“

**მალხაზ თავართქილაძე**
*„ცისფერი ტრიოს“ მომღერალი*



შარშან ჩვენი ტრიოს **50 წლისთავი** გადავიხადეთ. თამაზი უკვე გარდაცვლილი იყო, მაშინ მე და დათო რომ გამოვედით, ვთქვი, **„ცისფერი ტრიო“ უკვე აღარ არსებობს,** მისი არსებობა დასრულდა-მეთქი.

„სარკე“

**ლანა მეტრეველი**
*მოდელი*



შეყვარებულმა მითხრა — **აბორტი გაიკეთე და მისგან წამოვედი.** ქართველი მამაკაცები **ძალიან „მოგულავე“ ადამიანები არიან.** შოუში ხმამაღლა ვთქვი — მეუღლე მყავს-მეთქი, მაგრამ **მაინც მწერენ, პაემანს მინიშნავენ.** ბევრი მათგანი ცოლიანია.

„სარკე“



რუსეთის იმპერატორი ნიკოლოზ მეორე და მისი ვაჟი ალექსი

# „სწორედ ჰემოფილიით იტანჯებოდა რუსეთის უკანასკნელი იმპერატორის ნიკოლოზ მეორის ვაჟიშვილი, ტახტის მემკვიდრე, უფლისწული ალექსი რომანოვი, რომელსაც გრიგორი რასპუტინი მკურნალობდა!“

ალისფერი სისხლის ღებინება, არტერიული წნევაც ეცემა, გულისცემაც ხშირდება და ვითარდება ტაქიკარდია. თუ ღვიძლის ციროზის დროს სისხლდენას აქვს ადგილი, სიკვდილ-სიცოცხლის საკითხს არა საათები, არამედ წუთები წყვეტს და პაციენტი დაუყოვნებლივ სტაციონარში უნდა იქნას გადაყვანილი!

**— ყელიდან სისხლდენას მხოლოდ ღვიძლის ციროზი იწვევს?**

— ადამიანი შესაძლოა, იყოს სრულიად ჯანმრთელი, მაგრამ მიიღოს დიდი ოდენობით ალკოჰოლი და საჭმელი. ასეთ დროს, შესაძლოა, მას დაეწყოს ძლიერი გულისრევა ან ღებინება, რაც იწვევს საყლაპავ მილში წნევის მატებას, რის შედეგადაც ლორწოვანი გარსი შესაძლოა, გასკდეს და ყელიდან სისხლდენა დაიწყოს. ასეთი სისხლდენა იშვიათად არის ინტენსიური. ამ პროცესს მელორ-ვეისის სინდრომი ეწოდება და უმეტესად 45 წლიდან 60 წლამდე ალკოჰოლის ჭარბად მომხმარებელ მამაკაცებს უვითარდებათ. დიაგნოზი ზუსტდება ენდოსკოპიური გამოკვლევით, რა დროსაც, როგორც წესი, სისხლდენას აჩერებენ!

გარდა ამისა, ასეთი სისხლდენის შესაჩერებლად კარგია ყინული და სისხლის შემადედებელი სისტემის სტიმულატორები... თუ ასეთი პროცედურების შედეგად სისხლდენა არ შეწყდა, საჭიროა ოპერაციული ჩარევა, ანუ გასტროტომია.

საყლაპავი მილიდან სისხლდენა შესაძლოა, გამოიწვიოს საყლაპავი მილის კიბომაც, რომელიც ხშირად საყლაპავის შუა და ქვედა ნაწილებს აზიანებს, მაგრამ მისი ამოცნობა შემდეგი ნიშნებით გახლავთ შესაძლებელი: საყლაპავში უხეში საკვების ძნელად გავლის შეგრძნება, ანუ დისფაგია; თანდართული ტკივილი მკერდის ძვლის უკან; ყლაპვის გაძნელების გამო უარის თქმა ისეთ უხეშ საკვებზე, როგორიცაა ხორცი, ვაშლი, პური, კარტოფილი და ა.შ. ასეთ დროს ავადმყოფი იძულებულია, უფრო თხიერ საკვებს დასჯერდეს. მას აღენიშნება სწრაფად დაღლა, აპათია, წონაში მკვეთრი დაკლება, უმიზეზო ტემპერატურა...

ხშირად გვითქვამს, რომ დილით, უზმოზე, ცხელი ყავის დალევა ორგანიზმისთვის ძალიან მავნებელია. მიზეზი მარტივია — დილით ადამიანის ორგანიზმში კორტიზოლის დონე მაღალია, ხოლო ყავაში შემავალი კოფეინი მის დონეს კიდევ უფრო მაღლა სწევს. ამის გამო უზმოზე დალეული ყავა სიმხნევის ნაცვლად მოთენთილობას იწვევს და, შესაძლოა, გასტრიტის მიზეზიც გახდეს. ბევრი ცხელ ყავას სიგარეტს აყოლებს, რაც საყლაპავი მილის კედლებზე დამღუპველად მოქმედებს. თუ ეს ხშირად განმეორდა, შესაძლოა, საყლაპავი მილის დამწვრობის შედეგად კიბო განვითარდეს.

**— აქვს თუ არა ორგანიზმს მექანიზმი, გარე ჩარევის გარეშეს გაუმკლავდეს სისხლდენას?**

— როცა ადამიანი სისხლს კარგავს, ორგანიზმი ცდილობს, სისხლის საჭირო ოდენობა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ორგანოებს მაინც მიაწოდოს. ძირითადად ეს ორგანოებია: ტვინი, გული, ღვიძლი, თირკმლები და ფილტვები. სისხლდენის დროს ორგანიზმში ირთვება ე.წ. ადაპტაციის მექანიზმი, როცა ხდება სისხლძარღვების სპაზმი და თრომბის წარმოქმნა, რათა სისხლის დანაკარგი მინიმუმამდე დაეცეს. იმისათვის, რომ უჯრედებმა ჟანგბადოვანი შიმშილი არ განიცადონ, ადგილი აქვს სუნთქვისა და გულისცემის გახშირებას. ამასთან, ორგანიზმში არსებობს ე.წ. დეპო-ორგანოები, სადაც ერთგვარი სარეზერვო სისხლი ინახება. ასეთი ორგანოებია: ღვიძლი და ელენთა. სისხლდენის დროს ღვიძლიდან და ელენთიდან ექსტრემალურ ვითარებაში ხდება „სარეზერვო სისხლის“ გადმოსროლა, რათა ორგანიზმში სისხლის მოცულობა გაიზარდოს. ამ პროცესს ჰემოსტაზი ეწოდება. რაც შეეხება სისხლდენის სხვა ფორმებსა და სახეობებს, ამის შესახებ დაწვრილებით მომავალში ვისაუბრებთ.

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***




საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაცია, გაზეთები „საქართველოს რესპუბლიკა“ და „ასავალ-დასავალი“ მწუხარებას გამოთქვამენ და სამძიმარს უცხადებენ **დენის დავითაშვილს** შვილის

**მიხეილ (მიშკა) დავითაშვილის**

გარდაცვალების გამო.






**მაღაზია «ბუკვიცა»**

ყიდულობს და ყიდის რუსულ და ქართულ ანტიკვარულ წიგნებს, დაბეჭდილს 1945 წლამდე

574-73-46-96, 243-01-17, 555-68-82-90

მისამართი: დ.უზნაძის №15, ქურდიანის №2.

**იმედის კლინიკა**

თბილისი, დიდი დიღომი, მირიან მეფის 10ა

imediclinic.com

* ორსულ ქალთა კონსულტაცია
* სამშობიარო სახლი
* პედიატრიული კლინიკა
* გინეკოლოგიური დეპარტამენტი

პროფესიონალიზმი, უახლესი აპარატურა, ოჯახური გარემო

სამშობიარო: 032 229-56-50

პედიატრიული კლინიკა: 032 223-85-80

სამშობიარო სახლი და პედიატრიული კლინიკა



საქართველო- ისრაელის ერთობლივი კლინიკა

**გიდმედი**

GIDMEDI GEORGIA · ISRAEL JOINT CLINIC

გვენდეთ ჩვენი იმედი!

ნებისმიერი ქირურგიული და უროლოგიური პათოლოგია

თბილისი, ლუბლიანას ქ. 2/6, მეხუთე სართული. 591 35 33 55




## 32-ე გვერდზე გამოქვეყნებული ლენტვორდებისა და კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 1. იკებანა; 6. რომბი; 11. ბოლერო; 12. რომანი; 13. გრადუსი; 15. მორფი; 16. ობობა; 17. გორილა; 18. ბენზინი; 19. ნაირა; 20. სპილო; 21. ცვაიგი; 22. მინიმუმი; 25. ვუალი; 26. ბრემე; 27. ამირან; 31. ზიკურათი; 32. ბაია; 34. ლაიმი; 36. ლამფა; 37. ანატომია; 41. მაინა; 42. სესია; 43. ყანჩა; 44. კრიმინალი; 46. რაინი; 48. ენძელა; 49. ტიპი; 51. პოლიფონია; 55. დრონტი; 56. გაბრო; 58. რული; 59. ლექტორი; 60. ნატურა; 61. ნეგოცია; 62. ნოტა; 63. არარატი; 64. კრივი.

შვეულად: 2. კორნეტი; 3. ბუდიზმი; 4. აბი; 5. ველოსიპედი; 6. რომანოვები; 7. მორკინალი; 8. ირიგაცია; 9. ამორძალი; 10. ანალოგია; 14. სანდუ; 20. სიბილა; 22. მაზდა; 23. ნოვია; 24. მარსო; 28. მალაყი; 29. რომანსი; 30. ნიადაგი; 33. არიფი; 35. მასნე; 38. ნორიო; 39. ტემპი; 40. მანგო; 41. მარადონა; 42. სინაგოგა; 45. ლეი; 47. ნანსუკი; 49. ტირანი; 50. პელოტა; 51. პალმა; 52. ლაქია; 53. ფლორა; 54. ნოინი; 57. ბაცი.

**სველიახვიჩამიჩიგანიმედიუმიაკიდომინორიტორი**
**კოპიტიტანინიშანიძეგლისერიალიზიდანიელადამი**

## კვირგვინოსნები

**ნუცა თოფურია**
*მომღერალი*



ბავშვობაში **მზეს მეძახდნენ.** სადმე რომ წამიყვანდა დედა, ამბობდნენ **— მზე მოვიდაო.** იმდენად მიყვარს ჩემი ქვეყანა, იმდენად ამაყი ვარ, აქ რომ დავიბადე, **იმდენად პატრიოტი ვარ, სხვა ქვეყანაში ცხოვრება არ მინდა.** არასოდეს მიფიქრია, უცხო ქვეყანაში კარიერის გაგრძელება.

„თბილისელები“

**მია მაჩაბელი**
*მომღერალ გიორგი ბაბუნაშვილის მეუღლე*



როცა **გიორგი** სცენაზეა და მე — დარბაზში, **ჩვენ შორის უხილავი ძაფები იბმება.**

„სარკე“

**ბორის ბედია**
*მომღერალი*



აქ დიდი კონცერტების ჩატარება არ ღირს. **თუ ვინმეს ახლობელი ხარ, მაშინ კიდევ გარისკავ...** ვინ როგორ ახერხებს სპონსორის შოვნას, ყველამ კარგად იცის... **აქ არის ახლობლობის, კლანურობის მომენტი.** არ მიყვარს ვიღაცის შეწუხება, ჩემი პრინციპები მაქვს.

„სარკე“

**ჯენიფერ ენისტონი**
*მსახიობი*



ვიცი, რომ ისევ შევხვდები ადამიანს, რომელთანაც თავს ბედნიერად ვიგრძნობ. **სიყვარულის მჯერა და ვფიქრობ, რომ ასაკს მნიშვნელობა არა აქვს.** თავს ძალიან ახალგაზრდულად ვგრძნობ.

„სარკე“

**თამთა კვარაცხელია**
*ტელეწამყვანი*



არ მგონია, **ქართულ ტელესივრცეში** იყოს ვინმე, ვისაც ძალა შესწევს, მებრძოლობს.

„სარკე“

## რუსუდან შარაძე:

# იცოდეთ, ჩემი ძმის ლაშა შარაძის მკვლელობაც გურამ შარაძის მკვლელობის ერთი მთლიანობაა!

*დასაწყისი მე-4 გვერდზე*

**თვის პასუხი, უთქვამს, რომ არ მოუკლავს.**

**რუსუდან შარაძე:** — ჩემთვის არა, გამოძიებას გასცა — მე ამ მკვლელობის არაფერი არ ვიციო. **ჯზერენაიაზე** დაადასტურა, რომ იყო მისი მეწყვილე, ოპერაციებზე დადიოდნენ ერთად, დაადასტურა, რომ ის მოკლეს გაურკვეველ ვითარებაში რუსეთში. აი, ეს შემიძლია ვთქვა.

მე, **ქალბატონო თეა,** გეფიცებით 4 საფლავს, იმიტომ კი არა, რომ კარგი ვარ ან სხვას ვჯობივარ, აღარ შემიძლია ამ ტვირთით ცხოვრება!

**თეა წულუკიანი: — ვის საფლავებზე საუბრობთ?**

**რუსუდან შარაძე:** — **ჩემი ძმების და მშობლების.** აღარ შემიძლია ამ ტვირთით ცხოვრება. მკვლელიც რომ იყოს, მართალია, **მე ვერ გავათავისუფლებ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან, მაგრამ მოვიდეს და თქვას სიმართლე.** სიმართლის მეტი მე არაფერი არ მინდა. **მე არ მამოძრავებს შურისძიება. გამოჩნდეს ეს ფაჩულია, დარწმუნებული ვარ, მიყურებს, რაღაც თქვას, მაგრამ ისეთი სახელი აქვს მაგას სამეგრელოში, რომ... სავლე პავლე ხომ გამხდარა, იქნებ ჩვენი ფაჩულია ბია ერთ დღესაც მოგვევლინოს პავლედ და რამენაირად ამოღეროს. მან თუ არ იცის, მინიმუმ, ინფორმაცია ხომ აქვს?!**

ახლა მე უნდა წაგიკითხოთ სია იმ პირების, რომლების სახელები და გვარები საქმეში დევს. ეს ჩვენი მხარე არ არის, ამწუთას ჩვენს მოწმეებზე არ ვლაპარაკობ. ესენია, თვითონ მოწმეები რომ ასახელებ, ან ოქმებზე ხელს აწერენ, ან სასამართლოებში მონაწილეობენ. **აი, ამ ხალხმა მთლიანად თუ არ იცის სიმართლე, ნაწილობრივ მაინც იციან, მინიმუმ, საკუთარ თავზე რა გადახდათ, ზეწოლის ქვეშ იყვნენ თუ სიამოვნებით ასრულებდნენ. ამ ხალხმა იცის სიმართლე და დიდი ბოდიში, მათი სახელები უნდა წავიკითხო — გიორგი ჩივიაშვილი,** საქმის პროკურორი, **ვანო მერაბიშვილის** არამზადა ადვოკატი და მისი მარჯვენა ხელი. ეს იყო **გიორგი ბარათელის** პროკურორი, რომელიც ჯალათივით თავზე ადგა და დასცინოდა, კი ვიცი, არაფერ შუაში არ ხარ, მაგრამ ასე უნდათ ზევით და ახლა უნდა მოაწერო ხელიო. **შოთა ხიზანიშვილი,** რომელიც მოვარდა იქ, მელიქიშვილზე და სიტუაციას აკონტროლებდა, ჯალათივით ედგა თავზე მათ, რომ ზედმეტი არ წამოსცდენოდათ პრესასთან. ყველა მასალა მაქვს აბსოლუტურად. ის იყო შსს-ს ადმინისტრაციის უფროსი, თუ არ ვცდები, ყოველი შემთხვევისათვის მისი გოშია. **კაკო ბაფრინდაშვილი** ძველი თბილისის სამმართველოს კრიმინალური პოლიციის განყოფილების უფროსი, **დათა ახალაიას მარჯვენა ხელი.** კიდევ ვაზუსტებ, ეს ვარაუდით არ მომაქვს, ყველა სახელი და გვარი საქმეში დაფიქსირებულია.

მოსამართლეები: **ბადრი კოჭლამაზაშვილი, მაია ოშხარელი** გარდაცვლილია ვიცი, **დავით სულაქველიძე, იური ტყეშელაშვილი.** სააპელაციო ვინ იყო, არ მახსოვს და დრო არ მქონდა, რომ მომეძებნა.

**ახლა ხვიჩას სია: ოლეგ მელნიკოვი, სოსო თოფურიძე.**

**ნანა ფაჟავას მოწმის სია: მეგის ქარდავა, მასტერა, ბია ფაჩულია, თემურ ჯზერენაია, თენგიზ გუნავა, კობა ნარსია, კახა ლატარია, კოხტა კოდუა, კოხტა კოდუას ბიძა ლაშა ექონია, ზაზა ხასაია, გურიკა ჭითანავა.** ეს გურიკა ჭითანავა დაკავებული იყო კასრების აღმოჩენის დროს. იხდიდა სასჯელს, ახლა არ ვიცი.

**კახა მიქაიას მოწმის სია: ლევან ქარდავა, მეგის ქარდავას ძმა, გიორგი დგებუაძე** იგივე **მასტერა,** კუდის ორი თანამშრომელი და თვითონ ეს მოწმე.

**პოლიციელების და გამომძიებლების სია საქმის მასალებიდან: რობერტ პანიევი, ლევან ბოჭორიშვილი, ნიკოლოზ გოგიაშვილი.** ამ სამმა მოახდინა ფაქტობრივი დაკავება ბარათელის. **მალხაზ ბოხუა,** კრიმინალური პოლიციის სამმართველოს უფროსის მოადგილე.

**მოსამართლეები: ზაალ გურგენიძე, თ. ზედგენიძე, ნ. გაბრიელაშვილი... ზურაბ გურჯალიანი** — პოლიციაში დაკავების და ჩხრეკის ოქმი, ყველა სისულელე ამან გააკეთა. **ამირან ხიჯაკაძე, დ. ზაალიშვილი, დ. სურმანიძე, გ. ელიზბარაშვილი, რ. გილიგაშვილი, ი. სვინტლაძე, თ. თუაძე. ლ. ბაჩიაშვილი, კ.როდონაია,** კრიმინალისტი, ვინც ხელიდან ანაწმენდები აუღო და დაწერა, რომ ვერ აწერს ხელს, მარჯვენა ხელშია დაჭრილი. **ვ. მოდრეკელიძე.**

**შემთხვევის ადგილის და გვამის დათვალიერების ოქმზე ხელის მომწერნი: დავით ელისაბედაშვილი, ლარისა ლისინა, ვასილ მოდრეკელიძე, ალექსანდრე ქამხაძე, მამუკა ქერიაშვილი, ზაზა ჭაია, გოჩა ქორაია, ლეფსვერიძე,** სახელს არ წერს. მათ თუ მკვლელობაში არ მიიღეს მონაწილეობა, მონაწილეობა მიიღეს საქმის გაყალბებაში.



კიდევ მეგულება ერთი ადამიანი, რომელმაც აბსოლუტურად ყველაფერი იცის, ცოცხალია, ჯანმრთელია, უბრალოდ, **ცალკე გეტყვით მის ვინაობას, თუ შეიძლება, კამერების გარეშე.**

დამავიწყდა თავის დროზე **კახა მიქაიას** და მისი მოწმის შესახებ თქმა და ახლა უცბად, ძალიან მოკლედ გეტყვით. **კახა მიქაია არის ასეთი პიროვნება სამეგრელოდან, ზუგდიდელი, ცნობილი თავისი მებრძოლი ხასიათით, ძალიან მაგრად გაამწარა ახალაიების კლანი, არ შეეპუა მათ. 2016 წელს, ჩემი მეგობარი იყო მაგ დროს, კახასთან მივიდა მოწმე ვახტანგ გაბელაია, მეტსახელად პაპაია, რომელიც გახლდათ დათა ახალაიას მარჯვენა ხელი, მისი ბინძური საქმეების ბინძური შემსრულებელი და უთხრა, ხუთი საქმე მაქვს და ერთ-ერთი გურამ შარაძის მკვლელობაა, მასზე მაქვს აუდიოჩანაწერი, მტკიცებულება, შემიძლია, მოვიტანოო, ოღონდ პირობა იყო, რომ კახას მაინცდამაინც სუსისთვის ეცნობებინა და ითხოვა თავისი ახლობლისთვის მიწის საკითხის მოგვარება, რაც კანონიერი იყო.** თანახმა იყო, **ახალაიას** პირზეც დასდგომოდა. ჯერ ეს გასინჯეთ, ჩემი მტკიცებულებები და თუ მიხვდებით, რომ ღირებულია, მხოლოდ მას შემდეგ დაუბრუნეთ იმ ქალს მიწა, უფრო სწორად ხელი არ შეუშალოთ დაბრუნებაშიო. **კახა** ადგა და **სუს**-ს ყველაფერი მიაწოდა. მერე ეს მოწმე ჩემთან ერთადაც ბევრჯერ ყოფილა პროკურატურაში და მიუცია ჩვენება. მაშინ **სუს**-ში გახლდათ **სოსო გოგაშვილი,** ყველაფრის განმკარგავი, ყოველი შემთხვევისათვის ასეთი იმიჯი ჰქონდა. სოსო გოგაშვილს დააკავშირა კახამ და მას მოუყვა პირადად ეს ყველაფერი.

**თეა წულუკიანი: — მაინც რა მოუყვა?**

**რუსუდან შარაძე:** — ჩვენს საქმეზე ყვება, როცა იყო **დათა ახალაიას** სამსახურში, ახალაიამ გამართა თათბირი, რომელსაც ესწრებოდა **ლევან ქარდავა,** თვითონ ეს მოწმე, **კუდ**-ის კიდევ ორი თანამშრომელი და, ბუნებრივია, **დათა ახალაია. იქ წავიდა ლაპარაკი, დასცინოდნენ მამაჩემს, პროფესორა როგორ გააგორეს, დასახელებულია მკვლელის ზედმეტსახელი, ჩემი პირადი ვარაუდით, ეს უნდა იყოს ჯზერე. დათა ახალაია ასახელებს პირველს, რომ ეს პირველის დავალებით მოხდა. მე თვითონ ჩავწერე, გადმოვიწერე, სააკაშვილი როგორ ამბობს სიამაყით, რომ მას უწოდებდნენ პირველს. ზედმეტსახელით მოიხსენიებს, ხომ არ შექმნის პრობლემას, ხომ არ არის დასაბრედი, უკაცრავად ამ გამოთქმისთვის.**

**თეა წულუკიანი: — ვისზე ამბობს ზედმეტ სახელს? რას ამბობს?**

**რუსუდან შარაძე:** — მამაჩემის მკვლელზე. ზედმეტსახელი მოწმემ არ თქვა, იმიტომ რომ, იმ მოწმეს თავისი ინტერესი ჰქონდა, ქალბატონო თეა. ეს არ იყო ჩემი ინტერესისთვის და მამაჩემის სიყვარულისთვის. მან თქვა, მე ეს არ მახსოვსო, მაგრამ წარმოუდგენელია, არ ახსოვდეს, ის მასალები საზღვარგარეთაც არ ექნებოდა, აქ ექნებოდა სადმე მიწაში ჩამარხული. ვაჭრობდა და, რა უნდა გვექნა, თუმცა, მე მადლიერი ვარ.

რაზეც მიიღო პასუხი **დათა ახალაიამ,** რომ არ შექმნიდა პრობლემას ის მკვლელი. იმიტომ მეეჭვება, 2012 წელს რატომ მოკლეს, მანამდე რას ელოდებოდნენ?! **ჩემი ვარაუდით, როგორც კი იგრძნეს, რომ ხელისუფლების დაკარგვის საშიშროება არსებობს, მნიშვნელოვანი მოწმეები ყველა მოკლეს!** შეიძლება **ფაჩულია** იმიტომ გადარჩა, რომ მართლა სხვა წავიდა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ, ზოგადად, ის მკვლელი არ არის. ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, საბოლოოდ, **სოსო გოგაშვილმა** ეს მოწმე ისე დაატერორა და ისე გადამკიდა, რომ მირეკავდა და მოკვლით მემუქრებოდა.

*კომისიაზე დასმულ შეკითხვაზე — რა ინტერესი უნდა ჰქონოდა გოგაშვილს, **რუსუდან შარაძე** პასუხობს:*

— დღეს ხომ ჩვენ გულწრფელად ვართ აქ, რომ გულწრფელი ლაპარაკი იყოს. კიდევ გავიმეორებ, თუ რამე შეცდომა იყო ჩემი მხრიდან ან სხვისი მხრიდან, ერთად გამოვასწოროთ ეს ყველაფერი და ერთად მივაღწიოთ მიზანს, სიმართლეს. **მე მაშინ ასეთი შთაბეჭდილება დამრჩა, ბატონო ჩემო, რომ სახელმწიფოს არ ჰქონდა იმის ნება, რომ გურამ შარაძის მკვლელობა გახსნილიყო. გოგაშვილი როგორც მეხორცე, მოიქცა როგორც მეხორცე. მე რას ვთხოვდი მას?! ვთხოვდი მხოლოდ შეხვედრას. აქ მთელი ისტორიაა, მერე გოგაშვილი კახა მიქაიას ატერორებდა, მე რატომ მითხრა ეს ამბავი, მოკლედ, ამწუთას საქმესთან არ აქვს შეხება.** რაც **სოსო გოგაშვილმა** ჩაიდინა შემდეგ და დღეს სადაც იმყოფება, რა მიზეზითაც, მე იმას არ გამოვრიცხავ, რომ მას ჰქონდა დავალება სხვა მხრიდან.



## „მიშა, ხომ ჩამოგიყვანა ღმერთმა შენი ფეხით, ახლა დაელოდე!“

### კვირგვინოსნები



**შალვა ნათელაშვილი**
*ლეიბორისტული პარტიის ლიდერი*

აი, რა დონეზე მივიდა **ქოცთა ვარამი** — **ადრე სახელმწიფო მდივანი პომპეო მფარველობდა მათ,** ახლა ვირჯინიელი უსაქმური ფერმერი **ბანოვანი კიმბერლია მათი მფარველი ანგელოზი.** „ნიუპოსტი“



**გიორგი გუგავა**
*ლეიბორისტული პარტიის წევრი*

„ოცნებაში“ ოცნებობენ, რომ **რომელიმე ევროპელი პოლიტიკოსი მოკვდეს** და მათ ქელეხში ვიღაცას ხელი ჩამოართვან.

„ახალი თაობა“



**ლაშა ჩხარტიშვილი**
*ლეიბორისტული პარტიის წევრი*

გაათავისუფლეთ **სინდისის პატიმრები,** გაათავისუფლეთ **პოლიტპატიმარი ოქრუაშვილი** და დანიშნეთ **ვადამდელი არჩევნები.**

„ახალი თაობა“



**ცოტნე კობერიძე**
*პოლიტიკოსი*

**ოპოზიციის გაერთიანება შეუძლებელია,** ჯამში, მგონია, რომ მალე ქართულ პოლიტიკურ ველზე **სერიოზული გადატვირთვა მოხდება.**

„ახალი თაობა“



**რომან გოცირიძე**
*ყოფილი პარლამენტარი*

**ქართველები** მიდიან, **უცხოელები** მოდიან, **ხელისუფლება** კი მანიპულაციას ეწევა.

„ახალი თაობა“

# თეა წულუკიანი: ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ კოლექტიური ხუთიანი ველარ დაბრუნდეს ხელისუფლებაში!



**თეა წულუკიანი: — მე ვერ დაგეთანხმებით იმაში, რომ მთლიანად სახელმწიფოს, ყველას წარმოგვადგენდა სოსო გოგაშვილი.** მასზე ზედმეტად დიდი წარმოდგენა ნუ გექნებათ. სახელმწიფოს ნება არ ჰქონდაო, თუ **გოგაშვილმა** რაღაც ინფორმაცია არ მიიტანა ზემდგომამდე, ჯერ ერთი, თვითონ იყო სამართალდამცველი. მას პირდაპირი ვალდებულება ჰქონდა, პროკურატურა ჩაეყენებინა საქმის კურსში და ა.შ. ამიტომ, თუ ეს იყო ერთი ინდივიდის ინიციატივა, რომ ხელი შეეშალა, ეს ერთია. მეორე მხრივ, თქვენვე ამბობთ, რომ პროკურატურამ ძალიან ბევრი ადამიანი დაჰკითხა და გამოჰკითხა, მათ შორის, ადვოკატების მეშვეობით, 2012 წლიდან. ამიტომ აქ არ ვიცი, რამდენად შეიძლება გამოიკვეთოს სახელმწიფოს ნების არსებობა-არარსებობის საკითხი. ამაზე შეგვიძლია ცალკე გავაღრმავოთ ანალიზი და კვლევა, მაგრამ აქ მთავარი ჩვენთვის რა არის, მოწმეების ჩვენებები, რომელიც მივიდა პროკურატურის ყურამდე და პროკურატურას არცერთი მოწმე უყურადღებოდ არ დაუტოვებია. სისხლის სამართლის საქმეზე ერთადერთი, ვინც სახელმწიფოს წარმოადგენს, არის პროკურატურა. ამიტომ ჩემთვის ამწუთში ეს არის აქ მთავარი.

რაც შეეხება **გოგაშვილის** ეპიზოდს, ნუ, იქ უნდა დაისვას კითხვები, რამდენად შესაძლებელი იქნება მისი შეპასუხების მოსმენა თქვენ მიერ გაკეთებულ განცხადებაზე, მეორე თემაა, ვნახოთ.

**რუსუდან შარაძე:** — ბოდიშს ვიხდი, **შოთაძეზე** მინდა ლაპარაკი, მონიშნულიც მაქვს, ამდენი წელი არ გამიშვია არცერთი ეთერი და მომენტი, რომ ეს არ მელაპარაკა, მაგრამ, პირველ რიგში, მინდა ვთქვა, რომ ეტყობა, **გოგაშვილზე** ბოლომდე ვერ გამოვხატე ჩემი სათქმელი. ასეთი შთაბეჭდილება დამრჩა, ქალბატონო თეა, თორემ **გოგაშვილი** არ იყო სახელმწიფოს სახე. გოგაშვილი უდრის საქართველოსო — ეს ჩემს სიცოცხლეში არ მითქვამს, ღმერთმა იმ დღეს მომკლას და არ მომასწროს.

**ირაკლი შოთაძეზეც** მინდა ორი სიტყვით ვთქვა, რომ მე ვარ უაღრესად მადლიერი ამ ადამიანის, პირველ რიგში, დამოკიდებულებისთვის მამაჩემის მიმართ. მერე კიდევ, 2012 წლამდე საერთოდ არაფერი არ იყო. იყო „მკვლელი“, „აღიარება“ და კაცი იხდიდა სასჯელს. დღეს გვყავს უამრავი მოწმე დაკითხული, არის ტომები შეკრული. **ირაკლი შოთაძემ უპრობლემოდ გადმომცა „ალდაგის“ ფირები, მამაჩემის მკვლელობის საქმე, ჩემი ძმის მკვლელობის საქმე, ასევე გადმომცა ქაროსანიძის საქმე. ეს გახლავთ მამაჩემის მორალური მკვლელი.**

**გურამ შარაძე** იყო ეროვნული მოღვაწე. 1996 წლიდან დაუპირისპირდა ჯორჯ სოროსს, მის ფონდს, დაუპირისპირდა თავისუფლების ინსტიტუტს, რადიო თავისუფლებას, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას, კავკასიურ სახლს. არ არსებობდა საკითხი საქართველოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი, რომ არ შეხებოდა. მას უნდოდა, ყოველი შემთხვევისთვის იბრძოდა, რომ სახელმწიფო რელიგიად მართლმადიდებლობა გამოცხადებულიყო, ის იბრძოდა იმ კაცთმოძულე სექტების წინააღმდეგ, რომლებიც ერთმანეთის სისხლს არ უსხამენ, დედა შვილს კლავს, შვილი — დედას, და — ძმას და ა.შ. **ის იბრძოდა პასპორტებში და დაბადების მოწმებებში ეროვნული რეკვიზიტების და მამის სახელის აღდგენისთვის.**

**სახელმწიფოს სიმბოლიკა, დროშა და მიხეილ სააკაშვილი — ეს ყველას ემახსოვრება. მამაჩემის ღრმა რწმენით და ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით, ეს დროშა არ არის ქართული. რომც ყოფილიყო, მერიის თავზე მისი აღმართვა უკანონო იყო. მაშინ სააკაშვილს სასამართლოც მოუგო.**

**გურამ შარაძეს** ფაშისტად რაცხავდა უფროსი თაობა, თვითონ ფაშისტები: **ლევან ბერძენიშვილი, ნაირა გელაშვილი, გურამ მამულია, ლანა ღოღობერიძე, გია ნოდია, დავით ზურაბიშვილი** და ღლაპები: **ბოკერია, რამიშვილი, თინა ხიდაშელი, ანა დოლიძე,** რომელიც მაშინ მთლად ღლაპი იყო. პირდაუბანელი — ზუსტად დაუძახა **ირაკლი ოქრუაშვილმა.** მას ერთადერთ რამეში ვეთანხმები. ნახეთ, რა ხალხია, დღესაც რომ ვერ გაძღნენ საქართველოს სისხლით, დღესაც ძირს უთხრიან ქვეყანას და ამაში ფულს იღებენ, რაც მთავარია. მერე სააკაშვილი შეუერთდა მათ თავისი ბანდით. ვინ იყო სააკაშვილი მაშინ, არავინ!

**თეა წულუკიანი: — თქვენ იქ „ჯენზი“ დაასახელეთ, რა შუაშია ლანა ღოღობერიძე, რატომ გყავთ სიაში?**

**რუსუდან შარაძე:** — რატომ მყავს? **ლანა ღოღობერიძეს** იმდენი უბედურება აქვს გაკეთებული, დავანებოთ თავი **ლევან ღოღობერიძის ასული** რომ არის. მარტო იმ წლებში თურქი მესხების პირობა მაგან დადო. ეროვნული საკითხები, რაც მე ჩამოვთვალე, ყველაფრის წინააღმდეგი იყო. „ჯენზი“ არასდროს ყოფილა, ყოველ შემთხვევაში ჩვენ არ გვინახავს მისი „ჯენზობა“, თუმცა, ამ ახალ ფრთაში იგულისხმება და ამ ვარსკვლავბიჭუნებში გადიოდა ქალბატონი ლანაც. იმდენი რამეა, ქალბატონო თეა, რომ ყველაფრის მოყოლა ფიზიკურად არ გამომივა, არც გამახსენდება და დროც არ მაქვს.

**გურამ შარაძეს, კაცს, რომელსაც კალმის მეტი ხელში არაფერი სჭერია, იცნობს მთელი საქართველო და დამიდასტურებს, ორჯერ იყო ციხეში. ორივეჯერ წვრილმანი ხულიგნობით. სააკაშვილმა ორჯერ დასაჯა.**

„ვარდების რევოლუცია“ მოვიდა და დაიწყო უარესი ტერორი ჩვენი ოჯახის მიმართ. გურამი იყო იძულებული, მიემართა საელჩოებისთვის, როგორი ტერორი გააჩაღა ვარდების ხელისუფლებამ მისი და მისი ოჯახის წინააღმდეგ, როგორ ემუქრებოდნენ. 22 ნოემბერს ხომ მოახდინეს სახელმწიფო გადატრიალება, ნოემბერი დამთავრებული არ იყო, **ნინო ბურჯანაძემ,** როგორც პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა, დაცვა მოუხსნა, რომელიც ედუარდ შევარდნაძემ დაყინებული მოთხოვნით დაუნიშნა, **ლაშა** რომ მოკლეს და რომ იცოდეთ, ჩემი ძმის **ლაშა შარაძის** მკვლელობაც გურამ შარაძის მკვლელობის ერთი მთლიანობაა!

**რუსუდან შარაძე:** — უღრმესი მადლობა, პირიქით, ბოდიშს ვიხდი, მაგრამ უნდა ვთქვა. **ოთარ ქაროსანიძე** სოროსისგან დაფინანსებული ადამიანია და მის სიტყვებს წავიკითხავ:

*„სიკვდილი ფაშიზმს, მიხარია, რომ მიზანი შესრულდა.* ***მიხარია, რომ გურამ შარაძე, როგორც ფაშისტი განეიტრალებულია!“***

ახლა შემდეგი, სასამართლოდან ამონარიდი: **„მე ვარ ათეისტი, თავისუფლების ინსტიტუტის მიმართ მაქვს სიმპათია, შარაძე არის ფაშიზმის ეტალონი, რაც გავაკეთე, გავაკეთე მთელი შეგრძნებით, შარაძე არის ნაცისტი, ფაშისტი და კაციჭამია, ის ტეხს რელიგიურ შუღლს, ის არის ცუდი პიროვნება, მეჯავრება, ვერ ვიტან, მეზიზღება, მეზიზღება, მეზიზღება, ის არის ფაშისტი და ამ ფაშისტმა დაატრიალა ყველანაირი უბედურებები!“**

ის გურამ შარაძის სიცოცხლეში, ჩემი აზრით, თავის გარემოცვას ახმოვანებდა. უკვე ორი დღის დახვრეტილს სწერდა: **„ხომ ჩაგაძაღლეს შე ფაშისტო, რა თქმა უნდა, პოლიტიკური მკვლელობა იყო, ფაშისტი იყო და იმიტომაც ჩააძაღლეს. ახია მაგაზე. მუსოლინის გვერდით დამარხეთ ეს გახრწნილი. ყველა ფაშისტს ეგრე მოუვა, ყველაფერი საკუთარ თავებს დააბრალეთ, თქვე კაციჭამიებო!“**

*კითხვაზე, ეს საიდან ამოწერეთ,* ***რუსუდან შარაძემ*** *უპასუხა:*

**— მამაჩემის მობილურიდან. მივედი პოლიციაში, რომ მამაჩემის ტელეფონი წამომეღო. ძველ ტელეფონებს, მოგეხსენებათ, დიდხანს ყოფნიდა ბატარიები. პოლიციელს არ გაუთიშავს და ნივთებს რომ ვიბარებდი, მესიჯები მოდიოდა.**

**თეა წულუკიანი:** — სააკაშვილი, ალბათ, ვივარაუდებ, მეც ხომ მაქვს ვარაუდის უფლება, ბუნებრივად, ვერ იქნებოდა მომხრე იმისა, რომ პასპორტში ჩაწერილიყო ეროვნება, ბევრი რამის მომხრე ვერ იქნებოდა, ამიტომ ის ანადგურებდა ავტორიტეტებს, ეს არის ძალიან მწირად ჩემი მხრიდან, რაც შეიძლება სხდომის დასასრულ ვთქვა. **აღარ დავსვამთ მეტ კითხვას. ძალიან ამომწურავად ისაუბრეთ. მეც შევწყვეტ საუბარს, თუმცა, მანამდე, სულ ორ წუთში, თქვენ რუსუდან შარაძეს რა გაქვთ აი, იმ პირველისთვის სათქმელი, რომელიც დღეს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაშია, ვგულისხმობ სააკაშვილს.**

**რუსუდან შარაძე:** — მიშა, ხომ ჩამოგიყვანა ღმერთმა შენი ფეხით, ახლა დაელოდე!

**თეა წულუკიანი: — ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ის ე.წ. პირველი, მეორე, მესამე და შემდგომი ნომრები, კოლექტიური ხუთიანი ველარ დაბრუნდეს ხელისუფლებაში!**

**რუსუდან შარაძე:** — უღრმესი მადლობა კიდევ ერთხელ და ათასჯერ!



წვრილმან ხულიგნობაში ბრალდებული გურამ შარაძის სასამართლო პროცესი. 2004

## ბოლოთქმა

როდესაც **გურამ შარაძე** სააკაშვილის ხელისუფლებამ წვრილმანი ხულიგნობის ბრალდებით დააკავა და სასამართლო პროცესზე მისი ისტორიული გამოსვლა **სტენოგრაფიული სიზუსტით** ჩავიწერე, ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი, რომ გამძვინვარებული რეჟიმი მალევე მას შუბლში ტყვიასაც დაახლიდა, ხოლო მკვლელობიდან 18 წლის შემდეგ **რუსუდან შარაძის** გამოსვლის **სტენოგრაფიული ჩანაწერის** გაკეთება მომიწევდა, სადაც, ალბათ, მეათასედ მოჰყვებოდა **გურამ შარაძის** მკვლელობის შემზარავ დეტალებს! დიახ, **მან შეძლო საკუთარი ბრძოლის, შრომის და ნერვების ფასად მოეპოვებინა მტკიცებულებები და გაეშიშვლებინა გურამ შარაძის მკვლელი რეჟიმი! ყველაფერი ხელისგულზე დევს! ახლა ხელისუფლების მოქმედების დროა, რომ ქართული ნიურნბერგის პროცესი შედგეს და, ბოლოს და ბოლოს, სიმართლემ იზეიმოს!**

*მოამზადა* ***ნატო ფოცხიშვილმა***

## კვირგვინოსნები

**ლევან ხაბეიშვილი**
*„ერთიანობა — ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტსაბჭოს თავმჯდომარე*



**ივანიშვილს** თუ ძალით არ გავიტანთ, არაფერი გამოვა, **ძალას უნდა დავუპირისპიროთ ძალა.**

„TV პირველი“

**ზურა ჯაფარიძე**
*„კოალიცია ცვლილებებისთვის“ წევრი*



რასაც რეჟიმი ოქტომბერში გეგმავს, **არჩევნები კი არა, სპექტაკლი იქნება** და მასში მონაწილეობა რეჟიმისთვის დახმარების გაწევაა.

„რეზონანსი“

**ელენე ხოშტარია**
*„დროას“ ლიდერი*



ისტორიულად ყოფილა ასეთი ეტაპები, როდესაც **აუღიათ იარაღი და ასე ამხობდნენ ერთ დღეს გასვლით ქუჩაში,** მაგრამ ეს ჩვენ არ გვინდა, ამ ქვეყანას არ სჭირდება და არ შეიძლება.

„რეზონანსი“

**კახა გოგოლაშვილი**
*ანალიტიკოსი*



სახეზეა **პუტინის** მხრიდან მანიპულირება **ტრამპის** გრძნობებით, მისი ამბიციებით და ა.შ. **შესაძლოა, სხვა ბერკეტებიც გააჩნდეს ტრამპის გასაჩუმებლად.**

„რეზონანსი“

**გიორგი ქობულია**
*ეკონომიკის ყოფილი მინისტრი*



საუბარია, **რუსეთთან ავიამიმოსვლის გაუქმებაზეც** — ეს არის მავნებლობა და **პირდაპირი დარტყმა ტურიზმის სექტორზე.**

„ახალი თაობა“

**ალექსანდრე რაჭიშვილი**
*გადასახადის გადამხდელთა კავშირის პრეზიდენტი*



კატასტროფაა, რაც ამ ქვეყანაში ხდება **პურის ფასებთან** მიმართებით; 35 წელია, **პურის 5-10 თეთრით გაძვირება** ქვეყნის რყევებს იწვევს, რადგან მოსახლეობა არის ღარიბი.

„ახალი თაობა“



## მამა არჩილი (მინდიაშვილი):

# კატასტროფებისა და ომების ნამდვილი მიზეზი არის ადამიანი და მისი ცოდვა!

***80-იან წლებში ეროვნული მოძრაობის ფონზე, როდესაც ერი ეკლესიას მასობრივად დაუბრუნდა, ასპარეზზე გამოჩნდა ჭეშმარიტი სულიერი მოძღვარი, დეკანოზი არჩილ მინდიაშვილი, რომელიც უფლის მეორედ მოსვლამდე იბერიის გაბრწყინებაზე მჭევრმეტყველურად ქადაგებდა. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, გაბრწყინების ნაცვლად, საქართველომ მრავალი ფათერაკი გადაიტანა და ამჟამადაც არანაკლებ განსაცდელში იმყოფება... რას ფიქრობს საქართველოს აწმყოსა და მომავალზე, ქვეყნის საშინაო თუ საგარეო ორიენტაციაზე უფლის სადიდებლად დაუღალავი მლოცველი? სოციალურ ქსელებში მისი ქადაგებებიდან ამონარიდები ვიდეორგოლების სახით ვრცელდება:***

ერი გადაშენების გზაზეა, მილიონნახევარი გაქცეულია გარეთ, ზოგი — საშოვარზე, ზოგი — ნებიერი ცხოვრებისთვის. რომც დაბრუნდნენ, რას შემოიტანენ იქიდან? როგორც წესი, ქართველები მხოლოდ ცუდს ითვისებენ. **ჩვენი წინაპრები კი ასე არ იქცეოდნენ, საუკეთესოს იღებდნენ სხვადასხვა კულტურებიდან, ნერგავდნენ და ქართულ სულს შთაბერავდნენ და არა ასე — ბრმად გადმოეტანოთ საქართველოში, დაემონებინოთ უცხოთა ჩვეულებებისთვის ქართველი ერი და შეებილწათ ჩვენი ცნობიერება!**

•

სიცილ-კისკისით გავდივართ წუთისოფელზე. როდესაც ცუდი ამინდია, სევდისკენ ეწევა ადამიანს. ზოგს სინანულისკენ ეწევა, ზოგში გაურკვეველ შიშებს ბადებს. **ისწავლეს გამოსავალი ადამიანებმა: შედიან ინტერნეტში და ერთობიან სხვადასხვა შოუთი, გარყვნილებით, იუმორისტული ჩანაწერებით... მიდიან ბარებში, ღამის კლუბებში, რესტორნებში...** სინამდვილეში ამ ყველაფერს, რაც ჩამოვთვალე — უამინდობას ადამიანი იწვევს თავისი ცხოვრების წესითა და მრწამსით! **ძალიან მძიმე და კატასტროფული მიწისძვრებია მოსალოდნელი. ამ ყველაფერს, წმინდა ბიბლია როგორც გვასწავლის და წმინდა მამები როგორც განმარტავენ, იწვევს ადამიანის მრწამსი და ცხოვრების წესი!** ომებისა და კატასტროფების ნამდვილი მიზეზი არის ადამიანი და მისი ცოდვა! რაც უფრო დაეცემა ზნეობრივად ადამიანი, მით უფრო შეირყვნება ბუნებაც!



•

გვისახავენ, თითქოს სამოთხეა **ევროკავშირი.** არადა, ერთ-ერთი, რის გამოც იქ მიდიან — მატერიალური კეთილდღეობაა. მთელი ცხოვრება რომ იქ შრომობ და ჩამოხვალ დაძაბუნებული, რა ფასი აქვს შენს სიცოცხლეს? მე კიდევ მესმის, რომ ამას შვილისთვის და მოყვასისთვის აკეთებ, მაგრამ ეგეც არ უნდა გააკეთო! **შენ როცა ამას აკეთებ, შენს ქმარს საყვარელი ჰყავს (ბევრს, რომ იცოდეთ!), ჯიპებით დადიან და ღიპებით! როგორ დაუშვეს — ცოლი გაგზავნო გადასაკარგში, იშრომოს, წელებზე ფეხი დაიდგას, ვიღაც მოხუცებს უაროს, ღამის ქოთნებით იაროს და თვითონ ან თუნდაც შვილებმა აქ სიამით იცხოვრონ?!** გაუგებარი რამეა! ცოტათი წამოაყენე ფეხზე ოჯახი? — მაშინვე დაბრუნდი საქართველოში! **გერჩიოთ, ნახევარი პური ჭამოთ სამშობლოში, რადგან თქვენ რომ მიდიხართ, აქ სხვები შემოდიანო — უთქვამს პატრიარქს!** მართლაც, თქვენ გარბიხართ, აცარიელებთ და ყიდით საქართველოს; ისინი მოდიან და ყიდულობენ! რომელი რჯული არ შემოდის აქ — წარმართები თუ მწვალებლები... ასე თუ გაგრძელდება, ჩვენი ქვეყანა გახდება გასართობი ადგილი, ტურისტების გადასასვლელი გზაჯვარედინი. მიგრაციები გლობალური ხელისუფლების დაშვებულია, რომ ერთობა ერში არ იყოს! განა როგორ უნდა მივაღწიოთ ერთობას ასეთ ჭრელ ხალხში, რომელმაც ჩემი ენა, ისტორია და კულტურა არ იცის...

•

დაუდევრები და ღვთისგან გაუცხოებულები მოიყვანენ ანტიქრისტეს და მის მხედრობას! ჩვენ რომ სინანულში და სიწმინდეში ვყოფილიყავით, ხსენებაც არ იქნებოდა არც მისი და არც მისი მხედრობის, მაგრამ... როგორც ხშირად გვითქვამს, **ის კი არ შემოგვილეწავს ძალით დედამიწაზე კარს, ჩვენ მოვიყვანთ იმათ!** განა არ იზიდავს ეშმაკს და ანტიქრისტეს, რაც დედამიწაზე ხდება? ამდენი უსამართლობა, სისხლისღვრა, აცრემლებული თვალები, დაობლებული ბავშვები, შიმშილი, წყურვილი და სხვა... **ანტიქრისტეს მოსვლაც და გამეფებაც ლოგიკური იქნება!** მაგრამ სულს რომ ამოხდის ადამიანს და თავისუფალი ნება

## „ეს არის ევროსაგიჟეთი! ღმერთმა დაიფაროს საქართველო, ოდესმე ამ საგიჟეთში მოხვდეს!“

## კვირგვინოსნები

**მამუკა ქლენჩი**
*„საქართველოს ევროპული ფასეულობათა ინსტიტუტის“ თანადამფუძნებელი*



თუ ღიფ სთეითი სადმე არსებობს, ის საქართველოში არსებობს, ჩვენს ქვეყანაში **რეალურ გადაწყვეტილებებს არ იღებს არც პრემიერ-მინისტრი, არც პარლამენტი.** ღიფ სთეითი არის ბიძინა ივანიშვილი და მისი გარემოცვა.

„ახალი თაობა“

**ამირან სალუქვაძე**
*ანალიტიკოსი*



თუ ევროპის შეფასებით, რუსეთს შესწევს უნარი, ნახევარმილიარდიან გაერთიანებას დაუპირისპირდეს, მაშინ **რატომ უკვირთ, რომ ჩვენ არ გვინდა რუსეთთან სამხედრო დაპირისპირება?!** ეს საინტერესო კითხვაა და უნდა დავუსვათ ევროპელებს.

„თბილისელები“

**ბერდია სიჭინავა**
*„გახარია საქართველოსთვის“ წევრი*



ზოგიერთი პოლიტიკური ძალა ამბობს — **„არ მივიღებთ ამ არჩევნებში მონაწილეობას“**, დადგება 4 აგვისტო, როდესაც **სიებსაც წარადგენენ, საარჩევნო რეგისტრაციასაც გაივლიან** და მერე უტიფრად დაგელაპარაკებიან, რომ ხმა უნდა მისცეთ მათ.

„რეზონანსი“

**ზურაბ სიხარულიძე**
*ნარკოლოგი*



ახლა სკოლის დამთავრების ბანკეტები იწყება, **დარწმუნებული ვარ, ძალიან ბევრი მოიხმარს ნარკოტიკს და ეს დიდი რისკია.** ჩვენ ნარკოტიკების სახით **რამდენიმეთავიანი გველეშაპი** გვყავს, ერთ თავს რომ მოაცლი, მეორე და მესამე ამოდის. სამივე უნდა მოვაცალოთ, რომ დაბალანსდეს ვითარება.

„კვირის პალიტრა“




დნენ. ასეთები ქრისტემ გაყარა ტაძრიდან ბზობას, დიდებით როცა შევიდა იერუსალიმში!

•

მართლმადიდებელ ქვეყნებს შეებრძოლება მთელი დანარჩენი მსოფლიო, რომელიც პრაქტიკულად არის წარმართული. ევროპა დიდი ხანია, ქრისტიანული აღარ არის. კი, ქრისტიანულ ფესვებზე დგას, მაგრამ დღეს ანტიქრისტიანული მსოფლმხედველობა აქვს და ცხოვრების წესი. **ეს ომი ყველაზე სასტიკი იქნება, გაიმარჯვებენ მართლმადიდებლები, კონსტანტინოპოლს ბერძნებს გადასცემენ.** ამაზე იმდენი წინასწარმეტყველება არსებობს, რომ თავს აღარ შეგაწყენთ. **უკანასკნელი ომი იქნება წმინდა მიწაზე — არმაგედონის ომი.** მქონდა სიხარული, ვყოფილიყავი თაბორის მთის ძირში აბრაამის გზაზე... თვალს ვერ მიაწვდენ... **აი, აქ იქნება უკანასკნელი ომი, სადაც მარტო ჩინელები იქნებიან 200 მილიონი.** თან ისინი ჩამოვლენ კონკრეტული წინასწარმეტყველებით... **დამშრალი ევფრატის კალაპოტი...** სულ გვიკვირდა, როგორ უნდა დაშრეს ასეთი წყალუხვი მდინარე, მაგრამ დღეს უკვე ვხედავთ და მე მაქვს დოკუმენტური კადრები ნანახი, ფონს პოულობენ და ადგილობრივი მოსახლეობა გადადის მეორე ნაპირზე ფეხით. და ახლა მეტადრე, როცა თურქეთი და სირია კაშხალს აშენებენ, საერთოდ დაშრება ეს მდინარე, ანუ **ახდება ძველი აღთქმის წინასწარმეტყველება, დანიელისგან ნაწინასწარმეტყველები და არაერთი თანამედროვე მამისგან.** და ამ ომში, სადაც რუსები, ბელორუსები და უკრაინელები შეერთდებიან, ცოტა მოგვიანებით მართლმადიდებელი ბერძნებიც მიუერთდებიან!

*ვიდეორგოლების მიხედვით მოამზადა*
**ზაზა დავითაია**

რომ წაერთმევა, მერეღა მიხვდება, ვის განუდგა და ვის ემონა! მაგრამ დაბეჭდილები გამოსავალს ვეღარ ნახავენ! ისინი არ იქნებიან შეწყნარებულნი.

•

წინასწარმეტყველება არსებობს მურუელი მამისა: **დადგება დრო, დიდი რუსეთი პატარა საქართველოს მუხლებზე დაუდგება და პატიებას სთხოვს ყველა იმ ბოროტებისთვის, რაც შეამთხვია!** ახლა, რაც შეეხება ევროპას, დღეს რომ გაცხარებულა და ჩვენით უნდა დაიწყოს ამერიკის წინაშე თავისი „ღირსების“ ჩვენება. მაგათ საქართველო პატარა ჰგონიათ, მაგრამ რა იციან ჩვენი ისტორია. ჩვენ პურიც კი ისეთი შევქმენით, ხორბალი, მთელი ლაშქარი რომ გადაივლიდა, ისევ ფეხზე დგებოდა და ქართველ მეომარს და ქართველ კაცს მაინც აპურებდა. ჩვენი გენები უძველესია. ჩვენ ბიბლიური მოდგმა ვართ. გადაშალეთ წმინდა წერილი: **თობალი, მოშოქი და მესხი — ქართველები არიან, ქართველური ტომებია!**

•

იცით, ვის სჭირდება ჭირიანი ევროკავშირი?! ? აი, ნებიერი ცხოვრება რომ უნდათ, ნარკოტიკები, გარყვნილება, მამათმავლობა, ტრანსგენდერობა და სიგიჟე... **ყოველივე ამიდან და არამხოლოდ ამიდან გამომდინარე, ეს არის ევროსაგიჟეთი!** მე, ქართველი მღვდელი ვამბობ: **ღმერთმა დაიფაროს საქართველო, რომ ამ საგიჟეთში ოდესმე მოხვდეს ან ნებსით, ან უნებლიეთ.** ათეული საუკუნეები ეგენი ნატრობენ ანტიქრისტეს გამეფებას ყველა ხალხსა და ტომზე. მათგანმოდის ეს ეთნოკონფლიქტები და ომები.

•

სამღვდელოებამ ფული არ უნდა აიღოს, მაგრამ შენ უნდა შესწირო. **იმიტომ, რომ ქრისტეს და მის მოციქულებსაც სწირავდნენ, მადლიერების ნიშნად, მადლიერების გრძნობიდან ასე თქვენც ამოდიხართ და სწირავთ.** არ უნდა დააწესო — ნათლობა ღირს ამდენი, ჯვრისწერა — იმდენი, ეს არის ყოვლად მიუღებელი, ეს არის ვაჭრობა ქრისტეს ტაძარში. ზოგი იმგვარი მღვდელი რომ ვაჭრობს სწორედ ქრისტეს სახელით, ასეთ ეკლესიას „შტრაფნიკების“ ეკლესიას ეძახ-



## „გაიმარჯვებენ მართლმადიდებლები, კონსტანტინოპოლს ბერძნებს გადასცემენ!“

## საეკლესიო კალენდარი

✝ **26 მაისი. ორშაბათი. ღირსისა ექვთიმე მთაწმიდელისა, მთარგმნელისა;** ღირსთა მოწამეთა, ათონის მთაზე ლათინთაგან მოწყვეტილთა; მოწამეთა: გლიკერია ქალწულისა და მისთანა ლაოდიკესი, დილეგის მცველისა; პავსიკაკოსი, სინადელი ეპისკოპოსისა; წმიდათა: გიორგი აღმსარებელისა, მეუღლისა მისისა ირინესი და შვილთა მათთა.

✝ **27 მაისი. სამშაბათი.** მოწამისა ისიდორესი; მოწამისა მაქსიმესი; ღირსისა სერაპიონ სინდონიტისა; ლეონტისა, იერუსალიმელი პატრიარქისა.

✝ **28 მაისი. ოთხშაბათი. ღირსისა პახუმი დიდისა;** ღირსისა პიროს ბრეთელისა; აქილე ლარისელი ეპისკოპოსისა.

✝ **29 მაისი. ხუთშაბათი. ამაღლება უფლისა ჩვენისა იესუ ქრისტესი. მოწამეთა ქართველთა, ქრისტეს სარწმუნოებისათვის ფერეიდანში სპარსთაგან მოწყვეტილთა;** ღირსისა თეოდორე განწმედილისა; მღვდელმოწამისა ალექსანდრესი, იერუსალიმელი ეპისკოპოსისა; მოწამეთა: ვიტესი, მოდესტისა და კრისკენტიასი; ნეტარისა ყრმისა მუზა ქალწულისა; ღირსთა მამათა, წმიდა საბას ლავრაში გვემულთა; გიორგი მეორისა, მიტილენელი ეპისკოპოსისა.

✝ **30 მაისი. პარასკევი. შემდგომი დღესასწაული ამაღლებისა;** მოციქულისა ანდრონიკესი და წმიდისა იუნიასი; მოწამეთა: სოლოქონისა, პამფამირესი და პამფალონ მხედართა; სტეფანესი, კონსტანტინოპოლელი პატრიარქისა.

✝ **31 მაისი. შაბათი. წმიდათა მამათა შვიდთა მსოფლიოთა კრებათა;** წმიდათა მოწამეთა ძმათა: დავითისა და ტირიჭანისა და დედისა მათისა თაგინესი; მოწამისა თეოდოტე ანკვირელისა და შვიდთა ქალწულმოწამეთა: ალექსანდრასი, ტეკუსასი, კლავდიასი, ფაინასი, ევფრასიასი, მატრონასი და იულიასი; მოწამეთა: პეტრესი, დიონისესი, ანდრიასი, პავლესი და ქრისტინესი; მოწამეთა: სვიმეონისა, ისააკისა და ბაქტისისა; მოწამეთა: ირაკლისი, პავლინესი და ბენედიმესი.

✝ **1 ივნისი. კვირა. აღდგომიდან მე-7, I მსოფლიო კრების წმიდათა მამათა კვირიაკე.** მოციქულთა სწორთა: **მეფისა მირიანისა და დედოფლისა ნანასი; წმიდისა დედისა ჩვენისა მოციქულთა სწორისა ქალწულისა ნინოსი;** იოანე გუთელი ეპისკოპოსისა; მღვდელმოწამეთა: პატრიკისა, პრუსელი ეპისკოპოსისა და მისთანა აკაკი, მენანდრო და პოლიენო ხუცესთა; მოწამისა კალუთა ეგვიპტელისა; კეთილმსახურისა მთავრისა დიმიტრი დონელისა.



**1 ივნისი — ხსენება წმიდისა დედისა ჩვენისა მოციქულთა სწორისა ქალწულისა ნინოსი**

## კვირგვინოსნები

**მარიკა ებრალიძე**
*მომღერალი*



სანამ სარკეში ჩავიხედავ, **ისევ ის ხუჭუჭა, პატარა, სიფრიფანა გოგო მგონია ჩემი თავი,** ისეთი, როგორიც ოცი წლის წინ ვიყავი. **ახლა ნაოჭებსაც დავუწყე თვალიერება,** არც ისეთი დიდი ვარ — **40 წლის.**

„თბილისელები“

**დავით ოქიტაშვილი**
*„კულტურის პალიტრის“ პრეზიდენტი*



სოფიკო ჭიაურელი ამბობდა — **თუ წარმატება თავში აგივარდა და ადამიანებს ზემოდან ყურება დაუწყე, ჩათვალე, დამარცხდი.** იმ თაობას სულ სხვა ხიბლი, სიღრმე და შინაარსი ჰქონდა.

„კვირის პალიტრა“

**მანე მურღულია**
*მომღერალი*



ისეთი **დიეტაც** დამიცავს, **შიმშილით გული წამსვლია.**

„თბილისელები“

**ნანა დაუშვილი**
*კომპოზიტორი*



სიმღერების ძირითადი ნაწილი **ღამის საათებში მაქვს შექმნილი,** თუმცა, **ტრანსპორტშიც დამიწერია.**

„თბილისელები“

**თაკო კაკალაშვილი**
*მომღერალი*



**ჩემი ქორწილი სადა და მოკრძალებული ვერ გამოვა,** უამრავი მეგობარი მყავს და მათ შორის, ბევრი მომღერალი. ზუსტად ვიცი, **ჩემი ქორწილი ჩვეულებრივი სოლო კონცერტი იქნება.**

„თბილისელები“

# ტყუპების ზოდიაქოს ნიშანი –

*ტყუპები ზოდიაქოს მესამე ნიშანია, მათი მმართველია პლანეტა მერკური და ასოცირდება ჰაერის სტიქიასთან. ამ ზოდიაქოს ნიშნით დაბადებული ადამიანები არიან ენერგიულნი, საინტერესო მოსაუბრეები, იდეებით სავსენი, აქვთ მრავალფეროვანი ინტერესები და მუდამ ინფორმაციის ძიებაში არიან. თუმცა, ახასიათებთ მერყევი ბუნებაც და გადაწყვეტილების მიღების სირთულეც. მაისში დაბადებული ტყუპები არიან ცნობისმოყვარენი, მოლაპარაკებების ოსტატები, სწრაფად ეგუებიან ახალ გარემოებებს და ცდილობენ, არ გაჩერდნენ ერთ ადგილას. მოსწონთ მოგზაურობა, ახალი მეგობრები და, საერთოდ, ყველაფერი ახალი.*

## ზოდიაქოს ნიშნები

**ვერძი:** 21 მარტი — 20 აპრილი; **კურო:** 21 აპრილი — 20 მაისი; **ტყუპები:** 21 მაისი — 22 ივნისი; **კირჩხიბი:** 23 ივნისი — 22 ივლისი; **ლომი:** 23 ივლისი — 23 აგვისტო; **ქალწული:** 24 აგვისტო — 23 სექტემბერი; **სასწორი:** 24 სექტემბერი — 22 ოქტომბერი; **ღრიანკალი:** 23 ოქტომბერი — 22 ნოემბერი; **მშვილდოსანი:** 23 ნოემბერი — 21 დეკემბერი; **თხის რქა:** 22 დეკემბერი — 19 იანვარი; **მერწყული:** 20 იანვარი — 18 თებერვალი; **თევზები:** 19 თებერვალი — 20 მარტი.





**1872 წლის 28 მაისს, მაიმუნის წელიწადში,** დაიბადა რეჟისორი, საქართველოს სახალხო არტისტი, ქართული საბჭოთა თეატრის დამაარსებელი **კოტე მარჯანიშვილი.** გარდაიცვალა 61 წლის ასაკში, მამლის წელიწადში.



**1876 წლის 28 მაისს, ვირთხის წელიწადში,** დაიბადა მოქანდაკე, საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი, თბილისის სამხატვრო აკადემიის ერთ-ერთი დამაარსებელი **იაკობ ნიკოლაძე.** გარდაიცვალა 94 წლის ასაკში, კურდღლის წელიწადში.



**1886 წლის 29 მაისს, ძაღლის წელიწადში,** დაიბადა საფრანგეთში მოღვაწე ქართველი მხატვარი **ვასილ ჯორჯაძე.** გარდაიცვალა 66 წლის ასაკში, დრაკონის წელიწადში.



**1934 წლის 28 მაისს, ძაღლის წელიწადში,** დაიბადა მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი **ლია ელიავა.** გარდაიცვალა 64 წლის ასაკში, ვეფხვის წელიწადში.



**1909 წლის 29 მაისს, მამლის წელიწადში,** დაიბადა ბალერინა, საქართველოს სახალხო არტისტი, 1930-1960 წლებში თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი **მარიამ ბაუერი.** გარდაიცვალა 86 წლის ასაკში, ღორის წელიწადში.



**1924 წლის 29 მაისს, ვირთხის წელიწადში,** დაიბადა მსახიობი, რეჟისორი, საქართველოს სახალხო არტისტი **ბიბა ჯაფარიძე.** მისი ინიციატივით რაჭაში, ამბროლაურში, დაარსდა სახალხო თეატრი. გარდაიცვალა 79 წლის ასაკში, თხის წელიწადში.

**1914 წლის 30 მაისს, ვეფხვის წელიწადში,** დაიბადა მეც-

# მიმდინარე კვირა: 25 მაისი - 1 ივნისი

## ტყუპების ნიშნით დაიბადნენ ცნობილი ქართველები:



**1940 წლის 26 მაისს, დრაკონის წელიწადში,** დაიბადა კინორეჟისორი და სცენარისტი **თემურ ფალავანდიშვილი.** ფილმების — „მზე შემოდგომისა" და „რაჭა, ჩემო სიყვარულო" რეჟისორი.



**1984 წლის 26 მაისს, ვირთხის წელიწადში,** დაიბადა სპორტსმენი, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, 2017 წელს კარატეს საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული **გოგიტა არქანია.**



**1940 წლის 27 მაისს, დრაკონის წელიწადში,** დაიბადა რეჟისორი, სცენარისტი და მსახიობი, ხელის ჩრდილების თეატრის „ბუდრუგანა-გაგრას" დამფუძნებელი **ბელა კანდელაკი.**



**1960 წლის 28 მაისს, ვირთხის წელიწადში,** დაიბადა ფეხბურთელი, საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი, საბჭოთა კავშირის თასისა და თასების მფლობელთა თასის მფლობელი **ნუკრი კაკილაშვილი.** იცავდა თბილისის „დინამოს" ღირსებას.



**1986 წლის 31 მაისს, ვეფხვის წელიწადში,** დაიბადა მომღერალი, კონკურს „ევროვიზია 2007"-ის საქართველოს წარმომადგენელი **სოფო ხალვაში.** აღიარება მოუტანა ფესტივალმა „ახალი ტალღა".



**1968 წლის 1 ივნისს, მაიმუნის წელიწადში,** დაიბადა მსახიობი და ჟურნალისტი **ნინო ქირთაძე.** 1992-1994 წლებში იყო საქართველოს პრეზიდენტის კონსულტანტი, 1997 წლიდან ცხოვრობს საფრანგეთში.

## ტყუპების ნიშნით იყვნენ დაბადებულნი:



**1842 წლის 26 მაისს, ვეფხვის წელიწადში,** დაიბადა მწერალი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე **გიორგი წერეთელი.** გარდაიცვალა 57 წლის ასაკში, ღორის წელიწადში.



**1935 წლის 26 მაისს, ღორის წელიწადში,** დაიბადა დირიჟორი, კომპოზიტორი და მომღერალი, საქართველოსა და საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი **ჯანსუღ კახიძე.** გარდაიცვალა 66 წლის ასაკში, ვეფხვის წელიწადში.



**1937 წლის 26 მაისს, ხარის წელიწადში,** დაიბადა მსახიობი **გოჩა აბაშიძე.** კინოში იღებდნენ 1954 წლიდან, ითამაშა ნიკოლოზ სანიშვილის, რეზო ჩხეიძის, ლეო ესაკიას, კონსტანტინე პიპინაშვილის ფილმებში. თავი მოიკლა 24 წლის ასაკში, ხარის წელიწადში.



**1939 წლის 26 მაისს, კურდღლის წელიწადში,** დაიბადა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერი, დისიდენტი, საქართველოს ეროვნული გმირი **მერაბ კოსტავა.** ტრაგიკულად დაიღუპა 50 წლის ასაკში, გველის წელიწადში.



**1944 წლის 26 მაისს, მაიმუნის წელიწადში,** დაიბადა პოეტი, პროზაიკოსი და მთარგმნელი **ბივი ალხაზიშვილი.** გარდაიცვალა 77 წლის ასაკში, ხარის წელიწადში.



**1913 წლის 27 მაისს, ხარის წელიწადში,** დაიბადა ლიტერატურათმცოდნე, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, გერმანისტი **მიხეილ კვესელავა.** მონაწილეობდა ნიურნბერგის პროცესში. გარდაიცვალა 68 წლის ასაკში, მამლის წელიწადში.



**1894 წლის 27 მაისს, ცხენის წელიწადში,** დაიბადა მხატვარი, გრაფიკოსი, კარიკატურისტი და თეატრალური მხატვარი **შალვა ქიქოძე.** ხატავდა მარცხენა ხელით. გარდაიცვალა 27 წლის ასაკში, მამლის წელიწადში.



**1929 წლის 27 მაისს, გველის წელიწადში,** დაიბადა საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი, ლიტერატურათმცოდნე **ნოდარ ნათაძე.** გარდაიცვალა 93 წლის ასაკში, ვეფხვის წელიწადში.



**1929 წლის 27 მაისს, გველის წელიწადში,** დაიბადა თბილისის კიროვისა და ორჯონიკიძის სახელობის რაიონული კომიტეტების პირველი მდივანი, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანი, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი, საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ყოფილი მოადგილე **ვიქტორია სირაძე.** გარდაიცვალა 94 წლის ასაკში, დრაკონის წელიწადში.



**1930 წლის 27 მაისს, ცხენის წელიწადში,** დაიბადა მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი **დურუ ხუნწუა** მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმიდან „რეკორდი" — **მანუჩარ შერვაშიძე.** გარდაიცვალა 91 წლის ასაკში, ძაღლის წელიწადში.

## ასტროლოგიური კვირა მიხეილ ცაგარელის მიხედვით

### 26 მაისი , ორშაბათი

**მზე** იმყოფება ტყუპების ზოდიაქოში. ამოდის 04.32 საათზე. ჩადის 19.24 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს ტყუპების ზოდიაქოში 21.23 საათზე (მთვარის 29-ე დღე იწყება 04.05 საათზე. მე-4 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 17.53 საათიდან 21.23 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** რთული დღეა, ძლიერდება ინტუიცია. საყვარელ ადამიანებთან შესაძლებელი იქნება ურთიერთობების ჰარმონიზაცია, ძველი ნივთებისაგან გათავისუფლება, სარემონტო სამუშაოების ჩატარება. პარტნიორულ ურთიერთობებში შეიძლება მომავლის დაგეგმვა. ეფექტურია შარდსასქესო სისტემის მკურნალობა. ტრავმული დღეა. მოერიდეთ ყვირილს, განკითხვას, გაკიცხვას, ორპირ ქარს, კისრის მკვეთრ მოძრაობებს, ხალების და პაპილომების მოშორებას, ცივ გაზიან სასმელებს, ყურების გახვრეტას, სარისკო მოქმედებებს, სულსწრაფ გადაწყვეტილებებს, აკონტროლეთ საფული. სასიკეთო დღეა ქორწინებისთვის, ახალი ნაცნობობისთვის, დიზაინისთვის, კულტურული ღონისძიებებისთვის, ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, პარფიუმერიის, კოსმეტიკის, სამშენებლო მასალების, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვისთვის, მშენებლობისთვის, ვაჭრობისთვის, მგზავრობისთვის, მცენარეთა დარგვა-გადარგვისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ყელი, ენდოკრინული სისტემა, სწორი ნაწლავი. **ქვები:** აქატი, მალაქიტი, ონიქსი, თოფაზი, მარჯანი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ლომისთვის, სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის.

### 27 მაისი, სამშაბათი

**მზე** იმყოფება ტყუპების ზოდიაქოში. ამოდის 04.32 საათზე, ჩადის 19.25 საათზე. **მთვარე** იმყოფება ტყუპების ზოდიაქოში. ამოდის 04.09 საათზე, ჩადის 20.21 საათზე (მთვარის 30-ე დღე იწყება 04.28 საათზე, ახალი მთვარე და I დღე. I ფაზა (07.02). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები: დღეს ახალმთვარეობაა — მზის და მთვარის ენერგიათა შეერთება ტყუპების ზოდიაქოში** მეტად განაპირობებს ტრავმებს, ავარიებს, კონფლიქტებს, ცდუნებებს, შეცდომებს, აგრესიას, დეპრესიის გამოვლენას, ჯანმრთელობის გაუარესებას და სხვა ნეგატიურ გამოვლინებებს, იყავით ყურადღებით. ახალ საქმეს ნუ დაიწყებთ, ხელშეკრულებებს ნუ დადებთ, საქმეები გადადეთ შეძლებისდაგვარად. დღე მშვიდად გაატარეთ. ილოცეთ და დალოცეთ ყველა. საკვებ რაციონში ნუ შეიტანთ რძის ნაწარმს, ხორცეულს, ალკოჰოლურ სასმელებს. მოერიდეთ ფულის გასესხება-სესხებას, ქორწინებას, პარტნიორულ თანამშრომლობას, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვას, სამსახურში ახალი თანამშრომლების მიღებას, რემონტის დაწყებას, მანიკიურ-პედიკიურს, თმების შეჭრა-შეღებვას. მაღალია დაცინვის, ჭორების, მოტყუების, ქურდობის ალბათობა. საიდუმლოს ნუ გათქვამთ, ინფორმაცია გადაამოწმეთ. კარგი დღეა აუქციონებისთვის, სამეცნიერო კვლევებისთვის, მავნე ჩვევებისგან გათავისუფლებისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ფილტვები, ხელები, მხრები, ბრონქები. **ქვები:** თოფაზი, აქვამარინი, ლაბრადორი, გიშერი, ამაზონიტი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, ტყუპებისთვის. **ნეგატიურია** ღრიანკალისთვის, თხის რქისთვის.

### 28 მაისი, ოთხშაბათი

**მზე** იმყოფება ტყუპების ზოდიაქოში. ამოდის 04.31 საათზე, ჩადის 19.26 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს კირჩხიბის ზოდიაქოში 21.25 საათზე. ამოდის 05.02 საათზე, ჩადის 21.32 საათზე (მთვარის მე-2 დღე იწყება 05.07 საათზე. I ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 17.02 საათიდან 21.34 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** გონების, ინტუიციის მმართველი **პლანეტა მერკური 9 ივნისამდე გადაინაცვლებს ტყუპების ზოდიაქოში** და ამ ზეგავლენის შედეგად მეტად განავითარებს ადამიანებში კომუნიკაბელურობას, გონებამახვილობას, უცხო ენების ათვისების სწრაფ უნარს, მგზავრობისადმი მიდრეკილებას, იუმორს, ანალიზის და ლოგიკის გამოვლენას, ამავდროულად განავითარებს სულსწრაფობას, ზედაპირულობას, ათი საქმის ერთად დაწყებას, მერყეობა-გაორებას, დაცინვას. კარგი დღეა ერთობლივი მუშაობისთვის, ვაჭრობისთვის, ინფორმაციის გაცვლისთვის. აკონტროლეთ ემოცია, ნუ იკონფლიქტებთ. საქმეც შეიძლება შენელდეს, მოიმატებს ამბიციურობა და აგრესიულობა. პარტნიორულ ურთიერთობებში სერიოზულ თემებზე ნუ ისაუბრებთ. შედეგიანია ღვიძლის, ნაღვლის ბუშტის, საზარდულის მკურნალობა. მოერიდეთ თამბაქოს, ზედმეტი ინფორმაციით ტვინის გადაღლას, ქორწინებას, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვას, ახალი საქმის დაწყებას, მანიკიურ-პედიკიურის გაკეთებას, თმების შეჭრა-შეღებვას. კარგი დღეა საბანკო ოპერაციებისთვის, სამეცნიერო კვლევისთვის, მშენებლობისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ფილტვები, ბრონქები, ხელები, მხრები. **ქვები:** თოფაზი, აქვამარინი, ამაზონიტი, ზურმუხტი. **პოზიტიური დღეა** ლომისთვის, სასწორისთვის, ღრიანკალისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის, თევზებისთვის.

### 29 მაისი, ხუთშაბათი

**მზე** იმყოფება ტყუპების ზოდიაქოში. ამოდის 04.30 საათზე, ჩადის 19.27 საათზე. **მთვარე** იმყოფება კირჩხიბის ზოდიაქოში. ამოდის 06.07 საათზე, ჩადის 22.29 საათზე (მთვარის მე-3 დღე იწყება 06.10 საათზე. I ფაზა). **ტენდენციები:** აკონტროლეთ აზრები და ემოციები. კარგი დღეა ვაჭრობისთვის და კარგად მოფიქრებული საქმეებისთვის. პარტნიორულ ურთიერთობებში მოიმატებს სანდოობა და გულახდილობა. შედეგიანია კბილების, ძვლების, სახსრების, ხერხემლის, კანის, მუხლების მკურნალობა. საკვებ რაციონში მეტად შეიტანეთ ხილი, ბოსტნეული, კენკრა, რძის ნაწარმი. ნეგატიური დღეა ქორწინებისთვის, სახლის მშენებლობის დასაწყებად, ადგილსამყოფლის შესაცვლელად, სესხის ასაღებად. საბუთები გადაამოწმეთ, სანამ საბუთებს ხელს მოაწერთ, მაღალია ფინანსური შეცდომების ალბათობა. კარგი დღეა ვაჭრობისთვის, საოჯახო-სანათესაო ურთიერთობისთვის, ტრადიციებში ჩასაღრმავებლად, სასამართლო პროცესების დასაწყებად, ცხოველების, საყოფაცხოვრებო ნივთების, კულინარიისა და ფოტოგრაფიისთვის, შემოქმედებითი მუშაობისთვის, ბავშვის ჩასახვისთვის, ხალხური შემოქმედებისა და მათი ნიმუშების შესაძენად, პომიდვრის, ბადრიჯნის და სხვა ბაღჩეულის დარგვისთვის, პარკოსნების თესვისთვის, ხეხილის მყნობისთვის, მცენარეების დარგვა-გადარგვისა და მორწყვისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია კუჭი, მკერდი, ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი. **ქვები:** ზურმუხტი, აქატი, რაუხტოპაზი, ოპალი, ამეთვისტო, მარჯანი. **პოზიტიური დღეა** ღრიანკალისთვის, თხის რქისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, ტყუპებისთვის.

# 21 მაისი – 22 ივნისი





ნიერი, ხელოვნების ისტორიკოსი, **ვუკოლ ბერიძის** შვილი, აკადემიკოსი **ვახტანგ ბერიძე.** ის იყო ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი სარედაქციო კოლეგიის წევრი. გარდაიცვალა 86 წლის ასაკში, დრაკონის წელიწადში.



**1952 წლის 30 მაისს, დრაკონის წელიწადში,** დაიბადა მუსიკოსი, საქართველოს დამსახურებული არტისტი, პედაგოგი, კომპოზიტორ **დავით თორაძისა** და მსახიობ **ლიანა ასათიანის** ვაჟი **ლექსო თორაძე.** გარდაიცვალა 69 წლის ასაკში, ვეფხვის წელიწადში.



**1936 წლის 30 მაისს, ვირთხის წელიწადში,** დაიბადა ფეხბურთელი, ევროპის ჩემპიონი და ვიცე-ჩემპიონი საბჭოთა კავშირის ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში, ჩილეს, ინგლისისა და მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატების მონაწილე, ფეხბურთის მწვრთნელი **სლავა მეტრეველი.** იცავდა მოსკოვის „ტორპედოს", თბილისის „დინამოსა" და საბჭოთა კავშირის საფეხბურთო ნაკრების ღირსებას. გარდაიცვალა 61 წლის ასაკში, ვეფხვის წელიწადში.

**1892 წლის 31 მაისს, დრაკონის წელიწადში,** დაიბადა სომეხი რეჟისორი, სცენარისტი და მსახიობი **ამო ბეკ-ნაზაროვი.** ალექსანდრე წუწუნავასთან, ზაქარია ბერიშვილთან და გერმანე გოგიტიძესთან ერთად დააარსა საქართველოს „განსახკომის" კინოსექცია. გარდაიცვალა 72 წლის ასაკში, გველის წელიწადში.





**1931 წლის 31 მაისს, თხის წელიწადში,** დაიბადა კომპოზიტორი, სსრ კავშირის კომპოზიტორთა კავშირის წევრი, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე **იაკობ ბობოხიძე.** გარდაიცვალა 76 წლის ასაკში, ღორის წელიწადში.

## ასტროლოგიური კვირა მიხეილ ცაგარელის მიხედვით

### 30 მაისი, პარასკევი

**მზე** იმყოფება ტყუპების ზოდიაქოში. ამოდის 04.30 საათზე, ჩადის 19.28 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს ლომის ზოდიაქოში 23.07 საათზე. ამოდის 07.19 საათზე, ჩადის 23.12 საათზე (მთვარის მე-4 დღე იწყება 07.33 საათზე. I ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 20.52 საათიდან 00.18 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** მეტი დრო დაუთმეთ ბავშვებს. კარგი დღეა ფოტოგრაფიისთვის, კულინარიისთვის, ხელსაქმისთვის. დღევანდელი მოვლენები ადამიანს დიდხანს ამახსოვრდება. საყვარელ ადამიანთან ერთობლივი ვარჯიში და ბუნებაში გასეირნება კიდევ მეტად დაგაახლოვებთ. შედეგიანია კბილების, სახსრების, მუხლების, ხერხემლის, ძვლების მკურნალობა. საკვებ რაციონში შეიტანეთ ბოსტნეულია, კენკრა, რძის ნაწარმი, არ ვარგა თხილის, თაფლის და სხვა ალერგიის გამომწვევი პროდუქტების გამოყენება. მოერიდეთ ქორწინებას, სახლის მშენებლობის დაწყებას, ადგილსამყოფლის შეცვლას, სესხის აღებას, დაპირებების გაცემას, ტყუილს. კარგი დღეა საოჯახო-სანათესაო ურთიერთობებისთვის, ტრადციებში ჩასაღრმავებლად, ცხოველების, ხალხური შემოქმედების ნიმუშების, საყოფაცხოვრებო ნივთების, ავეჯის, ანტიკვარიატის შესაძენად, სასამართლო პროცესების დასაწესებლად, ვაჭრობისთვის, მცენარეების დარგვა-გადარგვისთვის და მორწყვისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია კუჭი, მკერდი, ღვიძლი, გული. **ქვები:** ზურმუხტი, რაუხტოპაზი, აქატი, მალაქიტი, ამეთვისტო. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ლომისთვის, სასწორისთვის, ღრიანკალისთვის, მერწყულისთვის.

### 31 მაისი, შაბათი

**მზე** იმყოფება ტყუპების ზოდიაქოში. ამოდის 04.29 საათზე, ჩადის 19.28 საათზე. **მთვარე** იმყოფება ლომის ზოდიაქოში. ამოდის 08.33 საათზე, ჩადის 23.46 საათზე (მთვარის მე-5 დღე იწყება 09.05 საათზე. I ფაზა). **ტენდენციები:** დაწყებული საქმე აუცილებლად ბოლომდე უნდა მიიყვანოთ. საკვებ რაციონში მეტად შეიტანეთ ხორცი, თევზეული, რძის ნაწარმი, კვერცხი, კარტოფილი, კომბოსტო, ბოსტნეული. კარგია საბავშვო წვეულების გამართვა, მშენებლობის დაწყება, მოლაპარაკების წარმოება, კონტრაქტების გაფორმება, მნიშვნელოვანი საკითხების განხილვა. კარგი დღეა პარტნიორული ურთიერთობებისთვის. შედეგიანია თვალების, ვენების, ნერვული სისტემის მკურნალობა. მოერიდეთ ნერვიულობას, ფიზიკურ გადაღლას, საუნას, აბანოს, სოლარიუმს, სიმძიმეების აწევას, ფინანსურ გარიგებებს, ადგილსამყოფლის შეცვლას, მცენარეების დარგვა-გადარგვას, ნიშნობასა და ცხოველებით ვაჭრობას, ხელმძღვანელთა კრიტიკას, ყურების გახვრეტას, პრეტენზიების გამოხატვას. კარგი დღეა იურიდიული საქმეებისთვის, გავლენიან პირებთან ურთიერთობისთვის, კულტურულ-გასართობი ღონისძიებებისთვის, თმების შეჭრა-შეღებვისთვის, ახალი სამსახურის დასაწყებად, თანამდებობის დასაკავებლად, საყიდლებისთვის. გაუფრთხილდით გულს. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია გულ-სისხლძარღვთა სისტემა, ხერხემალი. **ქვები:** ბრილიანტი, ქარვა, სარდიონი, მთის ბროლი, სერდოლიკი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, ტყუპებისთვის. **ნეგატიურია** თხის რქისთვის, ღრიანკალისთვის.

### 1 ივნისი, კვირა

**მზე** იმყოფება ტყუპების ზოდიაქოში. ამოდის 04.29 საათზე, ჩადის 19.29 საათზე. **მთვარე** იმყოფება ლომის ზოდიაქოში. ამოდის 09.46 საათზე, ჩადის 23.59 საათზე (მთვარის მე-6 დღე იწყება 10.34 საათზე. I ფაზა). **ტენდენციები:** კარგი დღეა სპორტული ღონისძიებებისთვის, ექსკურსიებისთვის, საბავშვო ზეიმისთვის, კულტურულ-გასართობი ღონისძიებებისთვის, დასვენებისთვის, ლოცვისთვის, აღსარებისა და ზიარებისთვის, მეგობრული კონტაქტებისთვის. კარგია თვალების, ვენების, ნერვული სისტემის მკურნალობა. იმატებს აზარტი ხასიათში, მოერიდეთ ყურების გახვრეტას, ფინანსურ გარიგებებს, ადგილსამყოფლის შეცვლას, ნიშნობას, ცხოველებით ვაჭრობას, პრეტენზიების, ეგოიზმის, სულსწრაფობის გამოვლენას, ნერვიულობას, ფიზიკურ გადაღლას, სოლარიუმს, აბანოს, საუნას, სიმძიმეების აწევას, გაუფრთხილდით გულს. სასიკეთო დღეა ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, ძვირფასეულობის, პარფიუმერიის, კოსმეტიკის, საჩუქრების, ლატარიის ბილეთების შესაძენად, მშენებლობის დასაწყებად, თმების შეჭრა-მოვლისთვის, ვაზისა და ხეხილის შეწამლისთვის. არ ვარგა მცენარეების დარგვა-გადარგვა, მორწყვა. კონტაქტები უფრო დინამიკურ ელფერს იძენს, კარგი დღეა პრეტენზიებისა და შემოქმედებითი მუშაობისთვის, კეთილშობილების გამოსავლენად. შეიძლება თემატიკის განხილვა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია გული, სისხლძარღვები, ხერხემალი (წელის არე). **ქვები:** ბრილიანტი, მთის ბროლი, სერდოლიკი, ქარვა, სარდიონი. **პოზიტიური დღეა** ლომისთვის, სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის, თევზებისთვის.






**1906 წლის 1 ივნისს, ცხენის წელიწადში,** დაიბადა კომპოზიტორი, პედაგოგი, საქართველოს სახალხო არტისტი, ახალი ქართული საკომპოზიტორო სკოლის ფუძემდებელი **ანდრია ბალანჩივაძე.** გარდაიცვალა 85 წლის ასაკში, მაიმუნის წელიწადში.



**1913 წლის 1 ივნისს, ხარის წელიწადში,** დაიბადა მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი **ბუხუტი ზაქარიაძე.** გარდაიცვალა 75 წლის ასაკში, დრაკონის წელიწადში.



**1967 წლის 1 ივნისს, თხის წელიწადში,** დაიბადა, ქართველი მომღერალი, სიმღერების ავტორი და იუმორისტი **მამუკა ონაშვილი.** გარდაიცვალა 55 წლის ასაკში, ვეფხვის წელიწადში.



**1976 წლის 1 ივნისს, დრაკონის წელიწადში,** დაიბადა კინოსა და თეატრის მსახიობი **ზაზა (ზუზუ) ბეჟაშვილი.** გარდაიცვალა 42 წლის ასაკში, ძაღლის წელიწადში.

## ტყუპების ნიშნით დაიბადნენ:



**1948 წლის 26 მაისს, ვირთხის წელიწადში,** დაიბადა ამერიკელი მომღერალი და კომპოზიტორი **სტეფანი ლინ ნიქსი.**



**1949 წლის 26 მაისს, ხარის წელიწადში,** დაიბადა ამერიკელი მსახიობი, „ოქროს გლობუსის" ნომინანტი **პემ გრიერი.**



**1966 წლის 26 მაისს, ცხენის წელიწადში,** დაიბადა ინგლისელი მსახიობი, ამერიკის კინოაკადემია „ოსკარზე" ორჯერ ნომინირებული **ჰელენა კარტერი.**



**1957 წლის 27 მაისს, მამლის წელიწადში,** დაიბადა ინგლისელი მომღერალი, პროდიუსერი და მუსიკოსი, როკ-ჯგუფის „Siouxsie and the Banshees" ვოკალისტი **სიუზან ბელიონი — სიუზი სიუ.** გამოცემული აქვთ 11 სტუდიური ალბომი.



**1999 წლის 27 მაისს, კურდღლის წელიწადში,** დაიბადა ფრანგი-ამერიკელი მსახიობი, მოდელი, **ჯონი დეპისა და ვანესა პარადის** შვილი **ლილი-როუზ დეპი.** 2016 წელს მან შეასრულა აისედორა დუნკანის როლი ფილმში „მოცეკვავე".

**1968 წლის 28 მაისს, მაიმუნის წელიწადში,** დაიბადა მსახიობი, ავსტრალიელ-ბრიტანელი მომღერალი, სიმღერების ტექსტების ავტორი **კაილი მინოუგი.**





**1963 წლის 31 მაისს, კურდღლის წელიწადში,** დაიბადა უნგრელი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, უნგრეთის პრემიერ-მინისტრი **ვიქტორ ორბანი.**



**1930 წლის 31 მაისს, ცხენის წელიწადში,** დაიბადა ამერიკელი მსახიობი და რეჟისორი **კლინტ ისტვუდი.** პოპულარობა მოუტანა სერჯიო ლეონეს ფილმებში მონაწილეობამ. დაჯილდოებულია „ოსკარით". ხელმძღვანელობს საკუთარ საპროდიუსერო კომპანიას „Malpaso"-ს, იყო კალიფორნიის შტატის ერთ-ერთი ქალაქის მერი.



**1976 წლის 31 მაისს, დრაკონის წელიწადში,** დაიბადა ირლანდიელი მსახიობი **კოლინ ფარელი.** მსოფლიოს ორმოცდაათ კაცს შორის ის დასახელებულია ულამაზეს მამაკაცად.



**1937 წლის 1 ივნისს, ხარის წელიწადში,** დაიბადა ამერიკელი მსახიობი და რეჟისორი **მორგან ფრიმენი.** მიღებული აქვს „ოქროს გლობუსი" და კინომსახიობთა გილდიის ჯილდო.



**1947 წლის 1 ივნისს, ღორის წელიწადში,** დაიბადა ინგლისელი როკ-მუსიკოსი, მომღერალი და სიმღერების ავტორი, პროდიუსერი, მხატვარი **რონალდ დევიდ — „რონი" ვუდი.** ის იყო ცნობილი ჯგუფის „როლინგ სტოუნზის" წევრი.

## ტყუპების ნიშნით იყვნენ დაბადებულნი:



**1920 წლის 26 მაისს, მაიმუნის წელიწადში,** დაიბადა ამერიკელი ჯაზისა და ტრადიციული პოპის მომღერალი, სიმღერების ავტორი **პეგი ლი (ნორმა დელორის ეგსტრომი).** ცნობილი იყო „რბილი და წყნარი" სიმღერის სტილით. გარდაიცვალა 82 წლის ასაკში, დრაკონის წელიწადში.



**1926 წლის 26 მაისს, ვეფხვის წელიწადში,** დაიბადა მუსიკოსი, ჯაზისა და ჯაზ-როკის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი **მაილზ დიუი დევისი III.** გარდაიცვალა 65 წლის ასაკში, თხის წელიწადში.

**1877 წლის 27 მაისს, ხარის წელიწადში,** დაიბადა ამერიკელი მოცეკვავე, რუსი პოეტის **სერგეი ესენინის** მეუღლე **აისედორა დუნკანი.** თავისუფალ ცეკვაში მან შეიტანა ძველბერძნული პლასტიკა, ცეკვავდა ფეხშიშველი. ტრაგიკულად დაიღუპა 50 წლის ასაკში, კურდღლის წელიწადში.





**1923 წლის 27 მაისს, ღორის წელიწადში,** დაიბადა ამერიკელი დიპლომატი, **რიჩარდ ნიქსონისა და ჯერალდ ფორდის** საპრეზიდენტო ადმინისტრაციებში მრჩეველი, საერთაშორისო ურთიერთობების ექსპერტი **ჰენრი კისინჯერი.** გარდაიცვალა 100 წლის ასაკში, კურდღლის წელიწადში.



**1917 წლის 29 მაისს, გველის წელიწადში,** დაიბადა აშშ-ის 35-ე პრეზიდენტი 1961-1963 წლებში, ირლანდიური წარმოშობის ამერიკელი კენედების ოჯახის წევრი **ჯონ ფიცჯერალდ კენედი.** მოკლეს 46 წლის ასაკში, კურდღლის წელიწადში.



**1953 წლის 29 მაისს, გველის წელიწადში,** დაიბადა რუსი მსახიობი, რეჟისორი, სცენარისტი და ტელეწამყვანი, რსფსრ-ის დამსახურებული და რსფსრ-ის სახალხო არტისტი **ალექსანდრე აბდულოვი.** გარდაიცვალა 54 წლის ასაკში, ღორის წელიწადში.



**1846 წლის 30 მაისს, ცხენის წელიწადში,** დაიბადა რუსეთის იმპერიის ერთ-ერთი უმსხვილესი საწარმოს „კ. ფაბერჟე"-ს ხელმძღვანელი, ფრანგული წარმოშობის იუველირი, **გუსტავ ფაბერჟეს** შვილი **პეტერ ფაბერჟე.** გარდაიცვალა 74 წლის ასაკში, მაიმუნის წელიწადში.



**1909 წლის 30 მაისს, ხარის წელიწადში,** დაიბადა ამერიკელი ჯაზის მუსიკოსი, „სვინგის მეფე" და „კლარნეტის პატრიარქი" **ბენი გუდმენი.** გარდაიცვალა 77 წლის ასაკში, ვეფხვის წელიწადში.



**1934 წლის 30 მაისს, ძაღლის წელიწადში,** დაიბადა მფრინავი, საბჭოთა კოსმონავტი, ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი **ალექსი ლეონოვი.** გარდაიცვალა 85 წლის ასაკში, ღორის წელიწადში.



**1819 წლის 31 მაისს, კურდღლის წელიწადში,** დაიბადა ამერიკელი პოეტი, ჟურნალისტი და ჰუმანისტი **უოლტ უიტმენი.** გარდაიცვალა 72 წლის ასაკში, დრაკონის წელიწადში.

| „მერე რა რომ ... სველი იასამანი“ | „მამლუქი“ – პერსონაჟი | აშშ-ის შტატი | ქალის სასიმღერო ხმის შუათანა რეგისტრი | ვაზის წვრილმტევნიანი რქა | ნაღვლიანი განწყობილება | ნადირის თათი |
|---|---|---|---|---|---|---|

| ბედ-იღბალი | მდინარე კავკასიონის წყალგამყოფი ქედის კალთაზე | შემჭკნარი ყურძენი, ქიშმიში | ზევსის მერიქიფე | ესკიმოსების ნავი | სამაგიდო თამაში | მჭევრმეტყველი |
|---|---|---|---|---|---|---|



ᲗᲐᲠᲐᲖᲣᲚᲐᲓ: 1. იაპონური დეკორატიული ხელოვნება; 6. გეომეტრიული ფიგურა; 11. წყვილთა ესპანური ცეკვა; 12. სასიყვარულო ურთიერთობა; 13. ტემპერატურის საზომი ერთეული; 15. ნარკოტიკული ნივთიერება; 16. „მქსოველი“ ფეხსახსრიანი არსება; 17. მაიმუნის სახეობა; 18. საწვავი სითხე, მიიღება ნავთობის გამოხდით; 19. ნიგერიის ფულის ერთეული; 20. ხორთუმიანი ცხოველი; 21. გერმანელი მწერალი („უცნობი ქალის წერილი“); 22. რისამე ყველაზე ნაკლები რაოდენობა; 25. ქალის პირბადე; 26. გერმანელი ექსფეხბურთელი; 27. მსახიობი ... ამირანაშვილი; 31. საფეხურებად აგებული საკულტო კოშკი ძველ მესოპოტამიაში; 32. მსახიობი ... დვალიშვილი; 34. ერთგვარი ციტრუსი; 36. სანათი მოწყობილობა; 37. ცოცხალი ორგანიზმების შემსწავლელი მეცნიერება; 41. დაუშვი! — პორტის მუშაკების ენაზე; 42. პარლამენტის პერიოდული სხდომა; 43. წყლის დიდი ფრინველი; 44. სისხლის სამართლის დანაშაული; 46. მდინარე გერმანიაში; 48. გაზაფხულის ყვავილი; 49. საგნების ან მოვლენების გარკვეული ჯგუფი; 51. მრავალხმიანობა; 55. მტრედების რაზმის ფრინველი; 56. კედლის მოსაპირკეთებელი ქანი; 58. იგივეა, რაც თვლემა; 59. ლექციის წამკითხველი; 60. ბუნება (მოძველებულად); 61. ბითუმად ვაჭრობა; 62. ერთი ქვეყნის წერილობითი მიმართვა მეორისადმი; 63. სომხეთის საფეხბურთო კლუბი; 64. სპორტის სახეობა.

ᲨᲕᲔᲣᲚᲐᲓ: 2. სპილენძის სასულე საკრავი; 3. აღმოსავლეთის ქვეყნებში გავრცელებული რელიგია; 4. ტაბლეტი; 5. ორთვლიანი გადაადგილების საშუალება; 6. რუს მეფეთა დინასტია; 7. მოჭიდავე (ძვ. და წიგნ.); 8. მიწების ხელოვნური მორწყვის ღონისძიებები; 9. მეომარი ქალი ბერძნულ მითოლოგიაში; 10. მსგავსება ცნებათა, მოვლენათა შორის; 14. მოლდავეთის პრეზიდენტი; 20. წინასწარმეტყველი ქალი ძველ რომში და საბერძნეთში; 22. ავტომობილი; 23. ფინური ტელეფონების ფირმა; 24. ფრანგი მსახიობი სოფი ...; 28. ყირაზე გადასვლა; 29. პატარა სასიმღერო ლექსი; 30. დედამიწის ქერქის ზედა შრე; 33. გამოუცდელი, ხალხში გამოუსვლელი; 35. ფრანგი კომპოზიტორი; 38. სოფელი გარდაბნის რაიონში; 39. რისამე მიმდინარეობის სისწრაფე; 40. ტროპიკული ხილი; 41. არგენტინელი ექსფეხბურთელი; 42. ებრაელთა ტაძარი; 45. ფრანგი კომპოზიტორი; 47. ბამბის ერთგვარი წმინდა ქსოვილი; 49. დესპოტი; 50. ბასკების ხალხური ბურთაობა; 51. თბილი ქვეყნების მარადმწვანე ხე; 52. ხელზე მოსამსახურე მამაკაცი; 53. მცენარეთა სამყარო; 54. ადმინისტრაციული ერთეულის მმართველი მონღოლების მიერ დაპყრობილი ტერიტორიისა; 57. მკრთალი ფერის.

*კროსვორდისა და ლენტვორდების პასუხები იხ. 25-ე გვერდზე*

| იგივეა, რაც იფანი | მთრიმლავი ნივთიერება | ქართველი ენათმეცნიერი | მოტორიანი ნავი | გამოუწვავი აგური | მწერალი ... ჭონქაძე | პირველი კაცი |
|---|---|---|---|---|---|---|

| ქალის თავსაბურის ნაწილი | ქიმიური ელემენტი, ლითონი | დაღი, კვალი, ნაჭრილობევი | მონუმენტი | დიდი ფილმი | ფრანგი ექსფეხბურთელი | საბერძნეთის ძველი სახელი | მეორე ნოტი |
|---|---|---|---|---|---|---|---|

## ვარსკვლავები (არ) ხუმრობენ...

☺ სასიამოვნო, სასიკეთო დღე.

👎 პლანეტების ზეგავლენა არაკეთილსასურველია. მნიშვნელოვანს ნურაფერს მოიმოქმედებთ და ნურც ახალ საქმეს წამოიწყებთ.

😐 მოთმინება, თავშეკავება და განსჯის უნარი გამოიჩინეთ.

[?] ნურავის ენდობით, შეიძლება მოგატყუონ. სიფრთხილე გამოიჩინეთ მეგობრებთან და ბავშვებთან ურთიერთობაში.

♀♂ მოიწყვეთ პირადი ცხოვრება, დახვეწეთ ინტიმური ურთიერთობები, ყველაფერს შემოქმედებითად მიუდექით.

⇩ მოვლენათა უეცარი შემობრუნება, ფრიად პერსპექტიული წინადადებები გელით.

🔔 მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, პროფესიული წარმატებები.

მოერიდეთ ურთიერთობას უფროსობასთან და იმ ადამიანებთან, რომელთაც დიდი ზეგავლენა აქვთ თქვენზე. ნუ შეეცდებით, უფრო სოლიდურად გამოიყურებოდეთ.

👫 რთულ მომენტში დახმარებისათვის მეგობრებს, თანატოლებსა და ახლობლებს მიმართეთ.

☝ ნუ გარისკავთ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.

🎁 შესაძლოა, გქონდეთ სასიამოვნო და საჭირო შენაძენი.

| თვის რიცხვები | ვერძი | კურო | ტყუპები | კირჩხიბი | ლომი | ქალწული | სასწორი | მორიელი | მშვილდოსანი | თხის რქა | მერწყული | თევზები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 26 ორშ. | 🔔 | 🌴 | ☝ | [!] | ☺ | 🂡 | ☝ | [?] | ⇩ | 🎁 | ♀♂ | 👨‍💼 |
| 27 სამშ. | ⇩ | ☝ | 😐 | ⇩ | ✈ | ♀♂ | 🤝 | [!] | ☝ | [?] | 🤝 | 🌴 |
| 28 ოთხშ. | 🍷 | 📖 | 🔔 | ☺ | 📖 | [?] | ♀♂ | ♀♂ | [?] | 💣 | ☝ | 🔔 |
| 29 ხუთშ. | [?] | 🌴 | 🍷 | 🎁 | 🎁 | ☝ | ☝ | ☯ | 👎 | 😐 | [?] | 🌴 |
| 30 პარ. | 💣 | ☝ | ☝ | [?] | ⇩ | ☝ | 🔔 | 👎 | 💣 | 👫 | ♀♂ | ☺ |
| 31 შაბათი | ☯ | 👍 | 👫 | 🂡 | 👍 | 👫 | ✈ | 🎁 | 🌴 | 👫 | 👍 | ☝ |

WWW.ASAVALI.COM
mail@asavali.com

რეკომენდებულია ინიციატივისა და აგრესიულობის გამოვლენა.

📖 შრომისუნარიანობის ამაღლება. შედეგი დიდად არის დამოკიდებული თქვენს შრომისმოყვარეობაზე.

👍 კარგი სიახლენი, საუკეთესო პერსპექტივა და სასიხარულო მოვლენები გელით.

💣 მოერიდეთ კამათსა და კონფლიქტებს. უარი თქვით ალკოჰოლურ სასმელებზე.

✈ წარმატებას გიქადით ნებისმიერი სახის მგზავრობა. ენდეთ საკუთარ ინტუიციას.

🤝 სოლიდურ, ცნობილ ხალხთან და უფროსობასთან კონტაქტი სარგებელს მოგიტანთ.

🂡 ნუ გაგიტაცებთ პირადი ცხოვრება და შემოქმედება. უფრთხილდით იმედგაცრუებას.

☯ შეძლებისდაგვარად გადადეთ მგზავრობა. მოერიდეთ ჰიპნოზიორებთან და ექსტრასენსებთან ურთიერთობას.

🍷 შეგიძლიათ ცოტა გადაჰკრათ კიდეც. სასიამოვნოა პრეზენტაციებსა და პრემიერებზე დასწრება.

[!] გაფრთხილდით კოლეგებთან, ნათესავებთან და მეზობლებთან ურთიერთობისას.

🌴 იქონიეთ კონტაქტი ბუნებასთან, მოუარეთ შინაურ ცხოველებს. იყავით კეთილნი და გულმოწყალენი.


დაარსებულია 1992 წლის 3 მარტს

დამოუკიდებელი და ზვავარბიული

ასავალ დასავალი

2025 წლის 26 მაისი – 1 ივნისი №22 (1593)

გამოდის ორშაბათობით

2 009882 637296

მეღიაჰოლჰინგი "ასავალ-დასავალი". საგამომცემლო სახლი "ასავალ-დასავალი"

მთავარი რედაქტორი ლაშა ნადარეიშვილი

*აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელ ავტორთა განწყობა გადამოწმებას არ ექვემდებარება. მასალის დაუბეჭდაობა არ მოტივირდება.*

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ ფოსტაზე:**

**mail@asavali.com**

„ასავალ-დასავალის“ ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www. asavali.com**

ოფიციალური გვერდი ფეისბუქზე: **www. facebook.com/Asavali.com**

გაზეთი დაბეჭდილია **„ასავალ-დასავალის“ სტამბაში.**


